



# ისტორიული გაგაპვიდრაობა

აჯიფუჟანი  
ჟის  
სამტანლოაზი,  
სადაზ საჭოთა  
გეოგრაფია  
გვირული  
გაკოლა  
გაუგართან  
ჰიტლარკალაზს

9

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2015 წ. მაისი, №5(57), ფასი 3 ლარი

## დიდ სამამულო ოგუი გამარჯვების 70-ე წლისთავი



### «ერთობით მოპოვებული ღიაღი გამარჯვება»



4

### გამარჯვების 24 დროუის საბრძოლო გზა

9 მაისს დიდ სამამულო ოგუი გამარჯვების 70-ე წლისთავთან დაკავშირებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ორგანიზებითა და დაფინანსებით ქალაქ ჯვარში საჭოთა კავშირის გვირის — მელიტონ ქანთარია სოფლაგვა საზეიმოდ გაიხსნა გიუსტი, რომლის ავტორია ცნობილი ქართველი მოქანდაკე რომან შეროზია, 2015 წლის აპრილში ბრინჯაოში ჩამოსახა მოქანდაკე თეიმურაზ კიკნაველიძემ.





9 მაისის ზეიმი თბილისში, გამარჯვების პარკში

# სარჩევი

ღიადი იუბილე

■ «ერთობით მოპოვებული ღიადი გაგაჩვენება»	4
■ 9 მაისი პირველი	6
მართალი ისტორია	
■ აჯიფუჭიანი — მიწისქვეშა ქვანახევრები გვიჩვენებენ უიქრიფი, სადაც 1942 წლის მაისში საბჭოთა მეომრებმა გვირუკი ბრძოლა გაუმართეს კიტლუჩალებს	9
„იმ დღეებს კვლავ უნდა ავუბოთ“	
■ ფარაჯიანი პოეტები	19
ისტორიობრაფია	
■ გაგაჩვენების დროის საბრძოლო გზა	24
სახელმწიფო ქართვლები	
■ ვასილ კიტრიანვილი — „საქართველოს კონსული“ ოფისში ილიკო (ილია) კიტრან კე ქვრსული	27 28
პრობლემა	
■ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის ნარკოების სიწვევე მსოფლიოსა და საქართველოში	29
მაგულიფილი	
■ იაკოვ გოგებავილი — 175	33
კვალი ნათელი კაცისა	
■ კვალი ფოტოალბომიდან	36
რანი ვიყავით	
■ გერონტი ქიქოქა: მხხათის ნაქროვილი და კვალი იბერიელები	39
სელმწევა	
■ თამარ მეფის პორტრეტის შექმნის ისტორია	45
სელმწევა	
■ ქართული რეალისტური ქანდაკების ფუქვედავალი	46

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი ღარეჯან ანდრიაძე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

UDC (უბკ) 050 (479.22)

0-892



# «ერთობით მოპოვებული დიადი გაგარჯვება»



2015 წლის 28 აპრილს რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში ჩატარდა დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამარჯვებულთა საერთაშორისო ფორუმში დევიზით — «ერთობით მოპოვებული დიადი გაგარჯვება», რომელშიც მონაწილეობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების ომის ვეტერანები და ცნობილი პიროვნებები. ფორუმში ჩატარდა პოკლონნაია გორაზე 1941-1945 წ. დიდი სამამულო ომის მუზეუმში. საქართველოს დელეგაციის მიწვევა-გამგზავრების ორგანიზატორი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია «ისტორიული მემკვიდრეობა» (ხელმძღვანელი ტარიელ გაგნიძე). დელეგაციაში იყო 11 კაცი — საზოგადოების წარმომადგენლები და დიდი სამამულო ომის ვეტერანები.

ფორუმში დაინყო პლენარული სხდომით, რომელზეც გამოტანილი იქნა 10 მოხსენება. სხდომაზე მოხსენებით წარდგა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე **ალექსანდრე ჭაჭია** (არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მისი სიტყვა საუკეთესო იყო — 15-წუთიანი გამოსვლა ექვსჯერ გაანწყვეტინეს ტაშით). სხვა მოხსენებები მოსმენილი იქნა სექციურ სხდომებზე, მათ შორის, **ირაკლი უპილავეს** მოხსენება თემაზე: „საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი ისტორიული მეხსიე-

რების შენარჩუნებაში“. სულ ფორუმზე გამოტანილი იყო 50 მოხსენება, რომლებიც ასახავდა რეგიონების წვლილს დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დაგვირგვინებაში.

ყველა მოხსენება საინტერესო იყო, მაგრამ, როგორც ყოველთვის, **ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ ამჯერადაც წარმოადგინა მდიდარ ლიტერატურულ და ინფორმაციულ მასალაზე დაფუძნებული ღრმა ანალიზი, რომელშიც კრიტიკის ძარცვაცხლში გაატარა**

დასავლეთის ქვეყნების აპოლოგატების მცდელობა, დააკნინონ საბჭოთა კავშირის როლი მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებაში, და მცდელობა, შეთხზან მითი დასავლეთის გადამწყვეტ როლზე ფაქტობრივი გერმანიის დამარცხებაში.

დასანანია, რომ ისეთ გონიერ, მაღალი ინტელექტის ადამიანს, როგორც ბატონი ალექსანდრე ჭაჭიაა, დღეს საქართველოში ფუნქცია არ აქვს, არადა, როგორ გვეჭირდება ასეთი ადამიანები.

აქვე შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ ერთი მეტად უცნაური და მავნე ტენდენცია ისტორიული მოვლენის, ისტორიული სინამდვილის მიჩუმებებისა.

ყველა ომს ჰყავს მთავარსარდალი — სად გაგონილა ომი მთავარსარდლის გარეშე?!

ვინ ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირს ომის დროს და ვინ იყო მთავარსარდალი, რომელმაც განაპირობა ეს დიადი გამარჯვება? ყველასთვის ცნობილია, რომ მსოფლიოში ეს პიროვნება იყო დიდი სტალინი.

**ამაზრზენი და დიდი უსინდისობა არის ის, რომ სტალინის ფენომენი ყველაზე მეტად მის საგმობლოშია მიჩუმებული და, თუ ოფიციალურ დონეზე ვინმე გაინცხსენებს, — მხოლოდ უარყოფითად.**

**პატივცემულო მთავრობავ, ახლანდელი და ყოფილი, და სტალინზე აუზის მთქმელეო, რა აქვს სტალინს თქვენი საკაბეხელი? ის სომ არა, რომ მისი გენიის წყალობით (და ცოტაც ჩვენი, იმ საშინელი ომის გადახდელი ვებარანების დაღვრილი სისხლის) დადამინაზე თავისუფლად დადინარეთ და მთავრობაში იყავით და ხართ წამოს-**



**კუპაპულნი? სტალინი რომ არა, გერმანელის ჩაქმის წმენდაც სანატრალი გაგიხდებოდათ, თუ, საერთოდ, მოვლინებოდით ამ ქვეყანას.**

თქვენს საფიცარ დასავლეთს მაინც შეხედეთ – ნაპოლეონი შეიძლება კარგი მხედართმთავარი იყო, მაგრამ აგრესორი გახლდათ, მთელი ევროპა გადათელა და უამრავი სისხლი დაღვარა, მაგრამ საფრანგეთში მასზე ცუდს ვერავის დააცდენინებთ. გერმანიაში ფაშისტების საფლავებსაც უვლიან, მხოლოდ ფაშისტური სიმბოლიკა მოაშორეს. სტალინს პატივს სცემდა, მის გენიას ყველა მისი თანამედროვე მსოფლიო ლიდერი აღიარებდა, მათ შორის, დაუძინებელი მტრებიც; თქვენ კი რა ასეთი უვიცობა-უმადურობის სენი შეგეყარათ?!

ისევ ჩვენს ფორუმს დავუბრუნდეთ. პლენარული სხდომის შემდეგ ომის ვეტერანები მიგვიწვიეს მდინარე მოსკოვზე გასასეირნებლად. მსგავსი რამ, ალბათ, ბევრ ჩვენგანს არ უნახავს. გემზე ვისადილეთ, სადილი იყო დიდებული. ეს გასეირნება იყო ექსკურსია. ვისხედით და ვუსმენდით გიდს, რომელიც გვაცნობდა მდინარის გასწვრივ მდებარე ისტორიულ ღირსშესანიშნოებებს. ეს იყო ეგზოტიკური გასეირნება, რომელიც გაგრძელდა



4 საათს. გამოვემშვიდობეთ გემის თანამშრომლებს და წამოვედით სასტუმროში, სადაც 19 საათზე მიწვეული ვიყავით რესტორანში საზეიმო ბანკეტზე, სადაც შესრულდა სხვადასხვა ხალხთა სიმღერები, მათ შორის, ქართული „გაფრინდი შავო მერცხალო“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. სუფრა იყო მეტად მდიდარი, მრავალფეროვანი კერძებით, ნაირგვარი სასმელითა და წვენებით.

ომის ვეტერანებმა ახალგაზრდები დავლოცეთ და ვუთხარით, რომ ჩვენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე მის დაცვასა და შრომაში დიდებული მოვიხადეთ და ახლა ესტაფეტას მათ გადავცემთ.

ასე დასრულდა რუსეთის დედაქალაქში ჩვენი ერთი დღე, რომელიც გადატვირთული კი იყო, მაგრამ დალლა არ გვიგრძნია.

დასასრულ, დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსკოვის ფორუმზე ჩვენი, ომის ვეტერანების, დასწრება იყო მეტად სასარგებლო და სასიამოვნო. გაგვაოცეს მასპინძლებმა, იყვნენ მეტად თბილი და ყურადღებიანი. მოგვათავსეს ხუთვარსკვლავიან სასტუმროში. ყველანაირად ცდილობდნენ, ესიამოვნებინათ ჩვენთვის, ყოველ ჯერზე ხაზს უსვამდნენ ჩვენდამი პატივისცემას. წამოსვლისას აეროპორტში, სამთავრობო სტუმრების ოთახში დაგვასვენეს თვითმფრინავის გადმოფრენამდე, ხოლო შემდეგ მანქანებით პირდაპირ მიგვიყვანეს და ჩავსვენეს ლაინერში. იქ განცდილი ყველა პოზიტივის აღწერა შეუძლებელია საგაზეთო წერილში. როგორც ომის ვეტერანები, დავძენთ, რომ რუსეთში ომის ვეტერანებს დიდ პატივს სცემენ და უფრთხილდებიან.

უღრმესი მადლობა მოსკოველებს ასეთი კარგი მიღებისთვის და არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიულ მემკვიდრეობას“ ამ ღონისძიებაზე ჩვენი დასწრების ორგანიზებისთვის.

**დავით დემეტრაშვილი,  
სერგო შირაზიანი,  
შოთა ბუაია,  
დიდი სამამულო ომის  
ვეტერანები**





# 9 მაისი გორში



**2015 წლის 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავი შესრულდა. ეს დღე ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ზეიმით აღინიშნა. 1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირს, რომლის ნაწილი საქართველოც იყო, თავს დაესხა ფაშისტური გერმანია, — ასე გვასწავლიდნენ ჩვენს თაობას, რომელმაც იცის, სტალინის გენიალური მთავარსარდლობა და ღვთისმშობლის შეწევნა რომ არა, 1945 წელს უდიდესს გამარჯვებას ვერ მოვიპოვებდით.**

9 მაისს გორში შესვლისთანავე იგრძნობოდა სადღესასწაულო განწყობა; ისმოდა „გაფრინდი შავო მერცხალო“; ბედნიერი, გაღიმებული ომის ვეტერანები სტუმრებს თბილად ესალმებოდნენ. ავდრის მიუხედავად, უამრავი ხალხი ჩავიდა, საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჰყავდათ სტუმრები გორელებს. ქალაქის ცენტრში სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა ყველა მსურველს ჰქონდა. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამამულო ომის დასრულებიდან 70-ე წლისთავზე გორში ჩასული ხალხის მსვლელობა საპროტესტო აქციას უფრო ნააგავდა.

„ჩვენ არ გვინდა ევროპა, ჩვენ გვინდა რუსეთი!“ — ასეთი იყო შეძახილები და ლოზუნგები. აქციის მონაწილეები სტალინის სახლ-მუზეუმთან შეიკრიბნენ სტალინის სურათებითა და საბჭოთა კავშირის დროებით ხელში. მათ მოგვიანებით გორის ცენტრალურ მოედანზე, ადმინისტრაციული შენობის წინ გადაინაცვლეს და ქალაქის მერთან შეხვედრა

მოითხოვეს, რომელიც ამ დღისთვის სტალინის ძეგლის დადგმას დაჰპირდა თანაქალაქელებს, მაგრამ გორის მერი ზურაბ ჯირკველიშვილი აქციის მონაწილეებს არ შეხვდა.

ძეგლი, რომელიც სტალინის სივცოცხლეში, 1952 წელს გაიხსნა, მოქანდაკე შოთა მიქაბაძეს ეკუთვნის, ხოლო არქიტექტორები ზაქარია და არჩილ ქურდიანები არიან. ბრინჯაოს ექვსმეტრიანი ქანდაკება გრანიტის ცხრაამეტრიან, სამიარუსიან კვარცხლბეკზე იდგა, რომელიც, ამასთანავე, ტრიბუნის ფუნქციასაც ასრულებდა.

ძეგლი გადაურჩა სტალინის მემკვიდრის — ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ „პიროვნების კულტის“ დაგმობის შემდეგ დაწყებულ კამპანიას „დიდი ბელადის“ გამოსახულებების წინააღმდეგ, რომლის დროსაც მოხსნეს ანალოგიური მონუმენტი თბილისში.

გორში დიდი ბელადის ძეგლი 2010 წლის 24 ივნისს აიღეს. ეს დღე შემთხვევით არ შეურჩევიათ — 1945 წლის 24 ივნისს სტალინმა გამარჯვების აღლუმში ჩაიბარა. სწო-

რედ ეს დღე — 24 ივნისი დაუთქვეს საზეიმო მსვლელობის მონაწილეებმა გორის მერს — ზურაბ ჯირკველიშვილს სტალინის ძეგლის თავის ადგილზე დასაბრუნებლად.

თავში უკვე ვახსენეთ, რომ 9 მაისის ზეიმის მონაწილეებს პროტესტის გამოხატვის სურვილი უფრო ჰქონდათ, ვიდრე საზეიმო განწყობა, რომელიც ბოლო 25 წლის განმავლობაში შესამჩნევი არ ყოფილა. 9 მაისის მომვლენებს თუ თვალს გადავავლებთ, ამას ნათლად დავინახავთ, ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავზე მომხდარი ინციდენტისა და გორში საბჭოთა კავშირის დროებით მისული ხალხის ფონზე. ამ ყველაფერზე იუმორისტმა დავით გოგიშვილმა სოციალურ ქსელში მეტად საგულისხმო რამ განაცხადა, რასაც მისი ნებართვით ვთავაზობთ.

### **დავით გოგიშვილი, იუმორისტი:**

— პოლიტექნოლოგების ენაზე რომ ვიმსჯელოთ, ქვეყანაში ლოკალური სამოქალაქო დაპირისპირებას ან ომის დაწყებას მყარი ნიადაგი აქვს მაშინ, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ღირებულებით, მენტალური ნიშნით ერთმანეთისგან რადიკალურად, არსებითად, ინსტიტუციონალურად განსხვავებული ორი პოლიტიკური დაჯგუფება, ორი პრინციპულად განსხვავებული იდეოლოგია. ეს გაყოფა უკვე სახეზეა. ახლა მთავარია, სად გაივლის ფრონტის ხაზი პრორუსულად და პროდასავლურ-პროამერიკულად განწყობილ ქართველობას შორის.

გორში საბჭოთა კავშირის დროშები გამოფინა არა ქართველი ხალხის ტრფიალმა ამ დროშის მიმართ და საბჭოთა ნოსტალგიამ, არამედ ჩვენი დასავლელი „პარტნიორების“ მხრიდან ქართველი ხალხის მიმართ 25-წლიანმა სულში ჩაფურთხებამ, ტყუილში, სიყალბეში ცხოვრებამ.

გორში საბჭოთა კავშირის დროშების ფრიალის მოთხოვნილება გუშინ და დღეს არ დაწყებულა და გაცილებით ღრმა ფესვები აქვს.



გადავხედოთ ქრონიკას:  
**ანგელა მერკელი:** „ის სახელმწიფოები, რომლებიც ჩართულნი არიან რეგიონულ კონფლიქტებში, ვერ გახდებიან ნატოს წევრები“.

2008 წლის 4 აპრილი. ბუქარესტის სამიტი.

**ჰაიდი ტალიავინი:** „რუსეთის მიერ სამხედრო ძალის გამოყენება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე საკუთარი სამშვიდობოების დაცვის მიზნით იყო ლეგიტიმური. რუსეთის მოქმედებამ აგრესიის სახე მიიღო მას შემდეგ, რაც რუსეთის არმია გასცდა სამხრეთ ოსეთის საზღვრებს“.

2008 წ. სექტემბერი.

**დავით უსუფაშვილი:** „მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ოჯახში 28-ნი ხართ და ჯერ ჩვენი ადგილი არ არის, ვაკაკუნებთ თქვენს კარზე და დაჟინებით გავგარძელებთ დაკაკუნებას ევროკავშირის კარზე“.

2014 წელი.

**ფრანსუა ოლანდი:** „ნატოს გაფართოებისა და ახალი წევრების მიღების პროცესი უნდა დავასრულოთ“.

ეს ის გამონათქვამებია, რომლებიც სამომავლოდ კიდევ უფრო ამრავლებს საბჭოთა კავშირის დროშების ფრიალს არა მხოლოდ გორში, არამედ სხვა ქალაქებშიც. **პროტესტსა და აპრესიას ებრათ წოდებული დასავლური ღირებულებების მიმართ ბაღრაშვილს რიგის სამიტი, რომელიც ქართველ ხალხს თვალზე ნაცრის შეყრის, მოტყუების, სიყალბისა და ილუზიების ცხოვრების „ახალ ნაკრძალს“ შესთავაზებს. ქართველ საზოგადოებას აღიზიანებს არა ამ საერთაშორისო ორბანობის მხრი-**



**დან საქართველოს მიმართ მიღებული დაკლარაციებისა თუ კომუნიკაციის არარაღობა და სიყალბე, არამედ ნატოსა და ევროკავშირში „ინტეგრაციით“, პარსაქტივითა და „ნათელი მომავლის“ თემით კომარცხულად დაინტერესებული კასტის მოქმედება ჩვენს ქვეყანაში, მათი სიტუტუცე, აღვირახსნილობა.** ოღონდ ამ თემის აჟიტირებით თვითონ იკვებონ გრანტებით „პო ნასლედ-სტეუ“ და საქართველოს მომავალი სულ ფეხებზე ჰკიდიათ. რამდენადაც დიდხანს გაგრძელდება ამ სიყალბეში ცხოვრება, მით მეტად მოიმატებს გეორგიევსკის ლენტეხის, რუსეთისა და საბჭოთა კავშირის დროშების რაოდენობა საქართველოში“.

ზეიმის მონაწილეებმა კი აი, რა გვითხრეს:

„თუ სტალინის ძეგლი თავის ადგილას არ დაბრუნდება 24 ივნისამდე, ქალაქის მერს, როგორც ავირჩიეთ, ისე გადავირჩევთ. თავადაც იცის, რომ სწორედ ამ დაპირების გამო მისცა მას ხალხმა ხმა“, — განაცხადა ერთ-ერთმა „სტალინელმა“ **სოსო ქუმსიაშვილმა.**

„ერთადერთი ქვეყანა, სადაც 9 მაისს უცნობი ჯარისკაცის საფლავზე გვირგვინის მიტანისთვის საღებავე-

ბი და კვერცხები დაუშინეს ხალხს, საქართველო აღმოჩნდა, ქვეყანა, რომელმაც სტალინი გაზარდა. **ბინალუშების მომხრე და დიდ სამამულო ომში დაღუპული 300 ათასი ქართველის უარყოფილი ე.წ. ლიბერალიზმი 8 მაისს იოსებ ჯუღაშვილის გორსაც ესტუმრნენ კვერცხებით შეირაღებულები, მაგრამ გორილიზმმა ივაჟაძეს და თბილისიდან სტალინის შეურაცხყოფისთვის ჩამოსულს განსაძენი არ მისცეს, თუმცა გორის ცენტრში დაპირისპირება გაინც მოხდა,** — გვითხრა აღმფრთხილებმა **სერგო კახსიაშვილმა,** რომელიც გორში მომხდარ ინციდენტსაც შეესწრო და თბილისში, ვაკის პარკში მომხდარ შეხლა-შემოხლასაც.

„სამწუხაროა და სამარცხვინოც, რომ **ყველაზე დიდ გორიტივებზე — ფაშინგაზ ბაგარაშვილის დღის გაუფასურებას ცდილობენ ის ახალგაზრდები, რომლებსაც ენა და სამშობლო სწორედ სტალინმა შეუნარჩუნა ამ ომში ბაგარაშვილი.** დიდ სამამულო ომში 16-17 წლისანი, სრულიად ახალგაზრდები წავიდნენ და უკან ვეღარ დაბრუნებულან უწვერულვამო ქართველი ახალგაზრდები, 300 ათასი ვაჟკაცი დაიღუპა სა-





ქართველოდან... 8 მაისს გორში ვი-  
ლაცები ჩამოვიდნენ, აქ თქვეს, „თა-  
ვისუფალი ზონააო“, არ ვიცი, ვინ  
არიან, მთელი ქალაქი ქუჩაში გამო-  
ვიდა, მეც ვიყავი და **იცით, ამ უზ-  
რდელ ახალგაზრდებთან ერ-  
თად, ვინ იყო? — ღუბა სსირტ-  
ლაძე, მას სტალინის ფორმა  
ეცვა და, როდისაც ხალხმა  
ჰკითხა, შენც მათთან ერთად  
ხარო? — უპასუხა, შოუს ვდგა-  
მო. ის სტალინს დასცინოდა...**

— გვითხრა ქალბატონმა ნათიელა  
ჩონელმა, ხანდაზმულმა ქალბა-  
ტონმა, რომელსაც ხელში საბჭოთა  
კავშირის დროშა ეჭირა.

„დიდ სამამულო ომში საქართვე-  
ლომ 300 000 შეილის სიცოცხლე გა-  
იღო, უფრო მეტი, ვიდრე მსოფლიო-  
ს დიდმა ქვეყნებმა. ამ ბრძოლის  
მთავარსარდალიც ქართველი იყო  
და გამარჯვების დროშის აღმმარ-  
თველიც — ქართველი. გულსატკე-  
ნია, რომ ბოლო რამდენიმე ათეული  
წელიწადია, საქართველოში გამოჩ-  
ნდნენ ძალები, რომლებიც ცდილო-  
ბენ, შეურაცხყონ 9 მაისის შემოქ-  
მედი გმირები და მათი მთავარსარ-  
დალი — სტალინი. ისტორიას მი-  
ზანმიმართულად ამახინჯებენ და  
სტალინის ღვაწლს თაობებს არას-  
წორად აწვდიან. უფრო მეტიც, დიდ  
სამამულო ომს აღარც ახსენებენ,  
ამ ომს მეორე მსოფლიო ომად მო-  
იხსენიებენ...“

**9 მაისი დიად გამარჯვებას  
ნიშნავს, ბედნიერი ვარ, რომ  
შეამჩნიეთ და საჭიროდ ჩათ-  
ვალეთ ჩემთან საუბარი. ვფიქ-  
რობ, ახლა სიკვდილიც ღირს,  
დიადი გამარჯვების 70-ე  
წლისთავზე ვნახე ახალგაზრ-  
და, რომელიც ჩემით დაინტა-  
რესდა. ალბათ, არ გადავგვარ-  
დებით,”** — ასეთი იყო სამამულო  
ომის მონაწილის — **ივანე ცაცია-  
შვილის** პასუხი შეკითხვაზე: რას  
ნიშნავს დღევანდელი დღე კაცობ-  
რიობისთვის?

**ვილჰელმ მახარაძე, საქარ-  
თველოს კომუნისტური პარტიის  
ერთ-ერთი ლიდერი:**

— **რომ არა 9 მაისი მსოფლ-  
იო ფაშისტური უღლის ქვეშ  
იქნებოდა ბართხმული, მსოფ-  
ლიოს უდიდესი ნაწილი ისა  
იქნებოდა განადგურებული,  
როგორც ეს დღეს მასონურ**



**კლანეს სურთ.** ფაშისტური გერ-  
მანია და მსოფლიოს მასონური  
მოძრაობა ერთი და იგივეა, მათ ერ-  
თნაირი მიზნები ჰქონდათ, განსხ-  
ვავება ის იყო, რომ ჰიტლერს სურ-  
და, მსოფლიო გერმანულენოვანად  
გადაექცია, დღევანდელ სიონის-  
ტებს კი ინგლისურენოვანი მსოფ-  
ლიო სურთ.

სტალინის როლი მსოფლიოს გა-  
დარჩენაში განუსაზღვრელია. მხო-  
ლოდ ის რად ღირს, რომ მსოფლიო-  
ს იმჟამინდელი მმართველები  
აღიარებდნენ სტალინის სიდიადეს,  
აღიარებდნენ, რომ სწორედ ქარ-  
თველი ჯულაშვილის ნიჭისა და შე-  
უდრეკელობის დამსახურება იყო  
ფაშისტების დამარცხება. რომ არა  
სტალინი, ჰიტლერის დამმარცხე-  
ბელი არავინ იყო. ამას ჰიტლერიც  
კი აღიარებდა, მას ეშინოდა სტალი-  
ნის და გამართლდა კიდევ მისი ში-  
ში. ჰიტლერმა არ გაითვალისწინა  
ბისმარკის სიტყვები — არ შეიძლე-  
ბა რუსეთის წინააღმდეგ ომის  
დანწყება, ვინც ამას გაბედავს, და-  
მარცხება გარდაუვალია.

**ვალერიან სუხიშვილი, გო-  
რის სუხიშვილის სახელობის უნი-**

**ვერსიტეტის რექტორი:**

— ისტორიის ფალსიფიკაციის  
გამო, სიმართლე საძებარია და აუ-  
ცილებლად უნდა გაირკვეს სიმარ-  
თლე სტალინზე, რომელმაც ხალხს  
სიკეთე მოუტანა და ბოროტებას,  
რომელიც მის ეპოქაში ხდებოდა,  
ნურავინ მიაწერს სტალინს. იმხა-  
ნად სპეციალურად ქმნიდნენ ვითა-  
რებას, თითქოს ყველა ბოროტების  
სათავე სტალინი იყო.

1937 წელი, რომელიც დღეს პირ-  
ზე აკერიათ, სწორედ სტალინს მო-  
უწევს. ესენი იყვნენ ლევ ტროცკი,  
ლევ კამენევი, ნიკოლაი ბუხარინი  
და სხვები. სამჯერ იყო დაგეგმილი  
სტალინის ლიკვიდაცია, მაგრამ ის  
აღლომ გადაარჩინა, მტრის ცნობა  
იცოდა. **ჩვენ უნდა ვიანაყოთ,  
რომ სტალინი ძართველი იყო,  
გორელეზმა კი ორმაგად უნდა  
იანაყოთ სტალინმა, უზრალო  
გლუხის შვილმა, ფაშისტთა და-  
ამარცხა. უინსტონ ჩერჩილი  
ამბობდა: „გი ყოველ დღით  
ვლოცულობ, რომ იოსებ სტა-  
ლინმა იცინოს, რადგან  
მხოლოდ მას შეუძლია ფაშისტ-  
ების დამარცხება“.**

სირცხვილია, როდესაც მთელი  
მსოფლიო აღიარებს სტალინის სი-  
დიადეს და საკუთარ ქვეყანაში არ  
აფასებენ. 8 მაისს გორში თბილისი-  
დან ახალგაზრდები ჩამოვიდნენ და  
ცუდად მოიქცნენ. მათ გასაგონად  
ვიტყვი — შეიძლება, სხვადასხვა  
თვალსაზრისი გვქონდეს, მაგრამ  
ყველას მიზანი საქართველოს კე-  
თილდლეობა უნდა იყოს. პირადი  
ამბიციებისთვის არ ღირს საკუთა-  
რი ხალხის წყენინება. ქართველები  
ემოციური ხალხი ვართ, სწორედ ამ  
ემოციის ვერ მოთოკვით დავანგრი-  
ეთ სახელმწიფო. **და დღეს ყვე-  
ლაზე ლტაკი და მათსოვარი  
ქვეყანა ვართ. ყველა ჩვენმა  
მეზობელმა შეძლო გადაარჩე-  
ნა, ჩვენ ვიღუპებით.**

პოლიტიკოსებმა ზნეობა დაკარ-  
გეს, მათი მოსმენა აღარ შეიძლება.  
თქვენ იცით, რომ სტალინს ჰიტლე-  
რი აუგად არასოდეს უხსენებია და  
არც ჰიტლერს — სტალინი. დიდი  
პოლიტიკოსები არ კადრულობდ-  
ნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, საქარ-  
თველოში პოლიტიკანები გვყავს.

**მოამზადა  
ეკა ნასყიდაშვილმა**



# აჯიშუკაი

## მინისქვეშა ქვასამტკობი გვიჩვენებს ყირიშუი, სადაც 1942 წლის მაისში საბჭოთა მეომრებმა გმირული ბრძოლა გაუგარტონს ჰიტლერულს

1943 წლის ნოემბრის პირველ ნახევარში ზღვისპირეთის ცალკე არმიის ჯარები სასტიკ ბრძოლებს აწარმოებდნენ ქერჩის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში პლაცდარმის დასაკავებლად. გერმანელთა წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ ჩვენმა ნაწილებმა 12 დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს მტრისაგან და მტკიცედ გამაგრდნენ პლაცდარმზე, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატებოდა 100 კვადრატულ კილომეტრს. ამ ბრძოლებში საბჭოთა ნაწილებმა დაიკავეს სოფელი აჯიშუკაი, რომელიც ქერჩის აღმოსავლეთიდან 3 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.

1944 წლის იანვრის პირველ რიცხვებში 414-ე ქართული მსროლელთა დივიზიის ნაწილები ქერჩის სრუტეზე გადავიდნენ და იქ მყოფ შენაერთებს შეუერთდნენ. დივიზიის საბრძოლო პოზიციის წინა ხაზი გადიოდა აჯიშუკაის ქვის სამტეხლოებზე.

აჯიშუკაის ქვის სამტეხლოს გარნიზონის ცხოვრება და ბრძოლა ჰიტლერული ავაზაკების წინააღმდეგ, ეჭვგარეშეა, სცილდება ჩვეულებრივი გმირობის ფარგლებს, რომელსაც შეიძლება რამდენიმე ეპითეტი მოეძებნოს (გასაოცარი, ლეგენდარული, განსაცვიფრებელი და ა.შ.), მაგრამ ვერც ერთი მათგანი ზუსტად, ალბათ, მაინც ვერ გამოხატავს საბჭოთა ადამიანების უდიდეს მამაცობასა და გმირობას.

მინისქვეშა გარნიზონის პირადი შემადგენლობის თითოეულ წევრს ღრმად სწამდა მტერზე საბოლოო გამარჯვება. მინისქვეშა სამტეხლოებში შექმნილ არაადამიანურ პირობებში ცხოვრება და ბრძოლა შეეძლოთ მხოლოდ ნამდვილ გმირებს, ამიტომ გმირი უნდა ეწოდოს ყველა იმ საბჭოთა ადამიანს, რომელიც ყოველგვარი სიძნელეებისა და მკაცრი გამოც-

დის მიუხედავად ერთგული დარჩა თავისი მოვალეობისა და ბოლომდის იბრძოდა, შიმშილისგან სიკვდილს ამჯობინებდა ფაშისტთა ტყვეობაში ყოფნას.

გერმანელთა მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება ყირიმსა და განსაკუთრებით აჯიშუკაიში მთელი საბჭოთა ხალხისათვის ტრაგედია იყო, რადგანაც კატაკომბებში ჩვენი ქვეყნის მრავალი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი იბრძოდა.

### ქვის სამტეხლოების საიღუპეობა

ქვის სამტეხლოები მინის ზედაპირიდან 10-25 მეტრის სიღრმეზეა განლაგებული. ძველთაგანვე აქ ტეხტდნენ ქვას, რომელიც კარგ საშენ მასალას წარმოადგენდა. ქვები იჭრებოდა 5-6 მეტრის სიფართეზე, რის შედეგადაც მინის ქვეშ წარმოიქმნა ფართო დერეფნები და დარბაზები. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, ეს მინისქვეშა გვირაბები არა მარტო სოფელ ბულგანაკამდე და მითრიდატეს მთამდე გრძელდება, არამედ თითქმის ფოედოსიამდეც აღწევს. ამ გრანდიოზულ მი-

ნისქვეშა გვირაბებს ჭერად აქვს ქვის მსხვილი ფენები, რომელთა საშუალო სისქე 4-5 მეტრს, ხოლო ზოგიერთ ადგილას ორჯერ უფრო მეტსაც აღწევს.

იმ დღეებში ქვის სამტეხლოებში განლაგდნენ შტაბები და სამსახურებრივი დანიშნულების მცირერიცხოვანი ქვეგანაყოფები. 414-ე ქართული მსროლელთა დივიზიის, 1367-ე მსროლელთა და 1043-ე საარტილერიო პოლკების შტაბი — ცენტრალურში, ხოლო 89-ე სომხური მსროლელთა დივიზიის შტაბი — მარცხენა სამტეხლოში. **414-ე ქართული დივიზიის მებრძოლებმა ცენტრალურ კატაკომბებში იპოვეს ადამიანთა დიდი ხნის გვამები. ეჭვი არ იყო, რომ ეს ფაშისტთა ბოროტმოქმედების ნაკვალევი უნდა ყოფილიყო.**

ამ ბოროტმოქმედების დასადგენად დივიზიის მეთაურმა გენერალ-მაიორმა **ვ. დაბახიძემ** გამოყო სპეციალური კომისია (თავმჯდომარე პოდპოლკოვნიკი ლ. გოგატიშვილი) და ამოცანად დაუსახა — გამოერკვიათ დაღუპულთა ვინაობა და რაოდენობა, როგორ მოხდნენ კატაკომბებში და რა პირობებში დაიღუპნენ. გვამები კატაკომბებში უნდა დაემარხათ და დაენიშნათ დამარხვის ადგილი. შეეგროვებინათ და თან წამოეღოთ აქ ნაპოვნი საბუთები, სხვადასხვა ნივთები და ზემდგომ ორგანოებში წარედგინათ შესასწავლად, ყოველივე ამის თაობაზე შეედგინათ სათანადო აქტი, იმ დღესვე გაეცათ საჭირო განკარგულებები და მეორე დღეს დილიდანვე შედგომოდნენ მუშაობას.



მინისქვეშა კატაკომბებში მომხდარი შემზარავი ტრაგედიის დათვლიერების შემდეგ კომისიის წევრებმა შეადგინეს აქტი.

### აქტი

16 თებერვალი, 1944 წელი, სოფელი აჯიმუშკაი, ყირიმის ასსრ. 414-ე მსროლელთა დივიზიის სარდლობის ბრძანებით გამოყოფილმა კომისიამ პოდპოლკოვნიკ ლ. გოგატიშვილის, მაიორ ავ. მეგრელიშვილის, სამედიცინო სამსახურის კაპიტნის ა. დანელიას, იუსტიციის კაპიტნის ს. კიკვიძისა და უფროს სერჟანტ ქამუშაძის შემადგენლობით მოახდინა აჯიმუშკაის ქვის სამტეხლოს დათვლიერება და აქ აღმოჩენილი ხუთი საქმო საფლავის გათხრა. დათვლიერებისა და გათხრების შედეგად ნაპოვნი და დადგენილია:

1. დასათვლიერებელი ქვის სამტეხლოს შესასვლელი მდებარეობს 300 მეტრზე სოფელ აჯიმუშკაის ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო დასავლეთის მიმართულებით;

2. ქვის სამტეხლოს გვირაბებში (შტოლნებში) ჰაერის მიწოდება ხდებოდა მხოლოდ შესასვლელიდან და რამდენიმე სხვა მცირე ხვრელიდან, რაც არ არის საკმარისი ჰაერის ნორმალური ცირკულაციისთვის.

### აღვილობრივი დათვლიერება

1. ქვის სამტეხლოს ყველა მიმართულების გვირაბებში აღმოჩენილია უნესრიგოდ გაბნეული დიდი რაოდენობით დაჟანგული მუზარადები, ტყვიამფრქვევისა და შაშხანის ვაზნები, სხვადასხვა ყა-

ლიბის ჭურვები, აირწინალები, დაობებული ტანსაცმელი, მაზარები, გიმნასტურები, შარვლები, ფეხსაცმელები, ქუდები, სამოქალაქო ტანსაცმელი, მედიკამენტების სხვადასხვა ჭურჭელი, რკინის საწოლები და სხვა ნივთები.

2. შტოლნებში არის ცალკე შემოღობილი განყოფილებები, ქვებშია დარჩენილი ადგილები ამოჩურთულია ჩვრებითა და ქაღალდებით. ეს ადგილები წარმოადგენს ვეებერთელა დარბაზებს, რომლებსაც, როგორც ჩანს, იყენებდნენ ჰოსპიტლებად ან თავშესაფრებად.

3. ორ ასეთ განყოფილებაში აღმოჩნდა (ტანსაცმლის მიხედვით) სამხედრო მოსამსახურეთა გვამები (ჩონჩხები), ერთ განყოფილებაში იყო 5, მეორეში — 7, სულ 12 გვამი (იმათ გარდა, რაც ადრე იყო აღმოჩენილი გვირაბებში). აქაურობის გულმოდგინე დათვლიერების შემდეგ ნაპოვნი:

83-ე საზღვაო ქვეითი ბრიგადის მე-2 ბატალიონის ასეულის პოლიტხელ ალექსანდრე სარიკოვის დღიური 59 ფურცლის რაოდენობით.

მე-2 მსროლელთა ბატალიონის პოლიტსაინფორმაციო მუშაობის გეგმა — 2 ფურცელი და მრავალი სხვა ქაღალდი და საბუთი (კომისიის თავმჯდომარის ლ. გოგატიშვილის ჩვენების თანახმად ბევრი ჩანანერი და საბუთი დაობებული და დახეული იყო, მათი ნაკითხვა არ შეიძლებოდა).

4. ყველა გვამის თავთან აირწინალი იდო.

5. გვამების პოზა, კიდურებისა და თავის ქალების განლაგება შთაბეჭდილებას ქმნის, რომ სიკ-

ვდილის წინ ეს პირები განიცდიდნენ ძლიერ ფსიქიურ ტრავმასა და ტანჯვას.

6. გვამები დაახლოებით წელიწად-ნახევრის წინანდელია, რაც მტკიცდება იმით, რომ ქსოვილები (კუნთები) სრულიად დაშლილია, დარჩენილია მხოლოდ ძვლები და თმა.

7. გვამების მახლობლად შტოლნებში აღმოჩენილია 5 საქმო საფლავი, რომელშიც დაახლოებით 3000 კაცზე მეტია. როგორც დამარხულების, აგრეთვე, დაუმარხავი გვამების გასინჯვა გვაძლევს შესაძლებლობას, დავადგინოთ, რომ კატაკომბებში მყოფი ხალხის დაღუპვა მოხდა ორ მთავარ პერიოდში: პირველი, როდესაც დაიღუპა ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა და ისინი დამარხეს ცოცხლად დარჩენილებმა. მეორე, როდესაც ყველა დაიღუპა და დამარხველი აღარავინ დარჩა.


8. აღნიშნულ კატაკომბებში სხვადასხვა ადგილას ნახეს ჭერში შერჭობილი ჩხირები, საიდანაც, როგორც ჩანს, ჟონავდა წყალი და იქ მყოფი ხალხი მას წვეთწვეთობით აგროვებდა.

9. ბევრ ადგილზე ჭერი ჩამონგრეულია, რაც უნდა მიენეროს ფეთქებად ნივთიერებათა მოქმედებას, რომელსაც გერმანელთა არმია მიმართავდა აღნიშნული კატაკომბების აფეთქების მიზნით, რათა გაენადგურებინა შიგ მყოფი წითელი არმიის ნაწილების ქვეგანყოფილები და მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობა. მაგრამ კატაკომბების ჭერის ზედაპირის დიდი სისქის გამო ეს ღონისძიება ვერ იქნა ბოლომდის მიყვანილი.

**სამტეხლოებში მყოფ საბჭოთა ადამიანებს არავითარი კავშირი არ ჰქონდათ არც წითელი არმიის ნაწილებთან და არც საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებთან.**

### ჰოსპიტლები ვიწისქვეშა და მათი მუშაობა

მინისქვეშა ცხოვრების უმძიმეს პირობებში ადამიანთა სიცოცხლის შენარჩუნებისათვის დიდი



**414-ე ქართული დივიზიის  
მეზარეულთა სენტრალურ  
კატაკომბებში იპოვეს ადამიანთა  
დიდი ხნის გვაგები. აჭვი არ იყო, რომ  
ეს ფაუნსტთა ბორბოქმელები  
ნაკვალავი უნდა ყოფილიყო.**



როლი შეასრულა ჰოსპიტლებმა. ნითელი არმიის არც ერთი ჰოსპიტალი არასოდეს და არსად არ ყოფილა ისეთ პირობებში, როგორშიც უხდებოდა მუშაობა აჯიმუშკაის ქვის სამტეხლოში მოთავსებულ №1 ჰოსპიტალს. მრავალრიცხოვანი აქტები, რომლებიც სხვა დოკუმენტებთან ერთად იპოვეს სამტეხლოებში, გვიჩვენებს, რომ მედიცინის მუშაკები უკანასკნელ წუთებამდე იმყოფებოდნენ ადგილებზე თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად.

თავდაპირველად დაჭრილები და ავადმყოფები მოთავსებული ჰყავდათ გასასვლელთან ახლოს, სადაც შედარებით სუფთა ჰაერი იყო, მაგრამ, როდესაც ეს ადგილი გერმანელთა ძირგამომთხრელი საქმიანობის შედეგად ძალზე სახიფათო შეიქმნა, ჰოსპიტალი გადაიტანეს კატაკომბების სიღრმეში, იქ, სადაც აფეთქებები საშიში აღარ იყო.

ბლოკადის მძიმე დღეებში, მიუხედავად წყალსა და შეშასთან დაკავშირებული სიძნელეებისა, ჰოსპიტლის მუშაკებმა იზრუნეს ავადმყოფთა ჰიგიენაზე. სუფთა ჰაერის შესასუნთქად რამდენიმე კაცისაგან შემდგარი ავადმყოფთა ჯგუფი გასასვლელთან ახლოს გამოჰყავდათ გარკვეული დროით.

ერთ-ერთ მიწისქვეშა ჰოსპიტალში იპოვეს საექიმო სკამზე მჯდომი თეთრხალათიანი კაცის გვამი, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ექიმმა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ღირსეულად მოიხადა თავისი ვალი.

აჯიმუშკაის ქვის სამტეხლოებში მოთავსებული ჰოსპიტლის მედპერსონალმა უაღრესად ძნელ, პრიმიტიულ პირობებში, მედიკამენტებისა და სამედიცინო ხელსაწყოების გარეშე, ასობით მებრძოლს შეუნარჩუნა სიცოცხლე და ყველა ღონე იხმარა მათი გამოჯანმრთელებისთვის.

მიწისქვეშა გარნიზონის დიდი გაჭირვების შესახებ აჯიმუშკაელი ლევან კვარაცხელია თავის მოგონებაში წერს: „შემოგველია სურსათი. შემცირდა პურის ულ-



**უფა. დამშეულებმა ღამით შემოვართიეთ მკვდარი ცხენები. მონარშვის შემდეგ დამპალ ხორცს საშინელი სუნი ასდიოდა, რომ არ შეგვზიზღებოდა, დაუღეჭავს ველაპავდით. წყალი გვინდა, ცივ კედლებს ვეხებით, წყურვილს გვიოკებს”.**

ასეთ მძიმე ვითარებაშიც კი აჯიმუშკაელები ერთი წუთითაც არ ივინწყებდნენ დაჭრილებსა და ავადმყოფებს. მათზე ყოველდღიური ზრუნვა უწმინდეს მოვალეობად მიაჩნდათ, ზესტაფონელმა ექიმმა გოცაძემ, მიწისქვეშეთში ჰოსპიტალი ჩამოაყალიბა და ყველაფერს აკეთებდა დაჭრილების გადასარჩენად. გოცაძეს დიდ დახმარებას უწევდა თავისი თანამემამულე ლ. განერელია.

ძალზე შეთხელებული გარნიზონები კი კვლავ განაგრძობდნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ჰიტლერელებთან. ერთ-ერთი უკანასკნელი ბრძოლის შესახებ დავით ქორიძე აღნიშნავს: **„1942 წლის 28 ოქტომბერს გერმანელმა ფაშისტებმა გადაწყვიტეს ბოლო მოეღოთ აჯიმუშკაის გარნიზონისათვის და მიწისქვეშეთში დამსჯელი რაზმები გამოგზავნეს: უკანასკნელი ძალღონე მოვიკრიბეთ და გადამწყვეტი ბრძოლისათვის მოვემზადეთ.**

ტყვიების ჯერმა წინ წამოსული ფაშისტების პირველი რიგი მოცეცლა, მაგრამ ჩვენი ძალებიც ილე-

ვა. აღარ გვაქვს ტყვია-წამალი. გამოქვაბულები სავსეა დაჭრილებით. ვეღარ ავუდივართ დახოცილების დაკრძალვას. სეიფების, დოკუმენტების, სამეთაურო ნიშნების გადამალვა მოვასწარიტ და ხელჩართულ ბრძოლებში ჩავებით”.

ოქტომბრის ბოლო რიცხვებისათვის ცენტრალურ ქვის სამტეხლოში დაახლოებით ერთი ათეული დამცველი ღარჩა. ამ დროს ჰიტლერელებმა ბრძანება მიიღეს (უკვე მერამდენედ!) ქვის სამტეხლოებში საბჭოთა მეომრების წინააღმდეგობის საბოლოო ლიკვიდაციისა. 29 ოქტომბერს მათ შეაღწიეს კატაკომბებში. ჰიტლერელები გზას ანათებდნენ ძლიერი მამუქებით, წინ მიიწევდნენ განუწყვეტელი სროლით.

ნოემბრის დამდეგამდე გრძელდებოდა უთანასწორო ბრძოლა მცირე ქვის სამტეხლოში. უფროსი ლეიტენანტის — მიხეილ პოვაჟნისა და ცოცხლად დარჩენილ მცირერიცხოვან მებრძოლთა ბოლო შერკინება ფაშისტებთან აჯიმუშკაის უკვდავი ეპოპეის უკანასკნელი აკორდი იყო.

1942 წლის ნოემბრამდე საბჭოთა მეომრების მცირე ნაწილმა შეძლო სტარი კრიმის ტყეებამდე გაღწევა და იქ პარტიზანებთან შეერთება. ჩვენი მებრძოლების ერთი ნაწილი — დაჭრილები, ავადმყოფები ფაშისტებმა ტყვედ ჩაიგდეს. მათ არც ტყვეობაში მო-



უდრეკიათ ქედი მტრის წინაშე. ტყვეობიდან თავის დაღწევის შემდეგ არაერთმა მათგანმა კიდევ ბევრჯერ ისახელა თავი ჰიტლერელებთან ბრძოლაში.

### ქართველები მიწისქვეშა ბარნიზონში

კატაკომბების კედლებმა დღემდე შემონახა ამაღელვებელი წარწერები რუსულ, ქართულ, უკრაინულ, ჩვენი დიადი სამშობლოს თითქმის ყველა ხალხის ენებზე. ეს წარწერები უტყუარი მონმენი არიან საბჭოთა მეომრების გამირობისა და თავდადებისა.

აი, ზოგიერთი წარწერის ტექსტი: „გაუმარჯოს სამშობლოს. 28.V.42 წ.“ „ჰიტლერულ სიბილწე, მონა შენი აღსასრულის ჟამი“; „ბინძურებო, თქვენი გამარჯვება ხანმოკლე იქნება“; „მოკვდებით, მაგრამ არ დავნებდებით“; „გაუმარჯოს ლენინურ პარტიას“; „გაუმარჯოს დიდ სტალინს“; „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“ და მრავალი სხვა.

ერთი ასეთი ქართული წარწერის ავტორიც დადგენილია. ესაა თელავის ქვეითი ჯარის მეთაურთა სკოლის კურსდამთავრებული ლეიტენანტი შალვა პაპუაშვილი.

არ შეიძლება არ აგაღელვოს კიდევ ერთი ქართული წარწერის ტექსტი: „მე, ეროვნებით ქართველმა, ჩვენს რუს და უკრაინელ მეგობრებთან ერთად თავი შევწირე ჩვენი სოციალისტური სამ-

შობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, ცოცხლად მიგულეთ ქართველებო! გ.ნა...“.

ცნობილმა ქართველმა მწერალმა და ჟურნალისტმა ა.ლ. კოკილაშვილმა კატაკომბების კედლებზე რამდენიმე ქართული წარწერა ამოიკითხა: „ყოჩაღად იყავით, ბიჭებო! პოლიტსელი ი. ფალ...; „ვიგუდები გაზისაგან... ცოცხლებო, შური იძიეთ ჩვენს მაგიერ“; „ვკვდები სამშობლოსათვის, არ ვდარდობ, მხოლოდ დედა მეცოდება. შალვა საითიძე“.

მინისქვეშა გარნიზონის ქართველი მეომრები თავგანწირვით ებრძოდნენ მტერს ყველა უბანზე.

თუ როგორი შემართებით ებრძოდნენ მტერს მინისქვეშეთიდან, ამაზე ნათლად მეტყველებს აჯიმუშკაისა და ბუდაპეშტის გამირის ო. ასათიანის სიტყვები: „ზუსტად ასრულებდნენ რა მინისქვეშა გარნიზონის დავალებას, ჩვენი ქვედანაყოფები, გამირულად ებრძოდნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს. ამ დროს ბევრი ჩემი ამხანაგი დაიღუპა ან დაიჭრა“.

თვითონ ლეიტენანტი ო. ასათიანი მრავალი ასეთი გამოხდომის მონაწილეა. მისი მეთაურობით არაერთხელ დაბრუნდნენ მზვერავი ჯგუფების მებრძოლები მტრისათვის წართმეული საბრძოლო მასალებითა და კვების პროდუქტებით.


ერთ-ერთი ასეთი გამირული გამოხდომის დროს ო. ასათიანი მეომართა ჯგუფთან ერთად მტრის ალყაში აღმოჩნდა. ჯგუფი ფაშისტების

ტების ძლიერ ცეცხლში მოხვდა. საბჭოთა მებრძოლებმა თავი ყუმბარების მიერ ამოთხრილ ორმოებს შეაფარეს. გაცხარებული ბრძოლის დროს ო. ასათიანი თავში დაიჭრა და გონება დაკარგა. როცა გონს მოვიდა, უკვე ფაშისტი ჯალათების ხელში იყო. ვერავითარმა შეურაცხყოფამ, დამცირებამ და ტანჯვა-წამებამ ვერ გატეხა ქართველი ვაჟკაცის გამირული სული. 1944 წლიდან კი ტყვეობიდან თავის დაღწევის შემდეგ მას მიეცა საშუალება, შური ეძია ფაშისტებზე, სამაგიერო მიეზლო მათთვის ათასგზის ჩადენილი მხეცობისათვის.

მინისქვეშეთიდან ორ თვეზე მეტხანს ებრძოდა გამხეცვებულ მტერს თელაველი პოლიტხელი რომან მიქელაძე. მან მინისქვეშა გარნიზონის ბევრი საბრძოლო დავალება პირნათლად შეასრულა. გარნიზონის სარდლობა დიდად აფასებდა მის გამირობასა და თავდადებას სამშობლოს წინაშე.

აღსანიშნავია ისიც, რომ რ. მიქელაძის მეშვეობით შემდგომში არაერთი ქართველი აჯიმუშკაელის ვინაობა დადგინდა. განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებდა იგი, მსროლელი ათასეულის მეთაურს, კაპიტან ნითლაძეს, მსროლელი ათასეულის კომისარს კარპეზ გურჯიძეს, ასეულის პოლიტხელებს ონისიმე კობახიძეს, გურგენიძეს და სხვებს.

რ. მიქელაძემ ფრიად საინტერესო ცნობები მოგვანოდა აჯიმუშკაის გამირის კარპეზ გურჯიძის შესახებ. თვითონ რ. მიქელაძისათვის კი მინისქვეშა გარნიზონის სარდლობის 19 ივლისს მიცემული დავალება ბოლო აღმოჩნდა. 20 ივლისს ღამის 1 საათზე ორი მებრძოლის თანხლებით იგი დაზვერვაზე წავიდა. დავალების შესრულების შემდეგ უკან მიმავალნი მტრის მეავტომატეთა ორ ოცეულს გადაეყარნენ. გადანყვიტეს უომრად არ დანებებოდნენ და მტერს ცეცხლი გაუხსნეს. ფაშისტებმა ერთი თანამებრძოლი მაშინვე მოუკლეს, ხოლო თვითონ რ. მიქელაძე გრანატის ნამსხვ-



რადგანას საარქივო მასალებსა და სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში საუბარი არაა კატაკომბებში გაზის შეშვებაზე საბჭოთა მებრძოლების გარნიზონებთან შეტაკების თაობაზე, უნდა ვიფიქროთ, რომ დავით გრიგოლიას მეთაურობით შექმნილი 17-ქასიანი ჯგუფი (როელიც ძირითადად ქართველებით იყო დაკომპლექტებული) ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ქვის სამთხროებიდან მოულოდნელი თავდასხმით საბრძოლო დარტყმა აგება მტერს.



რევმა ყელში დაჭრა. დაჭრილი პოლიტიხელი ჰიტლერელებმა ტყვედ ჩაიგდეს და ენით აუნწერლად აწამეს.

ქერჩის მიდამოებში დაღუპული არა ერთი საბჭოთა მეზობლის, მათ შორის ქართველების, ნეშტი ბაქსის (დღეს გლაზოვკა) მიწამ მიიზარა. აქ არ შეიძლება საგანგებოდ არ შევეხოთ საბჭოთა პატრიოტების, მოხუცი მეუღლეების, მაქსიმე და ანა იაროსლავსკების განსაცვიფრებელ თავგანწირვას. **ისინი ფაშისტების ურუმრად იპარავდნენ საბჭოთა მეომრების გვამებს და ერთ სავალაპო უჩინდნენ ბინას: შიმდგომში ეს ადგილი საბჭოთა მეზობლების საძმო განსასვენებლად იქცა. აქ დაკრძალულია 1500 დაღუპული მეომარი, მათ შორის 640-ზე მეტი ქართველი.**

იყო ცდები, დიდი მიწიდან დაკავშირებოდნენ აჯიმუშკაის მიწისქვეშა გარნიზონს. მაგალითად, 47-ე არმიის შტაბმა რამდენჯერმე გაგზავნა ქერჩის რაიონში მზვერავთა ჯგუფები 3, 4, 11, 16, 25 კაცის შემადგენლობით. სამწუხაროდ, ისტორიისათვის უცნობი დარჩა, მიაღწიეს თუ არა მათ აჯიმუშკაის გმირ დამცველებამდე. უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა მათგანი მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა.

თავის მხრივ, აჯიმუშკაის გარნიზონის სარდლობაც ცდილობდა დიდ მიწასთან დაკავშირებას. ამაში მას ეხმარებოდა ქერჩის იატაკქვეშეთიც, მაგრამ დიდ მიწასთან კავშირი მრავალი ობიექტური მიზეზის გამო ძალზე გართულებული იყო. ადგილი ჰქონდა ცალკეულ შემთხვევებსაც, როცა ქვის სამტეხლოებიდან რამდენიმე მეზობლობა, მათ შორის ლევან ასათიანმა, კაპკანის გავლით შეძლო ქერჩის სრუტის გადალახვა და სიცოცხლისათვის უდიდესი რისკის ფასად დიდ მიწამდე მიღწევა, მაგრამ დიდი სურვილისა და ცდების მიუხედავად, ჯეროვანი კავშირი ვერ იქნა და ვერ დამყარდა.

**ცნობილია, რომ 1942 წელს ქერჩის ნახევარკუნძულზე ჩატა-**



**რებულ ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდა 224-ე ქართული მსროლელთა დივიზიის ნაწილები, გარდა ამისა, ყირიმის ფრონტის ჯარების შემადგენლობაშიც მრავალი ქართველი მეომარი იბრძოდა.** ამიტომ არ შეიძლება, რომ აჯიმუშკაის ქვის სამტეხლოებში მყოფ მიწისქვეშა გარნიზონის გმირულ ბრძოლებში ჩვენს თანამემამულეებსაც არ მიეღოთ მონაწილეობა და თავის თავზე არ გადაეტანათ ის არაადამიანური ტანჯვა-წამება და ტრაგედია, რომელიც მაშინ კატაკომბებში დატრიალდა.

აჯიმუშკაის ბრძოლებში მონაწილე რამდენიმე ჩვენი თანამემამულის შესახებ მასალები გვხვდება რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში „აჯიმუშკაის კატაკომბებში“.

აჯიმუშკაის ტრაგედიაში მონაწილე მრავალ ჩვენს თანამემამულეთა შორის ერთ-ერთ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ხონის რაიონის სოფელ მათხოჯის მკვი-

დრი მელიტონ სარდიონის ძე ბარბაძე. ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის III კურსიდან მობილიზაციის წესით გაიწვიეს და თელავის ქვეითთა სამეთაურო სასწავლებელში კურსანტად ჩარიცხეს, რომელიც 1942 წლის მარტში დაამთავრა უმცროსი ლეიტენანტის წოდებით. ამის შემდეგ მ. ბარამიძე ყირიმში გაიგზავნა და 224-ე ქართული მსროლელთა დივიზიის 160-ე მსროლელთა პოლკის ნაღმტყორცნელთა ოცეულის მეთაური გახდა.

1942 წლის მაისში ერთი კვირა გადაუღებლად წვიმდა. 224-ე ქართული მსროლელთა დივიზია ყირიმის ფრონტის სხვა შენაერთებთან ერთად უკან იხევდა ქერჩისაკენ. ფაშისტები ბომბავდნენ ჩვენს ნაწილებს. ტამანის ნახევარკუნძულზე გადასასვლელად თავმოყრილ ჩვენს ჯარებს მტერი განუწყვეტლად ცეცხლს უშენდა.

ქვის სამტეხლოებში გამაგრე-



ბულ მეტროპოლითა შორის იყო მ. ბარაბაძეც, რომელმაც თავის მეტროპოლიტთან ერთად კატაკომბების ერთ-ერთ შესასვლელთან დადგა ტყვიამფრქვევი და საშუალებას არ აძლევდა ფაშისტებს შეჭრილიყვნენ გამოქვაბულში. სამტეხლოებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, არ იყო საკვები, სინათლე და ძალზე ჭირდა სასმელი წყლის შოვნა. ჩვენს მეომრებს ტყვიამფრქვევის ზუზუნში გარედან შემოჭქონდათ წყალი და ცხენის ლეში. ლეშის მოსახარმად იყენებდნენ საბურავებს, რომლებიც ასევე გარედან მოჭქონდათ. საბურავებს გვირაბების გასანათებლადაც ხმარობდნენ, რის გამოც საშინელი კვამლი იდგა.

ფაშისტთა გარეთ დადგმული რადიორუბორები ჩვენი მეომრებისაგან დანებებას მოითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზის შეშვებითა და მთლიანი ამოჟღეტიტ იმუქრებოდნენ. რამდენჯერმე ადგილობრივი მცხოვრებლებიც კი შეაგზავნეს ჰიტლერელებმა და „გააფრთხილეს“ ჩვენები — არდანებების შემთხვევაში ამოხოცავდნენ მათ. **საბჭოთა მეტროპოლებს სწამდათ, რომ დიდი მიწიდან მოვიდოდა მამველი ძალა და ერთობლივი დარტყმით მუსრს გაავლებდნენ მტერს.** მაგრამ გადიოდა დღეები, ტყვია-წამალი და სურსათი გამოილია. მეტროპოლები ძალზე დასუსტდნენ. გარედანაც არაფრის შემოტანის იმედი არ იყო. იმის გარკვევაც კი ჭირდა, რომელი დღე და რა რიცხვი იყო.

აჯიმუშკაის ქვის სამტეხლოებ-

ში მოხვედრილმა ჩვენი მეტროპოლების ნაწილმა ჯერ კიდევ გერმანელების მიერ გაზის შეშვებამდე გადაწყვიტა, რომ აუტანელ პირობებში ყოფნას სჯობდა რამდენიმე მამაცი მეომრისაგან შემდგარ ჯგუფს როგორმე გამოეღწია კატაკომბებიდან, ბრძოლით გაერღვიათ მტრის რკალი და თავი დაეღწიათ არაადამიანურ პირობებში ყოფნისაგან. ამის შესახებ საინტერესო მოგონება დაგვიტოვა აჯიმუშკაის ბრძოლების მამაცმა მონაწილემ **ვალერიან ივანეს ძე კუპატაძემ.** 1941 წლის 11 ივლისს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ახლადკურსდამთავრებული მოსკოვში გააგზავნეს სამხედრო აკადემიაში სასწავლებლად. 1942 წლის მაისიდან ყირიმის ფრონტზეა — ქერჩში. მ. მაისს ვ. კუპატაძე გამოცხადდა ქვის სამტეხლოებში განლაგებული ყირიმის ფრონტის ოფიცერთა სარეზერვო პოლკში. აქ იგი შეხვდა სტუდენტობის მეგობარს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის ყოფილ მდივანს, სკკპ წევრს **დავით არსენის ძე გრიგოლიას,** რომელსაც ახლადამთავრებული ჰქონდა თელავის ოფიცერთა სასწავლებელი.


მას შემდეგ, რაც გერმანელებმა ალყა შემოარტყეს სამტეხლოებს, დავით გრიგოლია მტერთან ბრძოლის სამზადისს შეუდგა. მან შეკრიბა გაბედული ვაჟკაცები, შეაგროვა ხელყუმბარები და იარაღი. შემდეგ საბრძოლო მოქმედების გეგმა გაანდო ვ. კუპატა-

ძეს. გეგმის თანახმად 17 კაციდან შემდგარი ჯგუფი დ. გრიგოლიას მეთაურობით უნდა გასულიყო ვინრო, გერმანელებისათვის უცნობი გასასვლელით, მოულოდნელად შერბრძოლებოდნენ ფაშისტებს მანამ, სანამ შიმშილისაგან ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ძალა გამოლეთული, ეშოვნათ იარაღი და სურსათი (იარაღის ადგილსამყოფელი იცოდა ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ).

10 საათზე საბრძოლო ჯგუფი გასასვლელისაკენ დაიძრა. მართალია, ეს ვინრო გასასვლელი მშვიდობით გაიარეს, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა მთავარ გასასვლელს მიუახლოვდნენ, გერმანელებმა შენიშნეს და ცეცხლი გაუხსნეს. მამინ გრიგოლიამ ორ თანამებრძოლთან ერთად სწრაფად გადაინაცვლა წინ და ყუმბარები ისროლა. დანარჩენებმაც წაიწიეს წინ და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ. დ. გრიგოლია ბრძოლის ველზე დაეცა, ხოლო ვ. კუპატაძე თავში დაიჭრა და გონება დაკარგა. ამის შემდეგ ის კატაკომბების სანიტარიულ ნაწილში აღმოჩნდა, სადაც **ქუთაისელი ექთანი თამარ ძოდუაშვილი** უწევდა დახმარებას. თამარ ძოდუაშვილმა შემდეგშიც დიდი შრომა გასწია სამტეხლოებში მყოფ დაჭრილთა და ავადმყოფთა მოვლა-პატრონობისათვის.

რადგანაც საარქივო მასალებსა და სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში საუბარი არაა კატაკომბებში გაზის შეშვებამდე საბჭოთა მეტროპოლების გერმანელებთან შეტაკების თაობაზე, უნდა ვიფიქროთ, რომ დავით გრიგოლიას მეთაურობით შექმნილი 17-კაციანი ჯგუფი (რომელიც ძირითადად ქართველებით იყო დაკომპლექტებული) ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ქვის სამტეხლოებიდან მოულოდნელი თავდასხმით საგრძნობი დარტყმა აგემა მტერს.

1942 წლის მარტში თელავის ქვეითთა საოფიცრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ **ლეიტენანტი დავით ქორიძე** სხვა ოფიცრებთან ერთად ქერჩში გაიგზავნა.





რამდენიმე დღის შემდეგ არმიის შტაბში გამოიძახეს და წინადადება მისცეს 8-10 კაცი საგანგებოდ დაეკავებინათ სამხედრო კომენდანტს დაეკავებინათ. ამ ჯგუფს (მასში სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების წარმომადგენლებიც იქნებოდნენ) ევალებოდა გერმანელების მიერ ქალაქში დატოვებული დივერსანტებისა და ჯაშუშების გამოვლინება, ხოლო შემდეგ მათი იზოლირება. ქერჩთან ფაშისტების მოახლოებაში ძალზე გაააქტიურა დივერსანტები და ჯაშუშები. ისინი იქამდე მივიდნენ, რომ მაშხალებით უჩვენებდნენ გერმანელ მფრინავებს იმ ობიექტებს, სადაც ბომბები უნდა ჩამოეყარათ. აფეთქებდნენ საწვავისა და ტყვია-წამლის საწყობებს, მწყობრიდან გამოჰყავდათ სხვადასხვა ნაგებობანი და სამხედრო კომუნიკაციები. ჰიტლერელები დღედაღამ განუწყვეტლივ ბომბავდნენ ქალაქს, ამის გამო საჰაერო განგაშის ნიშანს უკვე აღარც აძლევდნენ.

ასეთ ვითარებაში ქერჩის სამხედრო კომენდანტმა მაიორმა რუჟევსკიმ გამოიძახა დ. ქორიძე და განუცხადა, რომ სარდლობის ბრძანებით უნდა დატოვონ ქალაქი და გადასხდნენ დიდ მიწაზე. რუჟევსკი მოითხოვდა დ. ქორიძეს შეერჩია თავისი ჯგუფიდან 3-4 კაცი და მათთან ერთად გადასულიყო. დ. ქორიძემ ამ წინადადებაზე უარი განაცხადა. მან ბოდიში მოუხადა კომენდანტს, შემდეგ კი მოახსენა, რომ ასეთ ვითარებაში ბრძოლის ველისა და ამხანაგების მიტოვება ლალატად მიაჩნდა. ამასთანავე შეეცადა, თავის ნათქვამში დაერწმუნებინა კომენდანტი. რუჟევსკიმ ჯერ წარბები შეიჭმუნა, შემდეგ კი ლიმილით დარჩენაზე თანხმობა განაცხადა.

**დ. ქორიძის მიერ შედგენილ ჯგუფში გაერთიანებული იყვნენ: ოთარ ასათიანი, ვლადიმერ ბეგალოვი, დავით გაბიტაშვილი, კუკური შარაშენიძე, ლევან ასათიანი, არდალიონ ბასილია, შალვა პაპუაშვილი და სხვები, რომელთა ვინაობა, სამწუხაროდ,**



**დღემდე უცნობია.**

მითრიდატეს მთიდან, სადაც კომენდანტურა იყო დაბინავებული, აჯიმუშკაის გვირაბებისაკენ მიმავალი რამდენჯერმე გერმანელებს გადაეყარნენ და ბრძოლებით მიიკვლევდნენ გზას. სანამ დ. ქორიძე და მისი ამხანაგები გვირაბებამდე მიაღწევდნენ, შეიტყვეს, რომ ჩვენი ჯარები უნესრიგოდ იხევდნენ უკან და ყველა ცდილობდა, როგორმე ქერჩის სრუტესთან გაეღნია და დიდ მიწაზე გადასულიყო. გადაჰყავდათ მხოლოდ დაჭრილები და სპეციალური ნებართვის მქონე პირები, გადაჰქონდათ საბრძოლო ტექნიკა.

გერმანელები განუწყვეტლივ ბომბავდნენ გადასასვლელს. დამტვრეული ტექნიკა, ადამიანებისა და ცხენების გვამები ერთმანეთში იყო არეული. გერმანელთა მენინავე ძალები ქერჩის სრუტეს უახლოვდებოდნენ. **დ. ქორიძემ და მისმა თანამებრძოლებმა ასეთ არეულობაში თავიანთი ნაწილიდან, რა თქმა უნდა, ვერავინ ნახეს. გაიგეს მხოლოდ ის, რომ ყირიმის ფრონტის ოფიცერთა სათადარიგო პოლკი აჯიმუშკაის ქვის სამტეხლოს მიდამოებშია განლაგებული, რომელიც ფაშისტების წინსვლას აჩერებსო.**

დიდ მიწაზე გადასვლის ყოველგვარ საშუალებას მოკლებული დ. ქორიძე და მისი ჯგუფი აჯიმუშკაის კატაკომბებისკენ დაბრუნდა. მათ თან არ ახლდათ ოთარ ასათი-

ანის ძმა ლევანი, რომელიც ორი დღის წინ არეულობაში სადღაც დაკარგეს. თვითონ ქორიძე ფეხში მსუბუქად იყო დაჭრილი. დაღამებული იყო, როდესაც ისინი გვირაბების ცენტრალურ შესასვლელთან მოვიდნენ, სადაც ჩვენები თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებდნენ. გვირაბში ჩასვლის შემდეგ დ. ქორიძე და მისი ამხანაგები თელავის ოფიცერთა სასწავლებლის 15 კურსდამთავრებულს ნაანყდნენ, რომელთაგან შეიტყვეს, რომ ყირიმის ფრონტის ძირითადი ძალების ევაკუაცია ტამანის ნახევარკუნძულზე მთავრდებოდა. არიერგარდული ჯარის ნაწილებს უნდა უზრუნველყო მათი გადასვლა დიდ მიწაზე. აქვე მათ გაიგეს, რომ შექმნილი იყო **აჯიმუშკაის მინისქვეშა გარნიზონის შტაბი**, რომელსაც დავალებული ჰქონდა, ორგანიზაცია გაეკეთებინა გვირაბებში მოხვედრილი ხალხის თავდაცვითი ბრძოლისათვის, ვიდრე ჩვენები დიდი მიწიდან დესანტს გადმოსხამდნენ და იხსნიდნენ.

14 მაისიდან გვირაბებში უკვე სინათლე აღარ იყო, რადგან ტრაქტორი, რომელიც ძრავას ამუშავებდა, დაზიანდა. ამას ისიც დაემატა, რომ ბენზინის მარაგი გათავდა. კატაკომბების ცენტრალური შესასვლელიდან დაახლოებით 30-40 მეტრის დაშორებით მარცხენა მხარეს ქართველი ოფიცრები მოთავსებულიყვნენ. ესე-



ნი ძირითადად თელავის ქვეითთა საოფიცრო სასწავლებლის კურსდამთავრებულები იყვნენ: **ოთარ ასათიანი, ჭიჭიკო ჭიქაშუა, სიმონ გელაშვილი, გიორგი ბოლქვაძე, შალვა პაპუაშვილი, კორნელი ქვათაძე, აკაკი ლამბაშიძე, მიხეილ შავიშვილი, ნიკოლოზ შუბლაძე და გივი წილოსანი.** სხვა სამხედრო სასწავლებლიდან იყო ვლადიმერ ბეგალოვი.

პირველი ორი-სამი დღის განმავლობაში კატაკომბებში მყოფთათვის ფაშისტებს არ ეცალათ, ისინი ბრძოლებს აწარმოებდნენ ნითელი არმიის ცალკეულ ჯგუფებთან, რომლებმაც დიდ მიწაზე გადასვლა ვერ შეძლეს და სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს. ვინც მათგან ცოცხალი გადარჩა, შემდეგ აჯიმუშკაის გვირაბებს შეაფარა თავი. გერმანელებმა იცოდნენ, რომ გვირაბებში დიდი რაოდენობით საბჭოთა მეომარი იყო, რომლებიც დიდი მიწიდან დახმარებას ელოდებოდნენ და დანებებას არ აპირებდნენ. მტერმა გვირაბების გარშემო საკმაო რაოდენობის ჯარს მოუყარა თავი. ისინი აჯიმუშკაის გარნიზონისაგან მოულოდნელ თავდასხმასაც ელოდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, რომ ჩვენები იარაღისა და საბრძოლო მასალის მწვავე ნაკლებობას განიცდიდნენ.

აჯიმუშკაის ქვის სამტეხლოებში მყოფნი თავდაპირველად დარწმუნებული იყვნენ, რომ ჩვენები დესანტს გადმოსხამდნენ და გარემოცვიდან გამოიყვანდნენ მათ. მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით

უფრო მეტად უარესდებოდა მდგომარეობა, ხოლო როდესაც დიდ მიწასთან რადიოკავშირიც შეწყდა, დესანტის გადმოსხმის იმედიც თანდათან დაიკარგა. **წყლის, სურსათისა და სინათლის უქონლობის პირობებში განსაკუთრებით აუტანელი ხდებოდა დაჭრილთა სვენა-მუდარა — ესროლათ მათთვის და ტანჯვანამებისაგან გაეთავისუფლებინათ.**


24 მაისს ქართველ ოფიცრებს გამოუცხადეს, რომ ნადავლის ხელში ჩასაგდებად (სურსათი, წყალი, იარაღი) მზად იყო ქვეითთა ასეული, რომელსაც შტაბის გადანყვებილებით უიარალო ქართველი ოფიცრები უნდა გაჰყოლოდნენ გარეთ, რათა ბრძოლის პერიოდში შეეგროვებინათ, რასაც შესძლებდნენ და გვირაბში შეეზიდათ. გვირაბებიდან მოჩანდა მაისის მზიანი დღე. დ. ქორიძემ ფარაჯა გაიხადა და გვირაბში დატოვა, რათა ხელი არ შემოლოდა ბრძოლაში. შეიარაღებული ქვეითთა ასეული წინ მიდიოდა, უკან უიარალო ოფიცრები მიჰყვებოდნენ. გერმანელების მხრიდან სროლის ხმა არ ისმოდა. უკან მიმავალნი ვერ მიხვდნენ, რაში იყო საქმე. ალბათ ფიქრობდნენ, ფაშისტთა პოზიციები მოშორებითაა და ამიტომ არ ხსნიანო ცეცხლს. ისინი ლასლასით განაგრძობდნენ წინსვლას, მაგრამ ყველაფერი მაშინ გახდა ნათელი, როცა უკვე გვიან იყო. გვირაბიდან გამოსვლისთანავე წინ მიმავალ დ. ქორიძეს გერმანელი სწვ-

და და გვერდზე გაიყვანა. ირგვლივ შეიარაღებული ფაშისტები იდგნენ. დავითი რამდენიმე ამხანაგთან ერთად ფარდულის უკან გაიყვანეს, სადაც მრავალი საბჭოთა ტყვე ჰყავდათ. როგორც შემდეგ გამოირკვა, გვირაბებიდან გამოსვლის დროს ფაშისტები თურმე განგებ არ ესროდნენ ჩვენს მეომრებს. ისინი ჩასაფრებული იყვნენ და გამოსულებს სათითაოდ იჭერდნენ ხელით, ყოველგვარი ხმაურის გარეშე, — შიმშილითა და უწყლობით ქანცგამოლეული საბჭოთა მებრძოლები ფიზიკურ წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ მათ.

დ. ქორიძემ სხვებთან ერთად რუმინეთში გაატარა ტყვეობა საკონცენტრაციო ბანაკში. შემდეგ გაექცა ფაშისტებს და ბუდაპეშტში იბრძოდა.

**აჯიმუშკაის ქვის სამტეხლოებში იმყოფებოდნენ ქართველი მეომრები: პოლიტხელი შალვა სილოვანის ძე ცეროძე (შესაძლებელია წეროძე), პოლიტხელი იასონ სტეფანეს ძე ტორნჯაძე, უფროსი პოლიტხელი გოგაძე, ლეიტენანტი კოპკანაძე, რიგითი მებრძოლები ამბროსი დეკანოსიძე, გაბზიანიძე, ვახტანგ ჩიქოზავა, საგარეჯოელი ივანე დიმიტრის ძე მეკოშვილი.** ის 224-ე ქართული მსროლელთა დივიზიის ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონში საქვემეხო გათვლის მეთაურად მსახურობდა. 1942 წლის 7 მაისს სოფელ აკ-მონაისთან ფეხში დაიჭრა და წაიყვანეს საველე ჰოსპიტალში, რომელიც აჯიმუშკაის ქვის სამტეხლოში იყო მოთავსებული. ი. მეკოშვილის გადმოცემით, კატაკომბებში ბევრი ქართველი ყოფილა, რომლებიც განაწილებული იყვნენ სხვადასხვა ქვეგანყოფებში. მასთან ერთად ჰოსპიტალში იმყოფებოდნენ დაჭრილი ნითელარმიელები **შოთა შენგელია და ვარლამ ახვლედიანი,** რომლებმაც ვერ გაუძლეს აუტანელ ტანჯვანამებას და დაიღუპნენ.

როდესაც ფაშისტებმა ქვის სამტეხლოების ჭერი ააფეთქეს, რომელმაც დიდძალი ხალხი იმსხვ-







ერპლა, გადარჩენილებს გასასვლელისაკენ გზა გადაეკეტათ და გარნიზონის დანარჩენი ნაწილისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდნენ. ამის გამო 30 კაცმა მოილაპარაკა — აფეთქებისაგან გაჩენილი ხვრელით ღამით მალლა ასულიყვნენ, როგორმე ქერჩის გარეუბნამდე მიეღწიათ და იქ ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად რაიმე ღონისძიება ეხმარათ. ასეც მოიქცნენ, მაგრამ ქერჩთან მისული არც კი იყვნენ, რომ გერმანელები გარს შემოერთყვნენ და ყველანი დაატყვევეს. საკონცენტრაციო ბანაკში მრავალი ტანჯვა-წამების შემდეგ ი. მეკოშკიშვილს გამარჯვების დღემ ქ. დიუსელდორფში მიუსწრო.

თელავის ქვეითთა სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან აჯიმუშკაის ბრძოლებში მონაწილეობა **ჭიათურელი ივანე პარმენის ძე კაპანაძე**. როდესაც ქერჩში გერმანელები შემოვიდნენ და ბრძოლები გაჩაღდა, ი. კაპანაძემ თანამებრძოლებთან ერთად გაჭირვებით მიაღწია აჯიმუშკაის პატარა გამოქვაბულს. აქ იგი შეხვდა **ჭიათურელი ივანე ტყემალაძეს**. ი. კაპანაძე, ი. ტყემალაძე, ასლან ხუხაშვილი, ერემია კლდიაშვილი და სხვა თანამებრძოლები საყდრის მახლობლად იყვნენ მოფარებული და იქიდან ესროდნენ გერმანელებს. ღამით პატარა გამოქვაბულში ჩავიდნენ. მათ შეამოწმეს მდგომარეობა და მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურ კატაკომბებამდე მტერი იდგა, გადაწყვიტეს ბრძოლებით გაეკაფათ გზა. ასეთ მოიქცნენ და მიაღწიეს კიდეც დიდ გამოქვაბულამდე.

სწორედ იმ დღიდან დაიწყო ის ტრაგედია, რომლის მონაწილეც მათთან ერთად ათასობით საბჭოთა ადამიანი იყო. **ფაშისტები მხრჩოლავ საკვამლე კოჭებს ყრიდნენ კატაკომბებში. ი. კაპანაძეს ერთ-ერთ ამხანაგთან ერთად დავალებული ჰქონდა ცეცხლმოდებული საკვამლე კოჭა და უყოვნებლივ უკანვე გასროლა, სანამ კვამლი გაძლიერდებოდა. ჩვენი თანამემამულე ასეც აკეთ-**

**ებდა. იგი არაერთხელ გადაურჩა სიკვდილს.** 1944 წლის ოქტომბერში რუმინეთის ტერიტორიაზე მყოფი ი. კაპანაძე შეუერთდა წითელი არმიის ნაწილებს. ომგადახდილი სამშობლოს დაუბრუნდა და პედაგოგიურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი.

ქვის სამტეხლოებში პოლკის ერთ-ერთი ასეულის პოლიტხელი იყო **ა. ზაქარეიშვილი**. ასეული, რომელსაც ის მეთაურობდა, ძირითადად დაკომპლექტებული იყო ახალგაზრდა ლეიტენანტებით — თბილისის უმაღლესი სასწავლებლის ყოფილი სტუდენტებით, რომლებსაც სამხედრო ნოდებები მიღებული ჰქონდათ სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ. ისინი უნდა გაენაწილებინათ სხვადასხვა შენაერთებში, მაგრამ მტრის მოულოდნელი თავდასხმის გამო ყველანი აჯიმუშკაის სამტეხლოებში აღმოჩნდნენ. რაც შეეხება **ა. ზაქარეიშვილს**, ის საბრძოლო დავალების შესრულების დროს ფაშისტებმა დაატყვევეს. ტყვეობიდან გაქცევის შემდეგ საბჭოთა არმიის რიგებში იბრძოდა.

აჯიმუშკაის ბრძოლების მონაწილეების — ო. ასათიანის, გ. ბოლქვაძის, ვ. ბეგალოვის, ლ. განერელიას, დ. ქორიძის და გ. ნილოსანის გადმოცემით, ქვის სამტეხლოებში უნდა დაღუპულიყვნენ ლეიტენანტები ვახტანგ მჭედლიშვილი, კარლო ხუნდაძე, პეტრე ენუქიძე, ვახტანგ თუთბერიძე, უმცროსი ლეიტენანტები ძმები ჟორა და ბორის გეგენავები, ბეჟან ჭკუასელი.

**თელავის საოფიცრო სასწავლებლის კურსდამთავრებულები ერთად გაემგზავრნენ ყირიმის ფრონტზე. ქერჩში ჩასვლისას ისინი ჩარიცხეს ოფიცერთა სათადარიგო პოლკში. შემდეგ დ. ქორიძის მეთაურობით ქერჩის სამხედრო კომენდანტის დაქვემდებარებაში გადავიდნენ.** გერმანელთა შეტევის დროს არეულობაში ლევან ასათიანი დასცილდა თავის ძმასა და დავით ქორიძეს. შემდეგ ქერჩის დაცვისათვის წარმოებულ ბრძოლებში მონაწილე-

ობდა და კატაკომბებში მოხვდა. იქ იგი ეძებდა ძმასა და დ. ქორიძეს, მაგრამ ვერ მიაგნო. სამტეხლოებში არსებული აუტანელი პირობების გამო ლევანმა რამდენიმე მეგობართან ერთად მოახერხა გვირაბებიდან თავის დაღწევა და ზღვით დიდ მინაზე გადავიდა. შემდეგ 57-ე არმიის შემადგენლობაში იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ.

ქვის სამტეხლოებთან ბრძოლების დროს ტყვედ ჩავარდნენ, ხოლო ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლებში მონაწილეობდნენ და **ბუდაპეშტის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში გამირულად დაიღუპნენ პოლიტხელი ალექსანდრე გვინჩიძე, ლეიტენანტი დათიკო ჩიტაია, გრიშა ცირამუა, ვლადიმერ მესხია, შალვა კობიაშვილი, უმცროსი ლეიტენანტები იაკობ ცინცაძე და გიორგი ჯვირანაშვილი.** აჯიმუშკაის კატაკომბებსა და ფაშისტთა ტყვეობაში ყოფნის შემდეგ წითელი არმიის რიგებში იბრძოდნენ და სამშობლოს გამარჯვებული დაუბრუნდნენ პოლიტხელი **იაკინთე ლომაძე, ლეიტენანტები: მოსე ქარჩავა, ჭიჭიკო ჭიქაშუა, რუბენ ძნელაძე, მიხეილ ბეროშვილი, უმცროსი ლეიტენანტი სიმონ გელაშვილი.** მიწისქვეშა გარნიზონის სარდლობის დავალებით ერთ-ერთი საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს სასიკვდილოდ დაიჭრა 224-ე ქართული მსროლელთა დივიზიის ყოფილი უფროსი პოლიტხელი **ჭიათურელი კარპეზ გურჯიძე.** ვ. ბეგალოვის გადმოცემით, ქვის სამტეხლოების ერთ-ერთი ძლიერი აფეთქების დროს დაიღუპა პოლიტხელი **ტიტე ჩხაიძე.** საბრძოლო დავალების შესრულების დროს გამირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე ლეიტენანტები: **ნოე ზეინალიძე, გრიგოლ მჭედლიშვილი, გიორგი ხოჯაშვილი, ვასილ სირაძე, გიორგი ჭაშვილი, სერჟანტი შალვა ჯიქია და** წითელარმიელი **შალვა ბურჯანაძე.**

სხვებთან ერთად აჯიმუშკაის



კატაკომბებში იმყოფებოდნენ **დ. შანიძე, მ. ურუშაძე, შ. მაკარიძე, შ. ზირაქიძე**, რომლებმაც გაუძლეს ქვის სამტეხლოებში არსებულ აუტანელ პირობებს, შემდეგ ტყვეობაც გამოსცადეს და ბოლოს გამარჯვებული დაუბრუნდნენ სამშობლოს.

აჯიმუშკაის ქვის სამტეხლოებში იყვნენ და ვაჟკაცურად იბრძოდნენ უფროსი პოლიტხელი **შალვა სვანიძე**, ლეიტენანტები: **ვალიკო კვანტრიშვილი, კუკური ჯაფარიძე, ილია ჯიბლაძე, გიორგი ტურიაშვილი** და ნითელარი-მიელი **სულიკო გიგაური**.

მინისქვეშა ბნელ ნესტიან კატაკომბებში მყოფ დაჭრილებსა და დაავადმყოფებულ საბჭოთა მებრძოლებს დიდი მზრუნველობით უვლიდნენ და პატრონობდნენ სამედიცინო სამსახურის კაპიტნები — **გიორგი საყვარელიძე და დურუ თოლორაძე**. ამ კეთილშობილურ საქმეში მათ მხარში ედგნენ ქართველი ქალები, ექთნები — **მარიამ დავითაშვილი და მარო დოლიძე**.

ქვის სამტეხლოებში დაილუპნენ პოლიტხელი **ონისიძე კობახიძე**, კაპიტანი **ნითლიძე**, მაიორი **ლავრენტი სისაური**, პოლიტხელი **გურგენიძე**, შოთა **გეგეჭკორი**, **გიორგი ყიფშიძე** და **ივანე სპანდერაშვილი**.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო მძიმე და აუტანელ პირობებში ვარდებოდნენ მინისქვეშეთში. ისინი ცოტანილა დარჩნენ, აღარ ჰქონდათ სასმელი, საჭმელი. დაავადმყოფებულნი უკანასკნელ დღეებს ითვლიდნენ, მაგრამ მტერს შეწყალებას არ თხოვდნენ და მათ ხელში ჩავარდნას სახელოვან სიკვდილს ამჯობინებდ-

ნენ. ზემდგომ ორგანოებში წარდგენილ მოხსენებებში ჰიტლერელები წერდნენ: **„ცენტრალური ქვის სამტეხლოს გარნიზონი ჯერ კიდევ ივლისის შუა რიცხვებში უპუროდ დარჩა, ყოველდღიურად მეომრებს შეეძლოთ მიეღოთ 150 გრამი შაქარი და 20 გრამი პროდუქტი წვნიანის მოსახარშად. შიმშილის გამო მინიდან თხრიდნენ ადრე ჩამარხულ ცხენის ძვლებს და ტყავებს და ხარშავდნენ. როდესაც ესეც გამოელაიათ, ვირთხების დაჭერა დაიწყეს“**.

კატაკომბებში ყოველდღე შიმშილით, წყურვილით, აფეთქებებითა და მომწამლავი გაზებით ასობით ადამიანი იღუპებოდა. ასე გაგრძელდა ეს ბრძოლა და ტრაგედია ოქტომბრის ბოლო რიცხვებამდე — თითქმის ხუთ თვეს. ბოლოს ფაშისტი მტარვალები დარწმუნდნენ, რომ ქვის სამტეხლოში ცოცხალი აღარავინ უნდა ყოფილიყო და, თუ ვინმე მაინც იქნებოდა, ვეღარც შეძლებდა წინააღმდეგობის განევას. ჰიტლერელები ძლიერი დამაბრმავებელი განათებით, ძაღლებით, ავტომატების სროლითა და ხელყუმბარების გრიალით კატაკომბებში შეცვივდნენ, საიდანაც ღონემიხდილი და სიკვდილის პირას მიმდგარი რამდენიმე ადამიანი გამოათრევს.

აჯიმუშკაის ქართველი გმირებიდან მინისქვეშა გარნიზონის ოპერატიული განყოფილების უფროსი, ლვოველი ნიკოლოზ ვილჩენკო განსაკუთრებით იხსენიებს გეგეჭკორის რაიონის მკვიდრს, **შ. ა. გეგეჭკორს**, რომლის თავდადებას სამშობლოს წინაშე მინისქვეშა გარნიზონის

ხელმძღვანელობა სათანადოდ აფასებდა.

შ. გეგეჭკორმა სახელი გაითქვა, როგორც ერთ-ერთმა საუკეთესო მეტყვიამფრქვევემ. იგი ხშირად მონაწილეობდა ჰიტლერელებზე თავდასხმაში. „შოთას „მაქსიმას“ ცეცხლი ყოველთვის ეფექტური იყო. იგი ხშირად ხოხვით სრულიად მოულოდნელად მიეპარებოდა ხოლმე მტერს და პირდაპირი დამიზნებით გამანადგურებელ ცეცხლს დაუშენდა მას, ამხანაგებთან ერთად შოულობდა წყალს, საჭმელს, ტყვია-წამალსა და მეგობრებისათვის მოჰქონდა მინისქვეშეთში“.

სერჟანტი შ. ა. გეგეჭკორი გმირის სიკვდილით დაეცა ბრძოლის დროს, იგი მხედრული პატივისცემით დაკრძალეს ცენტრალური კატაკომბების ერთ-ერთ ამოსასვლელში.

აჯიმუშკაის ქვესკნელში ქართველი ქალის გმირული სული ნათლად გამოავლინეს მედიცინის მუშაკებმა **თამარ ჭიაურელმა, ქუთაისელმა თამარ ძოდუაშვილმა, ალექსანდრა ლეჟავამ, მარიამ დავითაშვილმა, მარო დოლიძემ** და სხვებმა, რომელთა სულის სიმტკიცე და თავდადება სამშობლოს წინაშე ვაჟკაცების გმირობას არ ჩამოუვარდებოდა. რამდენ დაჭრილს შეუნარუნა სიცოცხლე მათმა მადლიანმა მარჯვენამ!

ცნობილია, რომ გერმანელთა სისხლიანი ტერორის შედეგად აჯიმუშკაის კატაკომბებში ასობით სამხედრო მოსამსახურე და მშვიდობიანი საბჭოს მოქალაქე დაიღუპა. ზოგიერთი მათგანი ცოცხლად დაიმარხა აფეთქების შედეგად ჩამონგრეულ ჭერქვეშ, გაზებითა და სხვა საშუალებებით დახოცილთა უმრავლესობის გვაშები ისე გაიხრწნა ბნელ, ნესტიან მინისქვეშეთში, რომ მათი ვინაობის დადგენა შეუძლებელი გახდა. ასეთივე ბედი ეწია ფაშისტთა ტყვეობაში ჩავარდნილთა უდიდეს ნაწილს, რომლებიც საკონცენტრაციო ბანაკებში ანდა მძიმე საკატორლო სამუშაოებზე დაიხოცნენ.

**სამარადისო დიდება გმირებს!**

**«შიშვილის გაპო მინიდან თხრიდნენ ადრე ჩამარხულ სხენის კვლავს და ტყავებს და ხარშავდნენ. როდესაც ესეც გამოელაიათ, ვირთხების დაჭერა დაიწყეს».**  
**კატაკომბებში ყოველდღე შიმშილით, წყურვილით, აფეთქებებითა და მომწამლავი გაზებით ასობით ადამიანი იღუპებოდა.**



# ფარაჯიანი პოეტები

საინტერესო ფრონტული პოეზია შექმნეს ქართველმა მებრძოლმა პოეტებმა, მათ საკუთარი სისხლით დაიცვეს ჩვენი სამშობლოსა და ხალხის თავისუფლება, არასოდეს ავიწყდებოდათ ორი რამ: სამშობლოსათვის თავდადება და ლექსი.

ომი ადამიანების რიცხვს ამცირებს, გმირების რიცხვს კი ზრდისო, ამბობენ. ეს ჭეშმარიტება ყველაზე უფრო შთამბეჭდავად დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში გამოიყვანა. აქ აშკარად გამოჩნდა მრავალეროვანი და მრავალმილიონიანი სახელმწიფოს ხალხების გმირული სული. მარტო ციფრების ენით რომ ვისაუბროთ, ისიც კმარა.

ქართველმა პოეტებმაც თავიანთი სიტყვა თქვეს სამამულო ომში ისინი, როგორც კალმით, ისევე ხიშტით იბრძოდნენ ვერაგი მტრის გასანადგურებლად. მათი ლექსების მღვლეარე სტრიქონები მეომრებს ამხნევებდა. თავიანთი ლექსების გმირებთან ერთად ისინიც გაუყვნენ ომის ძნელ გზას და ბევრმა მათგანმა საკუთარი თვალით ნახა, თუ როგორ აღმართეს გამარჯვების წითელი დროშა რუსმა ეგოროვმა და ქართველმა ქანთარიაშვილმა დამარცხებული რაიხსტაგის თავზე.

**(დასასრული. დასაწყისი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №4)**



## ვახტანგ გორგანელი

ვახტანგ გორგანელს დიდმა სამამულო ომმა ჯარში მოუსწრო, როცა ის შორეულ აღმოსავლეთში იხდიდა სამხედრო ვალდებულებას. 1942 წელს ციმბირელთა რჩეული საბრძოლო შენაერთები სტალინგრადის ფრონტისაკენ დაიძრნენ, ვახტანგ გორგანელი ამ ნაწილებს მიჰყვა, იგი სახელგანთქმული 62-ე არმიის მზვერავი ჯარისკაცი იყო.

დიდი ბრძოლის გზა გაიარა ვახტანგ გორგანელმა, ბევრი რამ ნახა და განიცადა იქ, სადაც სამშობლოს ბედი წყდებოდა და საბჭოთა

ადამიანები გმირულად იცავდნენ ოქტომბრის მონაპოვარს. მისი არა ერთი ლექსი ბრძოლის ქარცეცხლში დაინერა. ეს ლექსები შეტანილია ოცდახუთი წლის წინათ გამოცემულ მის წიგნში — „სიცოცხლის ტალღები“, რომელშიაც ცალკე განყოფილება აქვს დათმობილი ომის თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებებს. ამ განყოფილებას ჰქვია: „ცეცხლის საზოგადოება“. კითხულობთ მას და თქვენს თვალწინ წარმოსდგება არაერთი ბრძოლის დრამატიზმით აღსავსე მომენტი.

ვ. გორგანელის პოეტური ხელნერა გამოირჩევა პირდაპირობითა და სინათლით. უშუალობა მისი ინტონაციის მთავარი წყაროა. ამის მკაფიო დადასტურებაა სამამულო ომის თემაზე დაწერილი მისი ცნობილი ლექსი „ფერფლი“, ლექსში დამაჯერებლად, დიდი შემოქმედებითი მგზნებარებით ლაპარაკია პოეტი ჯარისკაცის მაღალ სულისკვეთებაზე, რომელსაც ნაღველიც ახლავს მეგობრის დაკარგვით გამოწვეული:

**ო, მე იმ დღიდან  
პოეზიის მედება ცეცხლი,  
როს სტალინგრადის  
გრიგალებმა მკერდი დასერეს.  
მე დაცემული მეომარის  
თანა მაქვს ფერფლი**

**და მისი ფერფლი  
აღარ მასვენებს.**

ვ. გორგანელი — მოქმედი არმიის ჯარისკაცი თოფსა და კალამს ერთნაირი ძალით იყენებს. სწორედ მოქმედ არმიის წერს იგი ისეთ ცნობილ ლექსს, როგორიცაა „დაჭრილი მეომარი“. ამ ლექსში ვაჟკაცური შემართება და გმირული პათოსი იგრძნობა. ყოველი სიტყვა ზუსტადაა აქცენტირებული და საერთო ომახიანი, ოპტიკური კილოც დაჰკრავს:

**იქნებ ფიქრობთ,  
გორგანელი მტრების ტყვეა  
და არ იცით —**

**სისხლში ვცურავ.  
და ვიტოვებ უკანასკნელ  
თოფის ტყვიას,  
რომ მტერს შევხვდე**

**ვაჟკაცურად.**  
სწორედ ასეთი და მხოლოდ ასეთი გამამხნეველი ლექსები მოსწონდათ მებრძოლებს, ასეთი გამარჯვების რწმენით აღსავსე სტრიქონები ამხნევებდა მათ და სიცივესა და ტკივილებს, დარდსა და ნაღველს უმსუბუქებდა:

**ველზე ვწევარ სახელოვან  
ხალხის შვილი,  
მოგონებებს აღმოფრენით  
ვათარიღებ,  
ცა დამყურებს მზის  
დალალებჩამოშლილი  
და ჭრილობებს იდუმალი  
სიო მირხვეს.**

დღესაც გარკვეული ლიტერატურულ-მხატვრული მნიშვნელობა აქვს პოეტის ლექსს „ბრძოლის შემდეგ“ (1942). განსაკუთრებით მღვლეარედ იკითხება „სიმღერა“, რომელიც ვაჟკაც ფხოველისადამია მიძღვნილი:

**ბრძოლის ველი —  
გმირს სხვა არა უნდა რა,  
ელვის რაში და  
მახვილი ხელში...  
ძმაო, როგორც შაშხანა  
და ყუმბარა**

**მეც მიგულვე  
კარპატების მთებში.**  
ვ. გორგანელმა სწორედ ომის კანონადების პერიოდში შექმნა „სტა-



ლინგრადი“, „შეხვედრა“, „ახალნ-ლის ღამე“, „ქორწილი“, „ჯერ არ ვეცყვი“. ყველა მათგანში ჩანს ადამიანის სულის უნატიფესი გრძნობა. არ დარჩენილა ომისა და მის ირგვლივ წამოჭრილი არც ერთი აქტუალური საკითხი, რასაც არ შეხებოდეს პოეტის სიტყვა.

სამამულო ომში გამარჯვების შემდეგ, პოეტი სოციალისტური შრომის მხატვრულ მემკვიდრედ გვევლინება. აქ არაერთი თბილი სიტყვა შეიძლება ითქვას მასზე, მაგრამ ჩვენ მაინც მის მხოლოდ ერთ-ერთ წარმატებას აღვნიშნავთ.

ამ რამდენიმე წლის წინათ ცნობილი გახდა, რომ ქართველი მეომარი ფორე მოსულიშვილი გმირულად დაიღუპა იტალიაში ფაშიზმთან წარმოებულ უთანასწორო ბრძოლაში. ფორე მოსულიშვილი დღეს იტალიის ეროვნული გმირია. ვ. გორგანელი ერთ-ერთი პირველი პოეტია, რომელმაც გულთან მიიტანა მოძმის ბედ-იღბალი. სცადა ლექსების ციკლში აესახა თავდადებული თანამემამულის ღვაწლი. ვ. გორგანელის ლექსები ფორე მოსულიშვილის შესახებ „ნახტომი იტალიის მთებიდან“ ქართული საბრძოლო პოეზიის საგანძურში სათანადო ადგილს დაიკავეს.



### მურმან ლებანიძე

მურმან ლებანიძე თავისებურად, ღრმა გრძნობით წარმოსახავს სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობას:

**ჰოი, წამებავ,  
სიყვარული გერქვას  
სახელად...**

### ჰოი, მამულის სიყვარულო — გერქვას წამება.

სწორედ მამულის დიდმა სიყვარულმა ააღებინა ხელში პოეტს იარაღი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1946 წელს გამოვიდა პოეტური კრებული „სალამურები“, რომელშიც სხვებთან ერთად მოთავსებული იყო მ. ლებანიძის სამამულო ომისადმი მიძღვნილი ლექსთა ციკლი. ლექსებში იგრძნობა მღელვარე პოეტური გატაცება და ძიება, ამასთან ერთად, გარკვეული ოსტატობის დონეც. ძალზე საინტერესო ლექსია მ. ლებანიძის „მებრძოლის ქუდი“. აქ მოძებნილია ეფექტური ქარგა. პოეტი ატარებს ქუდს ბრძოლებში. ეს ქუდი ქართველი მეომრის თავსაფარია, ხოლო ქართველი მეომარი მტერს ხან კრასნოდარში ებრძოდა, ხან ქლუხორთან, ხანაც ბერლინის მისადგომებთან, ლექსში ქუდი გააზრებულია ქართველი მებრძოლის სინდის-ნამუსადაც.

**აი, ეს ქუდი მექნება,  
ვიდრე ჩამიტანს მინა მე,  
და მწამს, თუნდ ჩრჩილმა**

ნაშალოს

**მისი ფერმკრთალი სიმწვანე,  
მწამს, რომ ზედ მაინც დარჩება,  
წელთა სვლით**

**ნაფერმკრთალევი,  
წინწკლები სისხლის და შუქი  
ლენა გორლოვას თვალების.**

განსაკუთრებით საინტერესოა მ. ლებანიძის „ფრონტული დღიურები“. აქ მრავალი ფასეული ლექსია, რომელიც მოქმედ არმიაშია დაწერილი. სიკვდილ-სიცოცხლეზე, ყოფნა-არყოფნაზე, კაცის ბედზე და ყოფაზე გვესაუბრებიან ეს დღიურები. მ. ლებანიძის ომის შემდგომ დაწერილ ლექსებში ყურადღება გამახვილებულია უფრო მეტად შინაგან სულიერ სამყაროზე. გავიხსენოთ ლექსი „გარიაჩი კლუჩიდან კრასნოდარამდე“, სადაც ჩვენ თითქოს ვეხებით სისხლითა და ცრემლით განზანდილ მინას, გვესმის ზარბაზნების გრუხუნნი, ვხედავთ ნაღმებით „გაბზარულ ცას“. ლექსში „ათასი კილომეტრი გასავლელ თოვლში“ პოეტი სიმბოლოებით მიგვანიშნებს სიცარიელის, ინდი-

ფერენტიზმის, სიკვდილის, ომის უაზრობის განწყობილებას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ათწლეულში ახალი ელვარება შეიძინა მ. ლებანიძის პოეტურმა ვნებამ. განსაკუთრებით აღსანიშნავია პოემა „ანისის ალება“, ლირიკული ლექსების ციკლი საქართველოზე, მის ანწყოსა და მომავალზე. გადის დიდი დრო, პოეტი მაინც ვერ ივიწყებს ნახულსა და გაგონილს და კვლავ აგონდება ფაშისტურ ურდოთა მიერ ჩადენილი ბოროტება.

**დამესიზმრება:  
სისხლის წებო ჩექმაში ჩამდის  
და, როგორც კურდღელს,  
მესერშიმდტი მინდორში  
დამდევეს.**

**ვდგები, ვეცემი —  
ვერ წავუველ მოტორის  
ხროტინს,**

**სისინებს ტყვია,  
ჩემს გარშემო ბალახებს  
კორტინს.**

**მინის ლუკიდან  
შემამონმებს პილოტის თვალი,  
ძირს, ცხენის ლეშთან  
ხომ ნამდვილად  
ვაგდივარ მკვდარი.**

მ. ლებანიძის ლექსები გვხიბლავს არა მარტო თემატიკური და მხატვრული სრულყოფილებით, არამედ მამულისადმი უანგარო სიყვარულით, მამულისადმი, რომელსაც მრავალმა ახალგაზრდამ შესწირა თავი.



### რევაზ პარბიანი

„მე მოხალისედ წავედი ფრონტზე, სადაც შემდეგ საფრონტო გაზეთებში ვთანამშრომლობდი. ომ-



ში ბევრი რამ ვნახე და განვიცადე. დღესაც ხშირად ვუბრუნდები ხოლმე ჩემს ლექსებში იმ მრისხანე ნლებს“ — ამბობს ცნობილი პოეტი რევაზ მარგიანი. ჟურნალ „განთიადის“ პირველი ნომერში დაბეჭდილია რ. მარგიანის ლექსი „თოვამი შეხვედრა გაზაფხულთან“. პოეტი კვლავ უბრუნდება გარდასულ დღეებს და იხსენებს ომს:

**გამხდარ ბეჭებზე  
დარდით სავსე თოფრა მეკიდა...  
და თვით არ ვიცი...  
როგორ მოხდა,  
სიკვდილს გადავრჩი.  
გამოვალწი  
როგორც იქნა დამწვარ  
ქერჩიდან  
და დაბნეული  
გზას ვიკვლევდი  
დამწვარ ბალახში!**

მთლიანად ეს ლექსი იკითხება დიდი მღელვარებით, ერთი ამოსუნთქვით. ალაგ-ალაგ პოეტს განცდა ბოჭავს, სუნთქვა უჭირს და ლაღადისივით აღმოხდება: „რომ ამცდა ტყვია, ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!“

პოეტის ომისდროინდელი ლექსები დაკავშირებულია ჯარისკაცის ბედთან, სულიერ და ფიზიკურ დაძაბულობასთან, არააღამიანურ მოთმინებასთან.

ამ ლექსებიდან გამოირჩევა „ზამთარს“. იმას გარდა, რომ ზუსტადაა დახატული მეომრის განწყობილება, აქ ამაღლებულადაა გადმოცემული ლირიკული გმირის სულის მოძრაობა, შესანიშნავ მხატვრულ სიტყვაშია გაცხადებული მთავარი სათქმელი:

**დაუთოვია ზღვებიდან ზღვამდე,  
თოვლით ქათქათებს ირგვლივ  
მთა-ველი,  
მიწურებს ორი  
მტკაველი აძევს,  
ზარბაზნებს კიდევ —  
თითო მტკაველი.  
დაუთოვია და თოვლის ფიფქი  
გზებიდან გზებზე  
დახეტილობს,  
სანგრადან სანგარს სიმღერა  
მიქრის,  
— ზამთარიო, ზამთარიო...**

პოეტის მახვილი თვალი ზუსტად ამჩნევს ფრონტელთა სიხა-

რულს პირველი თოვლის გამო. თავისებურია ეს სიხარული, ნაწილობრივ შებოჭილი საომარი მდგომარეობით, მაგრამ მაინც ბუნებრივი, ადამიანური.

დიდი სამამულო ომის წლებში ფრონტი და ზურგი განუყოფელი იყო. შინდარჩენილები განიცდიდნენ ომში მყოფ ვაჟკაცებთან განშორებას. ამ განცდას, ღრმად, თავისებური პოეტური ხილვით გადმოგვცემს რ. მარგიანი ერთ-ერთ თავის საუკეთესო ლექსში „მე უბით ვატარებ პატარა ბარათს“.

**მე გულით ვატარებ  
პატარა ბარათს,  
შენგან რომ მივიღე ნუხელ,  
ისევ ვით საუნჯე,  
ფარულად დამაქვს,  
რატომღაც ვერავის ვუმხელ...  
...არა ხარ მართალი!  
ბავშვურმა ცრემლებმა  
ხომ გაგთქვეს,  
რას იტყვი ახლა?  
ცრემლების წვეთები  
აქა-იქ ემჩნევა  
საჩემოდ დანერილ ქალაქს.  
ცრემლებმა მწუხარება ვერ გა-  
ამეფა პატრიოტი პოეტის ოპტი-  
მიზმით გამსჭვალულ სულში.  
ნუ სწუხარ, გაივლის ომი  
და ქარი,  
ვიცხოვრებთ ისევე მშვიდად.  
ჩვენთვის ხომ სიცოცხლე  
მამული არის,  
დიადი სამშობლო წმინდა!**

ბევრი ქართველი მწერალი იბრძოდა სამამულო ომში, უყოყმანოდ და უდრტინველად იზიარებდა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სასტიკი და მრისხანე ომის სიძნელეს. ზოგი მათგანი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. სწორედ ბრძოლის ველზე ვაჟკაცურად დაღუპულ მეგობარს მიუძღვნა რ. მარგიანმა დიდი გრძნობითა და სიყვარულით ამაღლებული ლექსი — „მ. გელოვანს“.

**შენ დარჩი შორს,  
შენ ამაყ სულს  
მამულში ფრენა და  
სიმღერა სურს.**

მ. გელოვანის ოცნება იყო სახლში მოხუც დედასთან დაბრუნება და მეზობლად გმირებზე ლექსების წერა. მაგრამ, ვაგლახ, ომის

მკაცრმა კანონმა დაამსხვრია პოეტის ოცნება. ამჟამად მის გმირობაზე წერენ, თვით მას იხსენებენ:

**გიგონებ ძმას,  
ნაომარ გზას,  
ახსოვხარ ძმებს,  
ახსოვხარ სხვებს,  
ვერვინ დაფარავს  
წკრილა ხმას,  
ნიავის ფრთაზე ზის,  
მამულში უღერს.**

ლექსი „მ. გელოვანს“ გამსჭვალულია ოპტიმიზმით, რომ მამულის ღირსეული შვილები უკვდავნი არიან.

რ. მარგიანის სამამულო ომის ციკლის ლექსებში ყურადღებას იქცევს „ამხანაგი ჩანჩიბაძე“ და „კომისარი“. ეს ლექსები ნამდვილ ფაქტებზეა აგებული და ისტორიულ სიმართლეს ამაღლებულად გადმოგვცემენ.

რ. მარგიანის სამამულო ომის თემაზე შექმნილ ლექსების ციკლს „მუმილი მუხასა“ დიდი შემეცნებითი და მხატვრული ღირებულება გააჩნია.



### იოსებ ნონეშვილი

სამამულო ომის მონაწილე პოეტმა იოსებ ნონეშვილმა დიდი მღელვარებით ასახა ომის საშინელება, ტკივილები, სევდა, ნუგეში.

ახალგაზრდა პოეტს ჰქონდა თავისი შემოქმედებითი სფერო, თუმცა მის ნაწარმოებთა ახალგაზრდა გმირები ჯერ კიდევ არ იყვნენ დაბრძენებულნი ცხოვრების გამოცდილებით, მაგრამ მათი



შინაგანი სამყარო გამოირჩეოდა გრძნობების გულწრფელობით, უშუალოდ და აღვივებდა დამპყრობთა და მოძალადეთა მიმართ სიძულვილის გრძნობასა და ხალხს მოუწოდებდა:

**ქართველის დიდება დავიცვათ, კრემლის ნათელი ლამპარი, ჩვენი მშობლების სახელი, ჩვენი ბავშვების აკვანი.**  
**(„ქართლის დიდება დავიცვათ“)**

მაზარიანი პოეტის ლექსებში მონოდებისა და ყიჟინის ტონები ისმოდა. ასე შეიქმნა ომზე დანერვილი ლექსები, „ოთხი ძმა ლესელიძე“, „სიმღერა ზოია კოსმოდემიანსკაიაზე“, „ჩვიდმეტი“ და სხვ. პოეტი ჰეროიკულ-რომანტიკულ სტილში გვამცნობს ქართველ მებრძოლთა შემართებას. პოეტმა ნანახი და განცდილი გადმოსცა პოემაში „სიმღერა ზოია კოსმოდემიანსკაიაზე“, ხალხთა სიყვარულით დაიზეპირა გმირ გოგონასადმი მიძღვნილი სტრიქონები.

**ტრამალები დუმან შენი საქმით განაკვირვები, მოდიან და შენს საფლავთან ქედს იხრიან გმირები.**

შემდეგ პოეტმა განავრცო და შთამბეჭდავად ასახა გმირი ქართველი ქალიშვილის ზოია რუხაძის ცხოვრება და ვაჟკაცური თავდადება.

**ხელი შეუკრეს, კედელს მიაკრეს, შანთით დაუნვეს ფეხის გულები, ბნელი ჯურღმული ააკიაფეს ზოიას სისხლის ნაკადულებით.**

ამ ნაწარმოებით ი. ნონეშვილმა გააცოცხლა და სამუდამოდ შემოუნახა ქართველ ხალხს ზოია რუხაძის ნათელი სახე.

პოეტი გულთბილი, მგზნებარე სიტყვით აღწერს ჩვენი ხალხის გმირობას, მაგრამ წერს ლირიკული თვალსამზერიდან, ნაგრძნობსა და განცდილს წარმოგვიდგენს ოდნავი ნაღველით შეფერილს. ასეთი აზრები გვიჩნდება, როცა ვკითხულობთ მის ლექსს „ვარდები“, ნაწარმოები ეძღვნება შინმოუსვლელ გოგონას ხსოვნას:

შეირხევიან ვარდები წყენით, მათი შრიალი ეზოს დაფარავს.

**„სად არის ნეტავ პატრონი ჩვენი, ის თვალუფუნა ქალი პატარა“?**

ნეტა ვინ უამბობს იმ ქალის ამბავს ვარდებს? მათ ხომ მშვიდად ეძინათ კვირტში, მზესა და სითბოს ელოდნენ, დაიძრა ურდო ხმალანალესი და ის თვალბეჭდვით გოგონაც მეგობრებს გაჰყვა ფრონტზე...

**დღეს კი მის ბაღში, ყვავილთა ირგვლივ დგას სიმშვიდე და დუმილი სრული და ერთადერთი ცისფერი წიგნი შარშანდელ ვარდით დევს ჩანიშნული.**

გერმანელები დიდ იმედებს ამყარებდნენ ახალი ტიპის ტანკ „ვეფხვზე“, რომელიც შიშსა და ძრწოლას თესავდა ირგვლივ. მაგრამ არ შეუშინდა მას ქართველი ვაჟკაცი, გარუჯულ ხელში ჩაბლუჯა ყუმბარების კონა და ურჩხულს ესროლა. ეს აზრია გატარებული პოეტის ლექსში „ვეფხვი“.

**როცა იფეთქა დუშმანის ტანკმა და ნამსხვრევებით ველი მოფინა, მებრძოლს უღვაშზე ღიმილმა გაჰკრა: — ვეფხვი კი არა,**

**კატა ყოფილა: „ადექ, აილე ფრანგული“...**

მტრისაგან გულგანგმირულ მეომარს ეძღვნება. მეომარი სულაც არაა წარმოჩენა დევგმირად, ამ ლექსში ჩანს ტრაგედია, სევდა ტრამალისა, რომელიც მოწმეა მებრძოლის სულისკვეთებისა და ვაჟკაცობისა. ნაწარმოებში იგრძნობა გმირის დაუდევარი ხასიათი, ლექსს აქტუალობას მგზნებარე პათოსი ანიჭებს.

სამამულო ომის თემატიკის რკალშია ლექსი „არწივო, წაილე გული სისხლიანი“. ავტორი ცდილობს გამოხატოს სამუდამოდ დადუმებული ძმათა საფლავების სევდა, საკუთარი თუ სხვისი განცდების ერთგვარი შერწყმა მოახდინოს. მრისხანე ომაც კი ვერ შებღალა ქართველ პოეტში სულიერი ცხოვრების უნაზესი, ინტიმური გრძნობები:

**გამოდით, ლამაზმანებო, ქალებო თვალბეჭუნა,**

**ეს მეხის ხმა კი არ არის, ზეცამ რომ დაიგუგუნა. ძმის სისხლს იღებენ გმირები, შურისძიებით მოცულან, მათი ხიშტების ნათელი თქვენ ფანჯარამდე მოსულა.**

მინწარდება თუ არა ოდნავ თოფების გრიალი, პოეტს სანგარში შუქად დაადგება შეყვარებულის წყნარი თვალები, აგონდება ცისფერ კაბაში გამოწყობილი სატრო როგორ დასდევდა პეპლებს... ამ მოგონებას ახშობს ზარბაზნების ბათქა-ბუთქი. რას იზამ?..

**ირგვლივ ტყვიის სისინია, კრთიან ცეცხლის ველები, ხევ გადაღმა ისინია, ხევ გადმოღმა — ჩვენები.**

საბჭოთა ხალხის ძლევა მოსილმა გამარჯვებამ ბედნიერება ჩააბუდა დანგრეული ქვეყნის უკიდევანო სივრცეებში. ი. ნონეშვილის ლექსებიც მშვიდობის, ბედნიერებისა და სიცოცხლის ჰიმნად გაისმა.

**მოდის მაისი მთებით მიწვრებით და კიდით კიდე მძლავრად მიღელავს, დედა-ბუნების გამოღვიძების, ძმობის, მშვიდობის**

**დიდი სიმღერა.**  
აქ სიტყვა „მაისი“ გამარჯვებისა და მშვიდობის სიმბოლოა, სწორედ ამგვარ მაისებს უმღერის ი. ნონეშვილის მთელი შემოქმედება.



**ლადო სულაბერიძე**

ლადო სულაბერიძე უკვე ომამდე იყო სავსებით ჩამოყალიბებული და თავისებური ხმის პოეტი,



მაგრამ 1941-1945 წლები მისი პოეტური მუხის დავაუკაცების, გამობრძმედის, განვითარების წლებია. სწორედ ამ ხანებში გაძლიერდა პოეტის თხზულებებში მძლავრი ომახიანი ხმეირება, საგნებისა და მოვლენების კონტრასტული ხერხებით წარმოდგენის შესაშური ხელოვნება.

ლექსების ციკლში „ყირიმის ღამეები“ ავტორი იგონებს იმ მრისხანე წლებს. ციკლი იწყება ლექსით „განშორება“, სადაც ლირიკული გმირის სულისკვეთება მკაცრი სიზუსტითა და სინათლით არის გამოხატული. მრავალ პოეტს დაუწერია ამ თემაზე... უფრო სწორად, ამგვარ თემაზე... ყვარლის მთებს ემშვიდობებოდა ილია ჭავჭავაძე, მშობლიურ სანახებს ეთხოვებოდა ნიკ. ბარათაშვილის ლირიკული გმირი... ეს გმირები გვხიბლავენ სულიერი ძალით, სულისკვეთების ინტენსიურობით. ძირითადი მომხიბვლელობა ამ შედევრებისა ისაა, რომ ისინი თავისი დროის სულისკვეთებას, იმედებს, სურვილებს და ოცნებას გვიხატავენ.

ლ. სულაბერიძის ლექსებში განშორების თემა გადაწყვეტილია ახალი ვითარების, ომის ვითარების შესაბამისად. სამამულო ომის დასაწყისი პერიოდის გარკვეული დაბნეულობა და ამით გამოწვეული სევდა, აქ გამოხატულია პოეტური სტრიქონით. მიუხედავად ამისა, ოპტიმიზმი, გამარჯვების რწმენა მაინც გამოსჭვივის ლექსში.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია ლექსი „დედა“. აქ ლექსის კონსტრუქცია, ან რიტმიულ-რიტმიული თავისებურება კი არ გვხიბლავს მხოლოდ, არამედ ის, რომ მასში

მართლად არის დანახული ომის წინა წლების ლირიკული გმირი, ომის დროისა და ომის შემდეგდროინდელიც. ყველაფერი ეს წარმოჩენილია თავისებური პოეტური ხედვით „შენთან უმანკო ვიყავ ირემი, იქ ბრაზიანი ვეფხვი გავხდე“. მაგრამ პოეტი ალუთქვამს დედას, რომ როცა ომიდან დაბრუნდება, კვლავ გახდება პატარა ბავშვი, ისევ ისეთივე უმანკო, წმინდა, აუმღვრეველი მიზნებით სავსე, როგორც ომის წინ იყო.

„სანგარი“ საკმაოდ გამართული ლექსია, მაგრამ ემპირიული ფაქტის მიღმა ვერ მიდის, თუმცა აღებული ფაქტის კონსტატაციას კარგად ახერხებს: „ნუხელ რარიგად ჰყინავდა, ამ თხრილმა როგორ გამათბო“.

ლ. სულაბერიძის თავისებურება იმით გამოიხატება, რომ ცალკეულ მეომრის ლირიკულ ფიქრებს უძებნის საინტერესო გადანწყვეტას. აქ ყოველთვის წინა პლანზეა წამოწეული რაღაც „ამბავი“. ეს ამბავი კი ლირიკული მოტივაციით სრულდება, ცნაურდება. ასეთია „კაკანათი“. ბავშვობაში ჩიტი დავიჭირე კაკანათით, მოგვითხრობს ლირიკული გმირი, ჩემი ტყვე იყო და მიხაროდა, მაგრამ არასოდეს მიფიქრია იმის შესახებ, თუ რა ტანჯვას განიცდიდა ტყვე. ფრონტზე კი მივხვდი, თუ რა ძნელი ყოფილა ეს ტყვეობა, კაკანათში მოხვედრაო.

„მონოლოგი“ წმინდა მედიტაციური ლექსია. რთული გრძობები აღქმვის ავტორს და ყველაფრით ჩანს, რომ ვერასოდეს დაივიწყებს ყირიმის მიწას, მის ტერიტორიაზე გამართულ ბრძოლებს. მაგრამ ეს ისეა მონოდებული, რომ განათებულია პერსპექტივა: სამამულო


ომს ვერავინ ვერ დაივიწყებს — ვერც ის, ვინც უშუალოდ იბრძოდა ფრონტზე, ვერც ის, ვინც ზურგში ქმნიდა ძლიერების იარაღს და ვერც ის, ვინც ომის შემდგომ გაჩნდა ამქვეყნად, მაგრამ შინმოუსვლელი მამებით, ბიძებითა თუ ძმებით იგრძნეს მისი საშინელება.

„ყანები“ ეძღვნება საბჭოთა ხალხის აღმშენებლობით შრომას. ყირიმის მიწაზე უკვე ყანებია, ზოგი მცენარე, შესაძლოა, მიწაში ჩარჩენილ ნალმზეც არის ამოსული. ეს კი ნიშნავს ბრძოლის იარაღის დამარცხებას შრომის იარაღით, რაც ახარებს პოეტს. ლექსი 1946 წელსაა დაწერილი და იგრძნობა მეტი დაფიქრება, გრძნობათა და აზრთა მეტი სიცხადე.

რთულად არის გააზრებული ლექსი „აცდენილი ტყვია“. აცდენილი ტყვიის ხსენება თავისთავად და გამოსახატავ საგნად მისი ალება უჩვეულო ამბავია, ჩაითვლება კი აცდენილი ტყვია ტყვიად? კითხულობს ავტორი და იქვე უპასუხებს, რომ არა, იგი აღარაა ტყვია, რადგან არავინ გაუციებია, არავინ დაუმწუხრებია. ტყვიას კი ნუხილი, ურვა უნდა მოჰქონდეს, ამრიგად, არის ორგვარი ტყვია, ერთი სხეულში რომ ჩარჩა, მეორე კი რომელიც ასცდა სხეულს. ის, რომელიც მეომრის გულს შეეხო, ბევრჯერ ინატრებდაო აცდენილი ტყვიის ბედს. ეს ძალზე პოეტური ხედვაა.

საერთოდ, ლადო სულაბერიძის პოეზიას არ ახასიათებს ფორმის ძიებები, იგი უფრო ეტანება შინაარსობრივ ორიგინალობას, აზრობრივ დაძაბვას, ისევე, როგორც მშვიდობიანობის პერიოდში შექმნილ ლექსებში, იგი არსად ცდილობს სათქმელის შელამაზებას, სწორსა და მართალ გამოთქმებს ლალ კონსტრუქციას, სიტყვათა თავისუფალ ნყოფას უძებნის. ამიტომაცაა, რომ მისი სამამულო ომის ციკლის ლექსები არაა დაძაბული. გულიანობა და გულისხმიერება ყოველივე ადამიანური-სადმი ნამდვილი და ღირსეული ნიშანია ლ. სულაბერიძის ამ ციკლის ლექსებისა.

ბორის პირსულავა





# გამარჯვების დროის საბრძოლო გზა

## გამარჯვების დროს აღიმართა ბერლინში, რაიხსტაგის შენობაზე 1945 წლის 30 აპრილს, 21 საათსა და 30 წუთზე აღბილობრივი დროით

საბჭოთა ქვეყნის ყველა რადიოსადგურმა მსოფლიოს ფაშიზმის დამარცხების შესახებ აცნობა, თუმცა ბრძოლები ცალკეულ ადგილებზე, მათ შორის რაიხსტაგის შენობაში გრძელდებოდა. მას შემდეგ გავიდა 70 წელი. ამ ომის შესახებ ბევრი წიგნი, სამეცნიერო ნაშრომი, მოგონება, საგაზეთო პუბლიკაცია დაიწერა. მიუხედავად ამისა, ბრძოლების ცალკეულ ეპიზოდებზე, მნიშვნელოვანი სტრატეგიული ოპერაციების შედეგებზე, ჯარების მართვის ტაქტიკურ ხერხებზე მსჯელობა, კამათი და კვლევა დღემდე გრძელდება. პოლემიკის ერთ-ერთი საკითხია გამარჯვების დროის აღმართვა ბერლინში, რაიხსტაგის გუმბათზე. მეცნიერები, ჟურნალისტები, ომის ვეტერანები მსჯელობენ, კამათობენ, წერენ მემუარებს, ეძებენ სიმართლეს შემდეგ გარემოებებში: ვინ შეიჭრა პირველი რაიხსტაგში, ვინ და სად, რომელ სართულზე გამოაფინა წითელი დროშა, ვინ იყო ღირსი და ვერ მიიღო დამსახურებული ჯილდო, როდის შეწყდა ბრძოლები ბერლინში და როდის უნდა იზეიმოს მსოფლიომ გამარჯვების დღე 30 აპრილს, 8 თუ 9 მაისს?

მკითხველთან ერთად გავყვით ქრონოლოგიურად განვითარებულ მოვლენებს და გავაკეთოთ დასკვნა.

მოვლენები კი შემდეგნაირად განვითარდა: გამარჯვების დროის აღმართვა ბერლინში 1944 წლის 6 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის 27 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე თავის გამოსვლაში უმაღლესმა მთავარსარდალმა სტალინმა მოითხოვა.

დროშის აღმართვის ორგანიზაციული საკითხები 1945 წლის 9 აპრილს განიხილეს, ბელორუსიის პირველი ფრონტის სარდლობისა და პოლიტსამმართველოს ერთობლივ სხდომაზე (ფრონტის სარდალი გ. ჟუკოვი) გადაწყდა, დაემზადებინათ 9 სპეციალური დროშა არმიებისთვის გადასაცემად, რომლებიც უტევდნენ ბერლინსა და მის შემოგარენს. შემდგომ არმიებმა ეს დროშები გადასცეს იმ დივიზიებს, რომლებიც უშუალოდ უტევდნენ რაიხს-

ტაგს. დროშა N5 ჩაბარდა მე-3 არმიის 150-ე დივიზიას (მეთაური — გენერალ-მაიორი ვ. შატილოვი) 26 აპრილს, ეს დროშა გადაეცა 756-ე პოლკს (მეთაური — პოლკოვნიკი ფ. ზინჩენკო), რომელსაც დაევალა დროშის აღმართვა რაიხსტაგზე. მეთაურმა, საბრძოლო ამოცანის შესრულება დაავალა პოლკის მზვერავებს — სერჟანტ მიხეილ ეგოროვსა და უმცროს სერჟანტ მელიტონ ქანთარიას.

30 აპრილს დაიწყო რაიხსტაგის შენობის შტურმი. ფაშისტური პარლამენტი აღმოჩნდა საიმედოდ გამაგრებული. პირველი შეტევა უშედეგო გამოდგა. ბრძოლაში ჩაება ტანკები და ავიაცია.

30-წუთიანი საარტილერიო მომზადების შემდეგ ქვეითები კვლავ გადავიდნენ შეტევაზე, 756-ე პოლკი მოწინავე იყო.

რაიხსტაგს უტევდნენ სხვადასხვა მხრიდან მეზობელი პოლკები და დივიზიები. თითქმის ყველას ჰქონდა თვითნაკეთი დროშები, ყველას სურდა, ყოფილიყო პირ-

ველი და აღემართა თავის დროშა (ასეთი დროშა იყო 40-მდე). უშუალოდ შენობაში განვითარებული მოვლენები დეტალურად აღწერილი აქვს სერჟანტ ეგოროვს თავის მოგონებებში: „Знамя Победы над рейхстагом“, რომელიც დაიბეჭდა წიგნში „Штурм Берлина“. Военное издательство Министерства Вооруженных Сил Союза ССР, 1948 г.

საგაზეთო ფორმატი არ იძლევა საშუალებას, მკითხველს დეტალურად გავაცნოთ ეგოროვის მოგონება.

**აღვნიშნავ მხოლოდ რამდენიმე ფაქტს და წარმოძინე სიძნელეებს, რომლებიც შეიქმნათ მ. ეგოროვსა და მ. ქანთარიას. ისინი რაიხსტაგის შტურმის დაწყებისას იმყოფებოდნენ მართვის პუნქტში და ელოდნენ მოწინავე შემტევი ნაწილების შეჭრას შენობაში, რათა შეადგომ მიჰყოლოდნენ მათ. ღამის 12 საათზე აღბილობრივი დროით, მათთან მივიდა პოლკის უფროსი ფ. ზინჩენკო და უბრძანა, დაეწყოთ დავალების შესრულება, ანაშენათ დროშა შენობის სახურავზე.**

ამ დროს შტურმის მონაწილე ნაწილები შეჭრილი იყვნენ შენობის პირველ სართულზე. მ. ეგოროვმა და მ. ქანთარიამ შეაღწიეს შენობაში და დაამაგრეს დროშა რაიხსტაგის ცენტრალურ შესასვლელში. მოწინავე შემტევმა ნაწილებმა შტურმით დაიკავეს მეორე და შემდეგი მესამე სართულებიც, სადაც გატანილი იქნა დროშა N 5, რომელიც გამოეფინა და დამაგრდა ერთ-ერთ სარკმელში. სიბნელები მეომრებმა





ვერ გაიკვლიეს გზა სახურავისკენ. მ. ქანთარია და მ. ეგოროვი უკან დაბრუნდნენ, პუნქტიში საკითხის გასარკვევად. ფ. ზინჩენკომ უბრძანა თავის მოადგილეს პოლიტდარგში, ლეიტენანტ ა. ბერესტს, გაჰყოლოდა მებრძოლეს ადგილზე გზის გასაკვლევად. **1 მაისს, ღამის სამ საათზე, აღნიშნულმა ჯგუფმა შენობის აღმოსავლეთ ნაწილში მიაღწია სახურავს და ვილჰელმის ცხენოსან ფიგურაზე დაამაგრა დროშა №5. მართვის პუნქტიდან მოსულმა მეკავშირემ მათ აცნობა, რომ დროშის ყოველი მხრიდან გამოჩენისათვის აუცილებელი იყო მისი კიდევ უფრო მაღლა აწევა. ამისათვის საჭირო იყო გუმბათის თავზე ასვლა, რომელიც მინით გადახურული და მთლიანად ჭურვებისგან დაცხრილული აღმოჩნდა. ეს სიძნელეც გადაილახა, მაგრამ გაირკვა, რომ დაიკარგა თოკი, რომლითაც უნდა დაემაგრებინათ დროშა. ამისთვის გამოიყენეს დროშის შალითა, რომლითაც რაიხსტაგის გუმბათზე საიმედოდ დაამაგრეს დროშა.**

რაიხსტაგში ბრძოლები 2 მაისს შეწყდა. დილის 7 საათზე რაიხსტაგის დაცვის გერმანელთა გარნიზონის გადარჩენილი ნაწილი,



დაახლოებით ერთი ბატალიონის რაოდენობით, ტყვედ ჩაბარდა გამარჯვებულებს. ამავე დღეს ხელი მოეწერა გერმანიის კაპიტულაციას დიდ სამამულო ომში.

მკითხველს გავაცნობ შემდგომ განვითარებულ მოვლენებს:

ბრძოლების დამთავრების შემდეგ, რაიხსტაგში „შემოიჭრნენ“ ჟურნალისტები, ტელერეპორტიორები, ფოტორეპორტიორები. მებრძოლენი კედლებზე ტოვებდნენ ავტოგრაფებს, მათ შორის აღმოჩნდა მებრძოლი — ექიმი გალინა ჯაში, რომელმაც დატოვა

წარწერა: „Была в Берлине 9. 5.45. Галя Джаши из Тбилиси“.

სერიოზული სირთულეები შეექმნა ბელორუსიის პირველი ფრონტის სარდალს, მარშალ ვ. ჟუკოვს და ფრონტის პოლიტსამმართველოს, სადაც დაქვემდებარებული არმიებიდან და დივიზიებიდან მეომართა დაჯილდოების თაობაზე უამრავი წარდგენები შემოდიოდა.

**ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის, მარტო საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭებაზე წარდგენილი იყო 20-ზე მეტი მებრძოლი. ყველას ჰქონდა არგუმენტირებული საფუძველი ამ მაღალი ჯილდოს მისაღებად. გადაწყვეტილების მისაღებად სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს ორგანოს თითქმის ერთი წელი დასჭირდა.**

მხოლოდ 1946 წლის 8 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება, რომლითაც გამარჯვების დროშის აღმართვისთვის ბერლინში, რაიხსტაგის გუმბათზე, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა სერჟანტ მ. ეგოროვსა და უმცროს სერჟანტ მ. ქანთარიას. მათთან ერთად გმირის წოდება მიენიჭათ შემტევი ბატალიონის მეთაურებს: ვ. დავიდოვს, ს. ნეუსტროევს და კ. სამსონოვს, რომლებიც ბრძოლით გზას უკაფავდნენ მათ.



მელიტონ ქანთარიას საფლავი ჯვარში



1945 წლის 20 ივნისს მარშალ გ. ჟუკოვის ბრძანებით გამარჯვების დროშა თვითმფრინავით გაიგზავნა მოსკოვში მ. ეგოროვისა და მ. ქანთარიას თანხლებით, რომლებსაც მოსკოვის აეროპორტში სამხედრო პატივით შეხვდნენ. 1965 წლის 9 მაისს გამარჯვების დროშა გამოტანილ იქნა წითელ მოედანზე მოსკოვში, სამხედრო ალღუმისას. დროშა მოჰქონდა საბჭოთა კავშირის გმირს, პოლკოვნიკ კ. სამსონოვს, ხოლო ასისტენტებად ამჯერადაც იყვნენ მ. ეგოროვი და მ. ქანთარია.

**1975 წლის 20 ივნისს გამარჯვების დროშა გამოაქვთ ყველა სამხედრო ალღუმზე, რომლებიც ტარდება წითელ მოედანზე. 1995 წლის 9 მაისს ფაშინოვში გამარჯვების 50 წლის აღსანიშნავად ალღუმზე ქ. მოსკოვში გამარჯვების დროშა გამოიტანა საბჭოთა კავშირის ორგზის გმირმა, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკმა მიხეილ ოდიცოვმა. ამ ალღუმში მონაწილეობდა საქართველოდან წარგზავნილი ომის ვეტერანების დელეგაცია, 20 კაცის შემადგენლობით.**

ამ ზეიმს ესწრებოდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, მეც მომიწია ამ ალღუმში მონაწილეობა, როგორც ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს.

ტრიბუნიდან ვხედავდი, როგორი ახალგაზრდული შემართებით, სიამაყითა და მწყობრი ნაბიჯით გაიარეს წითელ მოედანზე ჩვენმა ვეტერანებმა: გიორგი ხაზარაძემ, რევაზ ასათიანმა, ალექსანდრე ვაშაკიძემ, ირაკლი ყანდარელმა და სხვებმა გამარჯვების დროშის წინამძღოლობით.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის — ვ. პუტინის 2007 წლის 7 მაისის ბრძანების შესაბამისად, გამარჯვების დროშა, როგორც რელიქვია, შესანახად გადაეცა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ მუზეუმს.



**დღეს გამარჯვების დროშის რაიხსატგის გუმბათზე ატანის სადავო და საეჭვო საკითხები ბარკვეულია. მ. ეგოროვისა და მ. ქანთარიას გმირობა აღიარა დიდი სამაგულო ომის ისტორიოგრაფიამ. არავითარი საფუძველი არ არსებობს, ვირწმუნოთ გავრცელებული მითი, თითქმის მელიტონ ქანთარიას გმირობას ხელი შეუწყო უმაღლესი მთავარსარდლის — ი. სტალინისა და მარშალ ლ. ბერიას ქართულმა წარმომავლობამ, რაზეც ზოგჯერ ცინიკურად მიუთითებენ ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურენი.**

დღეს საერთაშორისო საზოგადოებრივმა კავშირმა „გამარჯვების მემკვიდრენი“ (დირექტორი ო. ჯოლია) მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ითავა მზრუნველობა სოფ. ჯვარში მ. ქანთარიას საფლავის კეთილმოწყობასა და ქ. თბილისში მისი ბიუსტის დადგმაზე.

სამწუხაროდ, გმირის ქალიშვილი — ციალა ქანთარია, როგორც ლტოლვილი, თავს აფარებს საბერძნეთს; აფხაზეთში — ოჩამჩირეში მათი სახლი დამწვარია. მას არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. 1993 წლის თებერვალში, საომარი მოქმედებების დროს, დაიღუპა მისი შვილი, რომლის საფლავი მიტოვებულია აფხაზეთში. მეორე შვილი კი ავადმყოფობის გამო საჭიროებს გადაუდებელ მკურნალობას. მიმდინარე წლის აპრილში იგი ეწვია საქართველოს. ქალბატონი ციალა შეხვდა საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, ქ. თბილისი მერიის ხელმძღვანელებს, რომლებმაც თანაგრძნობა გამოხატეს მის მიმართ და დახმარებას დაჰპირდნენ.

**გურამ გვეტაქე, საქართველოს ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ბიუროს წევრი, გადამგარი გენერალ-ლეიტენანტი**

**P.S. 9 მაისს დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70-ე წლის-თავთან დაკავშირებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ორგანიზებითა და დაფინანსებით ქალაქ ჯვარში საბჭოთა კავშირის გმირის — მელიტონ ქანთარიას საფლავზე საზეიმოდ გაიხსნა ბიუსტი, რომლის ავტორია ცნობილი ქართველი მოქანდაკე რომან შეროზია, 2015 წლის აპრილში ბრინჯაოში ჩამოასხა მოქანდაკე თეიმურაზ კიკნაველიძემ.**



# ვასილ პეტრიაშვილი – «საქართველოს კონსული» ოდესაში

ოდესის უნივერსიტეტის რექტორი, სახელგანთქმული მეცნიერი ვასილ პეტრიაშვილი იყო ავტორი ფუნდამენტური სახელმძღვანელოებისა „ღვინის დაყენება“, „რძე და მისი სხვადასხვაგვარად გამოყენება“ და სხვ.



„მა რომ პოეტური ნიჭი მქონოდა და განმეზარება, დამეხატა ადამიანი, რომელიც საუკეთესო ზნეობრივი თვისებებით წარმოადგენს სიბრძნესთან შეერთებული გულკეთილშობილის განსახიერებას, მადავსათავადი ვასილ პეტრიაშვილს,“ — ასე შეაფასა თავისი მასწავლებლისა და უფროსი კოლეგის, ცნობილი მეცნიერისა და ოდესის უნივერსიტეტის რექტორის ვასილ პეტრიაშვილის პიროვნება დიდმა ქართველმა მეცნიერმა პეტრე მელიქიშვილმა.

„ჩვენი ვასო,“ როგორც მას ალერსით ეძახდნენ საქართველოში, დაიბადა 1842 წელს ისტორიული კრწანისის ველის სამხრეთით მდებარე სოფელ წალასყურში, მღვდლის ოჯახში. თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, მამის წინააღმდეგობის მიუხედავად, გაემგზავრა ოდესაში, სადაც სპეციალური მომზადების შემდეგ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები ახალგაზრდულ ოდესის უნივერსიტეტში.

ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების სტუდენტმა ვასილ პეტრიაშვილმა თავისი ნიჭითა და კვლევის მეთოდების დაუფლე-

ბით თავიდანვე მიიპყრო პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება. უნივერსიტეტის დამთავრებისას მას უკვე ჰქონდა მინიჭებული სამეცნიერო ხარისხი. 1870 წელს მეტად მნიშვნელოვანი მეცნიერული კვლევების გამოქვეყნებისათვის უნივერსიტეტშივე დატოვეს ტექნიკური ქიმიის ლაბორანტად. ოთხ წელიწადში დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია და დაინიშნა ტექნიკური ქიმიის ლექციების კურსი, რომელსაც ანალიზური ქიმიის კურსთან ერთად გარდაცვალებამდე კითხულობდა.

1878 წელს ვასილ პეტრიაშვილი აირჩიეს ექსტრაორდინარ პროფესორად და მიაღწინეს პარიზში, სადაც იგი მუშაობდა ისეთ ცნობილ ფრანგ ქიმიკოსებთან, როგორც იყვნენ ბერტოლე, ვიურცი და სენკლერ-დევილი.

დიდი პერსპექტივების მქონე ახალგაზრდა მეცნიერი ოდესაში დაბრუნებისთანავე, 1881 წელს აირჩიეს ორდინარ პროფესორად. ჩვენი თანამემამულის გამოკვლევები, თეორიული გარდა, პრაქტიკულ მნიშვნელობასაც იძენდა, რადგან მის მიერ შესწავლილი აზონაერთები საღებავებს უკავშირდებოდა. მეტად საინტერესო იყო კვლევები დამუხანგველის ხასიათსა და დაჟანგვის რეაქციის პროდუქტს შორის ურთიერთ-

ბის გასარკვევად, ასევე ფუმარისა და მალეინის მჟავების აღნაგობის დასადგენად და სხვ.

თავისი გამოკვლევების პროცესში ვასილ პეტრიაშვილი წაანყდა მოვლენას, რომელმაც ცოტა ხნით ადრე დიდი რუსი ქიმიკოსის — ბუტლეროვის ყურადღება მიიპყრო და რომელსაც შემდგომში ტაუტომერია ეწოდა. ამ მიმართულებით ჩვენი თანამემამულე მეცნიერის წარმატებულ კვლევებს დიდი შეფასება მისცა ცნობილმა ქიმიკოსმა, ინგლისის ქიმიური საზოგადოების პრეზიდენტმა უილიამ პარკერ უინიმ და განაცხადა, რომ მსოფლიოს ქიმიკოსები სწორედ ოდესელ პროფესორ პეტრეევს უნდა უმაღლოდნენ ამ აღმოჩენებსო.

ქართველი ქიმიკოსი მეცნიერი პრაქტიკულად ეხმარებოდა ოდესელებსაც. 1898 წელს იგი სათავეში ჩაუდგა სასურსათო პროდუქტების ფალსიფიკაციასთან ბრძოლას ლაბორატორიული გამოკვლევებით და სულ მოკლე ხანში ფალსიფიკატორების წინააღმდეგ მეცნიერებთან ერთად მთელი საზოგადოებრიობა დარაზმა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ვასილ პეტრიაშვილმა ქართულ ენაზე გამოსცა ფუნდამენტური

**ყველა ქართველი, ვინც გავლით თუ საქმეაგის გამო ოდესაში მოხვდებოდა, მის ბინაში პოულობდა თავისაფარს. იმ ქართველი ახალგაზრდობა ეხმარებოდა თავის უფროს თანამემამულეებს, ოდესის პროგრესული საზოგადოების წარმომადგენლებს, ბჭობდნენ საღვინსო საქირპორკოტო საქითხაზზე, რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებასა და საქართველოს ბაღზე.**



სახელმძღვანელოები: „ღვინის დაყენება“, „რძე და მისი სხვადასხვაგვარად გამოყენება“, რომლებიც სოფლის მეურნეებისთვის სამაგიდო წიგნებს წარმოადგენდა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მის კიდევ ერთ სახელმძღვანელოს „ძმრის დაყენება“.

სამშობლოს განცდა და სიყვარული, უცხო ქვეყანაში დიდი ხნით ცხოვრების მიუხედავად, არ განელებია. იგი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იჩენდა ოდესაში ჩასული ყველა ქართველის მიმართ და, ბუნებრივია, ყველაზე მეტად ქართველი სტუდენტების მომავალზე ფიქრობდა. ღირსეული მამულიშვილის სტუმართმოყვარე ოჯახი ოდესის საკმაოდ

მრავალრიცხოვანი ქართველი საზოგადოების შემაკავშირებელ ცენტრს წარმოადგენდა. ყველა ქართველი, ვინც ვავლით თუ საქმეების გამო ოდესაში მოხვდებოდა, მის ბინაში პოულობდა თავშესაფარს. იქ ქართველი ახალგაზრდობა ეცნობოდა თავის უფროს თანამემამულეებს, ოდესის პროგრესული საზოგადოების წარმომადგენლებს, ბჭობდნენ სადღეისო საჭიროებო საკითხებზე, რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებასა და საქართველოს ბედზე.

ვასილ პეტრიაშვილს დიდად აფასებდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სხვა დიდი ქართველი მოღვაწენი.

გაზეთი „ოდესსკოე ობოზრენიე“ 1908 წელს წერდა, რომ **ვასილ პეტრიაშვილს ოდესელი ქართველების მუდმივი ჭირისუფლობისათვის „საქართველოს კონსულს“ ეძახდნენ**. სწორედ ეს წელი იქცა მისთვის საბედისწეროდ. საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასული ჯანგატეხილი მეცნიერი კარლოვი ვარში გარდაიცვალა. იგი დიდი პატივით გადმოასვენეს და დაკრძალეს ოდესაში.

თავისი ცხოვრების მანძილზე ქართველების დიდი გულშემატკივარი, რომელსაც სიყვარულით „საქართველოს კონსულს“ ეძახდნენ, დღესაც უკრაინაში განისვენებს.

# ილიკო (ილია) პეტრეს ძე ქურხული

**ილიკო (ილია) პეტრეს ძე ქურხული** (დ. 25 მარტი, 7 აპრილი, 1885, თბილისი ? გ. 24 სექტემბერი, 1954, თბილისი) — ქართველი მოხეტიალე მუსიკოსი (მევიოლინე, მესტვირე, მომღერალი).

1904-1906 სწავლობდა მოსკოვის კონსერვატორიაში ვიოლინოს სპეციალობით (ხელმძღვანელი ბ. სიბორი). აქედანვე და-

ინყო მისი, როგორც მოხეტიალე მუსიკოსის, მოღვაწეობა. თავდაპირველად ასრულებდა კლასიკურ სავიოლინო ლიტერატურულ ნიმუშებს (პატარა პიესებს), შემდეგ რეპერტუარში შეიტანა ქართული ხალხური მელოდიები. შემოიარა რუსეთისა და უკრაინის მრავალი ქალაქი, აგრეთვე, ბელარუსი, ბალტიისპირეთი, პო-



ლონეთი, ფინეთი.

1913 წელს დაბრუნდა საქართველოში; ფეხით შემოიარა მთელი საქართველო, გამოდიოდა ეზოებში, კლუბებში, სკოლებში. 1921-1927 იმოგზაურა თურქეთსა და ბალკანეთის ქვეყნებში, სოფიაში ბულგარულ ენაზე გამოსცა წიგნი ქართული ხალხური სიმღერების შესახებ. ერთხანს პარიზშიც ცხოვრობდა. 1927-იდან კვლავ საქართველოშია და განაგრძობს მუსიკალურ მოღვაწეობას. პერიოდულად გამოდიოდა მესტვირე ბ. ბურდულაძესთან ერთად. მუშაობდა ქართული ხალხური საკრავების (განსაკუთრებით სტვირის) გაუმჯობესებაზე. ეწეოდა ლიტერატურულ მუშაობას.



# ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების სიხვევა მსოფლიოსა და საქართველოში



სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისა და ეკოსისტემის წონასწორობის შენარჩუნებისა და ქიმიურ ინდუსტრიაზე ნაკლებად დამოკიდებულების, ამასთან, მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინების მიზნით იზდება მოთხოვნა და სულ უფრო პოპულარული ხდება ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქტების, ანუ ბიოპროდუქტების წარმოების განვითარება. დღეის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებაზე ზოგიერთ ქვეყანაში დიდი სახსრები იხარჯება, მაშინ, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, შიმშილობს. ეს გამოწვეულია ობიექტური რეალობით.

**რა მდგომარეობაა ამ მხრივ, საქართველოში, რომლის აბროპიომრავალფეროვნებაც კულტურულ მცენარეთა წარმოშობის წინააზიური ცენტრის ნაწილად ითვლება?**

განადგურების პირასაა უნიკალური სასელექციო მასალა, ადგილობრივ გარემო პირობებს შეგუებული, ენდემური ჯიშები და სახეობები; ქართული ბაზარი სავსეა შხამქიმიკატებითა და გენმოდირებული ორგანიზმებით გაჯერებული იმპორტული პროდუქციით, მთლიანადაა მოშლილი ხარისხის კონტროლის სისტემა.

ამოსავალ პრინციპს წარმოად-

გენს ნიადაგის განოციერებისა და მცენარეთა დაცვის მიზნით ქიმიური საშუალებების მკაცრად მიზნობრივი და რეგლამენტირებული გამოყენება და ამ მიზნით ეკოლოგიურად დაცული ზონების გამოყოფა. ძირითადი აქცენტი უნდა გადავიტანოთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

**ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი არის სპეციალური აგროტექნიკის გატარების შედეგად მიღებული პროდუქცია, რომელიც გამორიცხავს მინერალური სასუქების, პესტიციდების, ფუნგიციდების, ჰერბიციდებისა და სხვა სახის ქიმიური საშუალებების, აგ-**

რეთვე, გენური ინჟინერიის ტექნოლოგიით მიღებული ორგანიზმების გამოყენებას. მიახლოებითი მონაცემებით, დღეს ამგვარი წარმოება მთლიანი მსოფლიო წარმოების მხოლოდ 2%-მდეა. თუმცა არის ქვეყნები, რომლებმაც უფრო მაღალ შედეგებს მიაღწიეს, მაგალითად, ავსტრიაში ეკოლოგიურად სუფთა წარმოება 10%-მდეა. გამორჩევა: შვეიცია, შვეიცარია, გერმანია, იტალია, ფინეთი და სხვ., მაგრამ ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში ეს მონაცემი მსოფლიოს მასშტაბით მხოლოდ 5%-მდე თუ მიაღწევს და ისიც რამდენიმე ქვეყნის ხარჯზე.

**სამწუხარო რეალობაა, რომ დღეს საქართველოს ბაზარზე ძირითადი მწარმოებელი რეგიონებიდან შემოდის როგორც ნიტრატებით, ისე პესტიციდებითა და მძიმე ლითონებით გაჯერებული, გენური ინჟინერიითა და რადიონუკლიდური ნივთიერებებით დაბინძურებული სოფლის მეურნეობის პროდუქტები და ჩვენს მოსახლეობას, პრაქტიკულად, ალტერნატივა არ გააჩნია. ამის მიზეზად კი ასახელებენ ეკოლოგიური წარმოების სიძვირეს, რაც მთლად ასე როდია.**

საზოგადოებამ კარგად არ იცის, როგორი მძიმე ეკოლოგიური სიტუაციაა დღევანდელ საქართველოში.

რამდენიმე ათეული წელია, ჩვენს ქვეყანაში სისტემატურად, ყოველწლიურად შემოდის ათასობით ტონა პესტიციდი (შხამქიმიკატი). ყოველწლიურად საქართველოს ეკოლოგიურ სისტემაში შედის დაახლოებით 500 ათასი ტონა წყალში გაზავებული შხამი.

ნიადაგებში ხელოვნური აზოტის დონე ძალზე მაღალია, ხოლო სხვა საკვებისგან, როგორცაა ფოსფორი, კალიუმი და ა.შ., ზოგიერთი ნი-



ადაგი გარეცხილია.

ქიმიური წარმოების ბუმი ადამიანის საკვებზე მოთხოვნილებამ კი არ გამოიწვია, როგორც დღემდე ბევრს სჯერა, არამედ ადამიანის მიერ ბუნების კანონების უგულვებელყოფამ, ერთ შემთხვევაში — უცოდინარობამ, უფრო მეტად კი მისმა მტრულმა დამოკიდებულებამ გარე სამყაროსადმი.

ბოლო ათწლეულში ეკოლოგიურად სუფთა, ანუ ბიოპროდუქციის გაყიდვების მოცულობა განვითარებული სამყაროს უმეტეს ქვეყნებში სწრაფად იზრდება.

**ევროკავშირის ძველებში მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა გაცილებით მაღალია, ბიოპროდუქცია კი მაღალი თვითღირებულებითა და შესაბამისად, მაღალი სარეალიზაციო ფასით გამოირჩევა.**

როგორც ექსპერტები ასკვნიან, მცირე ქვეყნებს და მათ შორის საქართველოს, განსაკუთრებული შესაძლებლობა აქვთ ბიომეურნეობების განვითარებისა და კონკურენტუნარიანი პოზიციების დაკავებისა.

საქართველოს არ აქვს საშუალება, კონკურენცია გაუწიოს, მაგალითად, უკრაინას, რუსეთს ან ამერიკას ხორბლისა და სიმინდის წარმოებაში, ჩინეთს — ბრინჯის წარმოებაში და ა.შ., რადგან ამ ქვეყნებს დიდი მასშტაბები საშუალებას აძლევს, პროდუქციის თვითღირებულება მინიმუმამდე დაიყვანონ. თუმცა საქართველოს, უნიკალური ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, აქვს ძალიან კარგი პერსპექტივა, გახდეს ბიოპროდუქციის სერიოზული მწარმოებელი და კონკურენტუნარიანი ექსპორტიორი ევროკავშირის ქვეყნებისთვის.

ამჟამად საქართველოს აბროგომარავალფაროვნება მიიმა მდგომარეობაშია. ბევრი მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურა დანიკარბა ან დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას. განური ეროზიის პროცესი საკმაოდ სწრაფად მიდის და საჭიროების წინააღმდეგ სასწრაფო

**ზომების გატარება სახელმწიფოებრივ დონეზე.**

იმ ფონზე, რომ უკანასკნელ წლებში როგორი ინტენსივობით იზრდება მსოფლიო მასშტაბით ბიოპროდუქციის წარმოება, საქართველოში ამ მხრივ რაც კეთდება, მხოლოდ ზღვაში წვეთია და ისიც ერთეული ორგანიზაციების მუშაობის ხარჯზე.

ბიოპროდუქციის ფასი აღემატება ჩვეულებრივი პროდუქციის ფასს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბიოპროდუქტის მოყვანა უფრო ძვირი ჯდება, ის, უბრალოდ, მეტ შრომით დანახარჯებს მოითხოვს. გაცილებით ძვირი უჯდება მსოფლიოს დაბინძურებულ-დანაგვიანებული პროდუქციისგან მიღებული ზარალის ანაზღაურება.

დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ბიოპროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, მსოფლიო ბაზარი გაჯერებულია ქიმიკატებითა და გენური ინჟინერიის მეთოდებით მიღებული პროდუქტით. ამ უკანასკნელს კი თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს, რომელთა შესახებაც ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები არსებობს.

მთავარი არგუმენტი კი არის ის, რომ გენური ინჟინერიის დანერგვა არსებული საკვები რესურსების 50-ჯერ გაზრდის საშუალებას იძლევა, რათა დაკმაყოფილდეს ინტენსიურად მზარდი მოთხოვნილება ჩვენი პლანეტის მოსახლეობისთვის, რომელიც მეცნიერთა და ექსპერტთა გათვლებით, 2050 წელს 50 მილიარდ ადამიანს მიაღწევს (ამჟამად 7 მილიარდამდე). მეორე კი, თვითონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მახასიათებლებია, რომელთაც ბიოინჟინერიის მეთოდების გამოყენებამ მრავალი სასარგებლო თვისება შესძინა. კერძოდ, მოდიფიცირებული კულტურებიდან მიღებული პროდუქტები გამოირჩევა მაღალი ხარისხით, გააჩნია მომგებიანი სასაქონლო სახე და საკვებ ღირებულებას უფრო დიდხანს ინარჩუნებს.

აქედან გამომდინარე, მოლეკულური მარკირების მეთოდის გამოყენებით მსოფლიოს წამყვანი

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები ინტენსიურად მუშაობენ ძირითადი სასოფლო სამეურნეო კულტურების ყინვაგამძლეობის, გვალვაგამძლეობის, დაავადებებისა და ავადმყოფობების მიმართ გამძლეობას და სხვა არახელსაყრელი ბიოტური და აბიოტური ფაქტორებისა და სტრესების მიმართ მდგრადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების შესაქმნელად. ამ სამუშაოთა პარალელურად მსოფლიოს ეკონომიურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში იზრდება გენეტიკურად მოდიფიცირებული კულტურების ნათესი ფართობები, ხოლო გენეტიკურად მოდიფიცირებული კულტურების ოპონენტებს მოჰყავთ ისეთი მაგალითები, რომლებსაც საფუძვლად უდევს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მიღების უკიდურესი აუცილებლობა, რაც მალთუსის თეორიის გაზიარების ტოლფასია.

რა არის გენეტიკურად მოდიფიცირებული (ტრანსგენური, გენური ინჟინერიით მიღებული) პროდუქცია, რომელიც მსოფლიოს გადარჩენის ფონზე ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის ალტერნატივად მიიჩნევა.

გენმოდიფიცირებულ პროდუქციაზე მსოფლიოს საზოგადოებაში არაერთგვაროვანი აზრი არსებობს. თვით ამგვარი წარმოების სამშობლოში, აშშ-ში, სადაც სოიოს 89%, სიმინდის 61%, ბამბის 83% გენმოდიფიცირებულია და მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა მიირთმევს ხელოვნურ საკვებს, მკვეთრად განსხვავებული პოზიციებია. უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ მორწმუნე ამერიკელთა 70%-ს, ამ საკითხისადმი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება გააჩნიათ ევროპელებს, მათთან მკაცრად შეზღუდულია გმპს როგორც წარმოება, ისე იმპორტი. გმპ-ზე უარი თქვა აფრიკის ზოგიერთმა ქვეყანამ, უკრაინამ და მოლდოვამ, უარყოფითი დამოკიდებულება იზრდება ლათინურ ამერიკაშიც.

გენეტიკური მოდიფიკაცია გულისხმობს მცენარეული და ცხოველური ორგანიზმის გენეტიკური



ნიშან-თვისების შეცვლას ბიოტექნოლოგიის მეთოდების გამოყენებით. რით განსხვავდება გენმოდულიზაცია ტრადიციული სელექციის მეთოდებისგან? ტრადიციული სელექციით ახალი ჯიშის მიღება, როგორც ცნობილია, შესაძლებელია მხოლოდ ერთი სახეობის ფარგლებში. გენეტიკური მოდიფიკაცია ერთი სახეობის ინდივიდის გენომში უცხო, სხვა სახეობის გენეტიკური ინფორმაციის გადატანისა და ინტეგრირების პროცესს (ტრანსგენიზმი). ორგანიზმში ხელოვნურად შეაქვთ და ინტეგრირებული ხდება უცხო გენი — ტრანსგენი. ტრანსგენიზმის შედეგად მიიღება ტრანსგენური ორგანიზმი, რომელშიც წარმატებით ფუნქციონირებს სხვა ორგანიზმიდან გადატანილი გენი (ან გენები).

დღეისათვის, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნიერთა, ფერმერთა და მომხმარებელთა აზრი ორადაა გაყოფილი.

პირველი გამოთქვამდნენ შემოფოტებას, რომ გენურად მოდიფიცირებული კულტურები უარყოფითად მოქმედებდნენ იმ ცოცხალ ორგანიზმებზე, რომლებიც იკვებებოდნენ ასეთი კულტურებიდან დამზადებული საკვებით და დიდ რისკს წარმოადგენენ ჯანმრთელობისთვის. კულტურაში უცხო გენის შეყვანამ შეიძლება გამოიწვიოს მოულოდნელი შედეგი — დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის ცვლილება და საკვების ცილაში კანცეროგენის ჩამოყალიბება. ისინი გამოთქვავენ აზრს, რომ ბიოტექნოლოგია უნდა ვითარდებოდეს მეცნიერებისათვის და არა ეკონომიკური თუ პოლიტიკური აუცილებლობისათვის. ამავე ჯგუფის ზოგიერთი მეცნიერი გამოთქვამს აზრს, რომ „გენების ხტუნაობა“ ერთი კულტურიდან მეორეში სიკეთეს არ მოიტანს. იგივე აგრობაქტერიუმი სოიოდან შეიძლება გადახტეს სარეველებში და მაშინ საჭირო გახდება ბევრად უფრო ძლიერი ჰერბიციდების გამოყენება სოიოს ნათესებში სარეველებთან საბრძოლველად. ამის მაგალითად მათ მოჰყავთ ბრაზილიური მინის თხილის ანტიალერგიული გენის სოიაში გადატანა და სხვა მაგალითები.



ლი გენის სოიაში გადატანა და სხვა მაგალითები.

მეცნიერთა მეორე ჯგუფს მოჰყავს უფრო დასაბუთებული არგუმენტები იმის შესახებ, რომ გენეტიკურად მოდიფიცირებული კულტურები უარყოფითად არ მოქმედებენ ადამიანისა და პირუტყვის ორგანიზმზე. ამის მაგალითად ორივე მხარეს სოიოს კულტურა იმიტომ მოჰყავს, რომ დაახლოებით 20 წლის წინათ, აშშ-ის ცნობილმა ქიმიურმა კომპანია „მონსანტომ“ პირველმა შესთავაზა ფერმერებს ე.წ. რაუნდაპისათვის გამზადებული სოიო — გენური ცვლილებების მქონე პირველი კულტურა მსოფლიოში, რომლის მაღალი მოსავლის მიღება შესაძლებელი იყო ჰერბიციდების მნიშვნელოვნად ნაკლები დოზების გამოყენებით, რაც სახსრების ეკონომიასთან ერთად ზღუდავდა გარემოს დაბინძურებას, ინვესტა მარცვალში ჰერბიციდების მავნე ნარჩენების შემცველობის მკვეთრად შემცირებას და შესაბამისად, ეკოლოგიურად უფრო სუფთა პროდუქციის მიღებას.

მიუხედავად ამისა, მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების წარმოება და შესაბამისად, მსოფლიო ბაზარზე მატულობს გენმოდულიზირებული კვების პროდუქტების რაოდენობა.

გამოყვანილია ბრინჯის, რაფსის, სიმინდის, სოიოს, პომიდვრის, კარტოფილის, თამბაქოს და სხვა კულტურების ჯიშები, რომლებშიც შეყვანილია აგრობაქტერიის ტოქსინები და რომლებიც რეზისტენტული არიან დაავადებების, მავნებლებისა და ჰერბიციდების მიმართ. ბაქტერიული გენით მიღებული ტრანსგენური კულტურების მოსავლიანობა 30-35%-ით მაღალია და 40%-ით უფრო რენტაბელია, ვიდრე ჩვეულებრივი კულტურების ტრადიციული აგროტექნიკის პირობების შემთხვევაში.

ცხადია, რომ სასოფლო სამეურნეო კულტურების გენების მოდიფიკაცია მათ ანიჭებს მდგრადობას სხვადასხვა პესტიციდის, დაავადების, მღრღნელების მიმართ; ზრდის შენახვის ვადებს, მაგრამ სასურველია გენების გამოხატვის გაუთვალისწინებელი ეფექტების, მაგ., პროდუქტების კვებითი ღირებულების შეცვლის, ალერგიული ან ტოქსიკური რეაქციებისა და შორეული შედეგების შეფასების ჩატარება, რომელიც დღეს საკმაოდ გართულებულია.

მიუხედავად იმისა, რომ ტრანსგენური კულტურების თესვა იზრდება „სტანდარტული“ 12%-იანი მატებით (მათზე მოდის მსოფლიო სოიოს წარმოების 45%, სიმინდის — 10%, ბამბის — 20% და რაფსის — 11%. აშშ-ში ტრანსგენურ კულტურებზე მოდის სოიოს 75%, სიმინდის 34% და ბამბის 71%). ევროპის ბევრ ქვეყანაში გენმოდულიზირებული კარტოფილითა და პომიდვრით დაკავებული ფართობები დღეისათვის, პრაქტიკულად, ნულზეა დასული, რაც არსებულ სიტუაციაში მათი გამოყენების არაპერსპექტიულობაზე მეტყველებს.

ამრიგად, ძირითადი კითხვა — უსაფრთხოა თუ არა ადამიანისთვის გენეტიკური მოდიფიკაციის საფუძველზე მიღებული კვების პროდუქტები — ჯერჯერობით კვლავ ერთმნიშვნელოვანი პასუხის გარეშე რჩება. დანამდვილებით ვერავინ ამტკიცებს როგორც გენმოდულიზირებული პროდუქტების უსაფრთხოებას, ისე მათ საზიანო თვისებებს.

ამრიგად, ძირითადი კითხვა — უსაფრთხოა თუ არა ადამიანისთვის გენეტიკური მოდიფიკაციის საფუძველზე მიღებული კვების პროდუქტები — ჯერჯერობით კვლავ ერთმნიშვნელოვანი პასუხის გარეშე რჩება. დანამდვილებით ვერავინ ამტკიცებს როგორც გენმოდულიზირებული პროდუქტების უსაფრთხოებას, ისე მათ საზიანო თვისებებს.



**სებებს.** თუმცა, დღითიდღე იზრდება მათი რაოდენობა, რომლებიც „სიფრთხილის პრინციპს“ ამჯობინებენ. ეს გასაგებიცაა, რამდენადაც თანამედროვე ბიოტექნოლოგია მხოლოდ იმ შემთხვევაში მოემსახურება ადამიანის კეთილდღეობის ზრდას, თუ ის განვითარდება და გამოყენებული იქნება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების სათანადო ღონისძიებების დაცვით.

საქართველოს აგრარული სექტორის სუსტი კომერციალიზაცია და მასში ოჯახური მეურნეობების დომინირება, პრობლემებთან ერთად, სწორედ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების გაფართოების შესაძლებლობას იძლევა, რომელიც უკანასკნელ წლებში მზარდი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში.

ასე რომ, თუ საქართველო ამ მიმართულებით წავა, დიდი შანსი აქვს, გავიტანოთ ჩვენი პროდუქცია ევროპის ქვეყნებში, სადაც მყიდველობითი უნარი მაღალია. ამისათვის არსებობს უმკაცრესი საკანონმდებლო ნორმატიული აქტები, საერთაშორისო და ევროკავშირის დირექტივები, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოებას არეგულირებს. ეს იოლი საქმე არაა, იმიტომ, რომ ასეთი პროდუქციის წარმოება არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ ხარისხიანი სუფთა პროდუქციის წარმოებას, ის პარალელურად გარემოს დაცვის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

რაც შეეხება ეკოლოგიურ წარმოებას, საქართველოს ამ მხრივ ორი ეტაპი აქვს გასავლელი:

**პირველი ეტაპი არის გარდამავალი პერიოდი.** ამ დროს ხდება მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემის დანერგვა, ანუ ქიმიური პრეპარატებით წამლობების ჯერადობის შემცირება. პროფილაქტიკური წამლობების მინიმიზაცია, ეკოლოგიურად ნაკლებად საშიში ქიმიკატების გამოყენება. ნიადაგის ნაყოფიერებისა და მცენარეთა იმუნიტეტის აღდგენა, ეკოლოგიური და ეკონომიკური ნორმების

დადგენა-დანერგვა. აგროტექნიკური ფონის გაძლიერება, ნიადაგების სტრუქტურის აღდგენა, გენეტიკურ-სელექციური საქმიანობის გაძლიერება. მცენარეთა დაცვისა და აგრომეტეოროლოგიური სამსახურების ამოქმედება. ფერმერთა და გლეხთა, აგრეთვე, აგროსისტემაში დასაქმებულ პირთა ფსიქოლოგიურ-საგანმანათლებლო შემზადება და სხვ. ამასთან, პარალელურად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების აშენება-ამოქმედება და გასაღების ბაზრების მოძიება, რომელთა გარეშეც ეკოლოგიურად სუფთა წარმოება წარმოუდგენელია;

**მეორე ეტაპი არის წმინდა ეკოლოგიური წარმოება.** კერძოდ, შესწავლილი რომ გვექნება ნიადაგების ხარისხობრივი მაჩვენებლები და მკაცრად დადგენილი, თუ რომელი პროდუქცია ვწარმოოთ და სად გავასალოთ, დავიწყებთ წარმოებას იმ საშუალებებით, რომლებიც ჩვენს ხელთ იქნება. მკაცრად მიზნობრივად გამოვიყენებთ მინერალურ და ორგანულ სასუქებს. განსაკუთრებული როლი მიენიჭება თესლბრუნვას, ადგილზე გამოვიყვანთ, მოვიძიებთ და, თუ შევძლებთ, შემოვიტანთ (მკაცრი კონტროლის პირობებში) აუცილებელ სათესლე და სარგავ მასალას. მავნებელ-დაავადებებთან საბრძოლველად უპირატესად გამოვიყენებთ ინტეგრირებულ მეთოდებს.

გრძელვადიან პერსპექტივაში, გენმოდირირებული ორგანიზმების რეგულირება მოითხოვს ქვეყანაში შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებასა და განვითარებას, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. ამას თან უნდა ახლდეს ბიოუსაფრთხოების საერთაშორისო კონვენციების დაცვა.

ამრიგად, **უნდა ჩამოყალიბდეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების თვალსაზრისით სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი სტრატეგიული მიმართულება**, რომელიც შემდეგნაირად ფორმულირდება:

მსოფლიო გლობალიზაციისა და

ყოველმომცველი ინტეგრირებული პროცესების საფუძველზე, საბაზრო ურთიერთობათა ობიექტურად შეუქცევადი მოთხოვნების პირობებში, მოსახლეობის ზრდის სწრაფი ტემპებისა და რესურსული პოტენციალის კლების გათვალისწინებით, სოფლის მეურნეობის განვითარება ნიადაგის ნაყოფიერებისა და მინერალური სასუქების გამოყენების გზით, ამაღლების, მცენარეთა დაცვისა და სარეველა მცენარეებთან ბრძოლის ქიმიური საშუალებების გამოყენების, აგრეთვე, გენური ინჟინერიის მიღწევების დანერგვის გარეშე, უკვე პრაქტიკულად შეუძლებელია; წინააღმდეგ შემთხვევაში, ნიადაგები საერთოდ გამოიფიტება ძირითადი საკვები ელემენტებისგან, მცენარეთა მავნე ორგანიზმებისა და სარეველა მცენარეების გავრცელების მასშტაბების შეჩერება შეუძლებელი გახდება, რაც დაარღვევს ეკოლოგიურ წონასწორობას, მიღებული მოსავლის დაცვა და მის დანაკარგებთან ბრძოლა გაძნელდება, დაიკარგება პროდუქციის ხარისხისა და წარმოების მართვის კონტროლი და შედეგად მივიღებთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების საგანგაშო დაცემა-შემცირებასა და მოსახლეობის შიმშილის მასშტაბების შეუჩერებელ ზრდას.

ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქციის მიღება შეიძლება მხოლოდ ამ მიზნით გამოყოფილ ლოკალურ ზონებში, საგანგებოდ შერჩეულ ფართობებზე, სადაც გატარდება სპეციფიკური აგროტექნიკური ღონისძიებები. შეიძლება ასეთი ფართობები გამოიყოს კომერციალიზაციის პრინციპით, უშუალოდ მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფის დაკვეთით, ხელშეკრულების საფუძველზე. ასეთ ზონებში, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების მოცულობები იქნება მცირე და შესაბამისად, ძვირადღირებულიც. ეს იქნება დაკვეთილი ბიზნესის სპეციფიკური ფორმა, რომლის არეალიც, სავარაუდოდ, თანდათან გაფართოვდება, მაგრამ არა თვალმისაცემად.

**ოპარ ქაშელაშვილი**  
აკადემიკოსი





# იაკობ გოგებაშვილი – 175 (1840-1912)

იაკობ გოგებაშვილს ბედმა არგუნა, გამოსულიყო საზოგადო სამსახურის ასპარეზზე იმ დროს, როცა მის გარშემო წყვდიადი მეფობდა, ყოფილიყო ქართული მოაზროვნე საზოგადოების იმ მცირე ჯგუფის წევრი, რომელსაც წილად ხვდა დაარსება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ და მხარში ამოსდგომოდა დიმიტრი ყიფიანს, ილია ჭავჭავაძეს, ვახტანგ თულაშვილს, ბესარიონ ლოლობერიძეს, ქრისტეფორე მამაცაშვილს, ნიკოლოზ ცხვედაძეს. ეს ის დრო იყო, როდესაც მშობლიური ენა დევნილი იყო სკოლებში, პატივყარილი — ოჯახებში; არისტოკრატიას ერცხვინებოდა ქართულად ხმის ამოღება... იმ დროს ქართული ენის შესასწავლად ორგვერდიანი ნაბეჭდი ანბანი არსებობდა. და აი, ასეთ დროს გამოდის იაკობ გოგებაშვილი თავისი „დედაენით“ და ცდილობს, იმის საშუალებით დანერგოს სკოლებში ქართული ენა. წლებულს ამ დიდ მამულიშვილს 175 წელი უსრულდება. მაგრამ ბევრად მეტიც რომ გავიდე, მისი სახელი ერის მეხსიერებაში არასოდეს გაფერმკრთალდება. გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს თედო სახოკიას მოგონებებიდან იაკობ გოგებაშვილზე.



სრულებით ბუნებრივი გახლავთ, რომ იაკობ გოგებაშვილს თავისი „დედაენა“ მიეჩნია ქართველისათვის ეროვნული სახის შენარჩუნების საშუალებად და, ვინც ამ ნიგნის საწინააღმდეგოს რასმე იტყოდა, გამოეცხადებინა ქართული ენის, ყოველივე ქართულის მტრად, საქართველოს ძირის გამომთხრელად.

ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი — აი, ეს ორი სახელოვანი ადამიანი იყო იმ დროის ქართველი საზოგადოების ნამდვილი პატრონი, მოამაგე და ჭირისუფალი. თუ რაიმე პოლიტიკის შესახებ წამოიჭრებოდა საკითხი და გაზეთში მტრისათვის პასუხის გაცემა იქნებოდა საჭირო, მაშინ ყველა ილია ჭავჭავაძეს მიაპყრობდა თვალებს: ვნახოთ, რას იტყვის ილია, მარტო იმას შეუძლია, მტერს პირი დააღებინოსო, ჩვენს თავს აბუჩად არავის ააგდებინებსო. მეორე მხრივ, როცა სწავლა-აღზრდის შესახებ საკითხი წამოიჭრებოდა, როცა სკოლაში ქართული ენის სწავლების აუცილებლობის საქმე იყო გასარჩევი თუ გადასაწყვეტი, იაკობ გოგებაშვილს დაუწყებდით ცქერას: ის იყო

ქართველთა საესავი, მისგან მოელოდნენ გაჭირვებისაგან ხსნას.

ილია ჭავჭავაძეცა და იაკობ გოგებაშვილიც ოღონდაც რომ ჰგრძნობდნენ თავიანთ ამ მძიმე როლს, რომელიც სრულებით ბუნებრივად დაეკისრათ გაჭირვებაში მყოფ თანამემამულეთაგან, შეგნებული ჰქონდათ მთელი სერიოზულობა ამ როლისა და პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე. და ისინიც, თავთავიანთ სფეროში, თავდაუზოგველად იღვწოდნენ. **თამამად შეიძლება ითქვას, რომ გოგებაშვილის „დედაენამ“, რომელიც პირველად გამოვიდა 1876 წელს, საძირკველი ჩაუყარა ქართული ენის გადარჩენას.**

როდესაც 1899 წელს სოხუმში პირველად იქნა შემოღებული საქალაქო თვითმმართველობა, ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა გადაწყვიტეთ, ქალაქისთავად აგვერჩია გამოცდილი და ზნეობით უმნიკველო ადამიანი **ალექსანდრე სარაჯიშვილი** და ამის თაობაზე მიგვეწერა წერილები ჩვენი საზოგადოების მეთაურ და ცნობილ ადამიანებისათვის, როგორც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი, ნიკო

ნიკოლაძე, პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი და ჩვენი საყვარელი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი. ვისაც შევატყობინეთ ჩვენი გაჭირვება, ყველამ გამოგვიგზავნა პასუხი და გამოსთქვა თავისი დადებითი აზრი ალ. სარაჯიშვილის შესახებ. ამასთანავე, აზრი გამოსთქვა განსვენებულმა იაკობ გოგებაშვილმაც და თან დარიგება დაურთო. ი. გოგებაშვილმა წერილი გამოგზავნა ანთიმოზ ჯუღელის სახელზე. მას საერთო პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული სოხუმელებისა. აი, თვით ეს საინტერესო დოკუმენტიც.

**„ბატონო ანთიმოზ! სოხუმელები, სხვათა შორის მეც მეკითხებით შესახებ ალექსანდრე სარაჯიშვილის კანდიდატურისა თქვენის ქალაქის მოურავის ადგილზე. უკეთეს კანდიდატს ვერ იშოვით ვერც ქართველები და ვერც რუსები. კაცს უსწავლია საქართველოში, რუსეთში და ევროპაში. სწორედ რომ განათლებული ქართველია. გარდა ქართულისა და რუსულისა, ევროპელი ენებიც იცის. ჩვენს ლიტერატურაში უღვაწნია და ეხლაც მოღვაწეობს. მას ეკუთვნის, მაგალითად, ფრიად საფუძვლიანი გა-**



მოკვლევა „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილებისა, რომელიც იბეჭდებოდა და იბეჭდება „მოამბეში“, გამოცდილება დიდი აქვს, სამსახურის წესრიგი და დისციპლინა შეთვისებული აქვს და ხასიათად გადაქცეული, რადგანაც იგი კარგა ხანს იყო ჯერ განსაკუთრებით მინდობილობათა ჩინოვნიკად დაღესტნის გუბერნატორთან ნიკო ჭავჭავაძესთან, რომელიც ძლიერ ღირსეული და ჭკვიანი ქართველი იყო, ყველასაგან პატივცემული, მერე მმართველად განჯის გუბერნატორის კანცელარიისა (Правителем канцелярии) და ეხლა არის სოვეტნიკად განჯის საგუბერნიო საბჭოსი, ანუ პრისუტსტივისი. აქ ძლიერ უკვირთ, რომ იგი ამისთანა სამსახურს თავს ანებებს და სოხუმში მოდის ქალაქის თავად. ეს მისი გადაწყვეტილება აიხსნება ორი გარემოებით: მას უნდა, ერთი მხრივ, საზოგადოებას ემსახუროს და, მეორე მხრივ, უპატრონოს თავის მამულს სოხუმის მაზრაში. თბილისშიაც აქვს მას შემოსავლიანი ქარვასლა, ასე რომ, შეძლებულ კაცად უნდა ჩაითვალოს, თუ საკუთარი სახსარი არ ჰქონებოდა ცხოვრებისა, სოხუმში გადმოსვლას ვერ გაბედავდა. ამასთან, ძლიერ პატიოსანი და მშრომელი კაცია.

რუსები როცა გაიცნობენ, მაღლობას გეტყვიან ქართველებსა, რომ ამისთანა კაცი მოგინახავთო. სისხლითაც ენათესავება რუსებს: დედა რუსი ჰყავს და ცოლადაც რუსის ქალი შეურთავს, რაც მას სრულიად არ უშლის ქართველი მამულისშვილი იყოს, თუმცა ლობიოს პატრიოტობას კი, რასაკვირველია, მოშორებულია.

საერთოდ, მანდ ქართველებს გამართებთ დიდი ტაქტით მოიქცეთ და რუსებსა და თქვენ შორის არ გაამწვავოთ ურთიერთობა. ყოველი ჯგუფი ადამიანებისა მხოლოდ მაშინ დაიმსახურებს პატივისცემას და გავლენას, როდესაც ღირსეულად, დარბაისლურად იცავს თავისს საზოგადო ინტერესებს და ამავე დროს არ არღვევს სხვების კანონიერს ინტერესებსა. ჩვენში ამ მხრივ ორი უკიდურესობა არსებობს: ზოგი ლაქიურად ელაქუცებიან რუსებსა და იმცირებენ თავსა, ყოველს პატივისცემას ჰკარგავენ, ზოგნი მამლაყინურად ამყობენ, წინლაკიანობას მისდევენ და საზოგადო საქმეს აფუჭებენ. ერთადერთი ღირსეული გზა კი იმაში მდგომარეობს, რომ შეგნებით და დარბაისლურად დავიცვათ ჩვენი ინტერესები და სხვებსაც წყენა და ვნება არ მივყენოთ მათს კანონიერს და სამართლიანს მოთხოვნილებაში. რუსებთან ძმურად მორიგება და მოქმედება ადვილად შესაძლებელია, თუ ტაქტით და წინდახედულობით მოვიქცევით და ამავე დროს ყოველს ჩვენს საარსებო მოთხოვნილებას, ინტერესს, ფხიზელ გუშაგად აღმოვუჩნდებით.

რასაც მე სარაჯიშვილზე (გწერთ), მარტო ჩემი აზრი არ არის. ილია ჭავჭავაძე, ნიკო ლოლობერიძე, ნიკო ცხვედაძე, პეტრე უმიკაშვილი და მთელი თბილისის ინტელიგენცია სწორედ ამავე აზრისა არის.

ეხლა საქმე იმაშია, როგორ მოვუპოვოთ სარაჯიშვილს ცენზი, რომელიც მას სოხუმში არა აქვს. საუკეთესო ღონისძიებად სთვლიან ყველანი ამ ღონისძიებას: იგი უნდა ამოირჩიოთ ოპეკუნად ობლებისა, რომელთაც ცენზი აქვთ, და ეს ცენზი გადავა სარაჯიშვილზე, როგორც ოპეკუნზე. ასე მოიქცენ, მა-

გალითად, ასათიანის შესახებ. თქვენი გამარჯვების მოსურნე იაკობ გოგებაშვილი. თბილისი, 1899 წელსა, აპრილის 28 დღესა“.


როგორც ვიცით, იაკობ გოგებაშვილი სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს ფილტვების ანთებით გახდა ავად, რის შემდეგ ფილტვები დაუზიანდა. სამშობლოში დაბრუნებული იაკობ გოგებაშვილი 1875 წელს სოხუმშიაც კი მიდის იქაური თბილი ჰაერით სამკურნალოდ. ამის შემდეგ თავისი ჯანმრთელობისათვის ზრუნვა მას კულტად ჰქონდა გადაქცეული. ერთთავად თბილად იყო ჩაცმული, ზამთარ-ზაფხულ. იშვიათად ნახავდით, რომ პალტო არ ჰქონოდა წამოსხმული და ფეხებზედაც კალოშები არა სცმოდა. ცივს ნიავს არ იკარებდაო — აბა, სწორედ იაკობზე ითქმოდა.

გაცივების გარდა, თუ აუცილებელი გაჭირვება არა, იაკობი, აგრეთვე, ერიდებოდა ისეთ ადგილას შესულიყო, საცა ორ ან სამ კაცზე მეტი იქნებოდა, სხვისი ამონასუნთქი ჰაერის ჩასუნთქვას გაურბოდა. თავისი „დედაენის“ და სხვა სახელმძღვანელოების ბეჭდვის დროს ყოველად შეუძლებელი იყო, საასოთამწყობოში თავი შეეყო. მისი წიგნის ასოთამწყობისათვის უეჭველად გარეთ უნდა გამოეძახნათ რისამე საკითხავად ან სათქმელად.

იაკობ გოგებაშვილი, თუ არ ვცდები, 1890 წლიდან ცხოვრობდა მთაწმინდაზე, „პრიუტისა“ და ყიფიანის ქუჩების კუთხეში, ყარაშვილის სახლში, სადაც ოთხი თუ ხუთი ოთახი ეჭირა. მოსამსახურედა ჰყავდა რაჭველი იაკობ გულუაშვილი, იგივე მზარეულად, რომელიც სიკვდილამდე არ მოშორებია. როგორც დედის მხრივ ქლექიანის ჩამომავალს, თავის მოვალეობად მიიჩნდა, ცოლი არ შეერთო და ქლექიანი შთამომავლობა არ გაეჩინა. იაკობ გოგებაშვილი ბერივით იყო თავის ბინაზე: არც ის დადიოდა ვისთანმე სტუმრად და აღარც მასთან დადიოდა ვინმე სასტუმროდ.

იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ პირველ ხანებში გამომცემლად ჰყავდა რუსული წიგნის მაღაზიის პატრონი გრიქუროვი (კუთხე

სრულაბით გუნაბრივი განლაპთ, რომ იაკობ გოგებაშვილს თავისი «დედაენა» მიიჩნია ქართველისათვის ეროვნული სახის შენარჩუნების საშუალებად და, ვინც ამ წიგნის სანინააღმდეგოს რასმე იტყვოდ, გაგოცხსაღებინა ქართული ენის, ყოველივე ქართულის მტრად, საქართველოს ძირის გაგომთხრალად.





გლესთა სასახლისა, ყოფ. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ). როცა „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ წიგნების გამოცემის საქმე გააფართოვა, „დედაენისა“ და იაკობ გოგებაშვილის სხვა სახელმძღვანელოების გამომცემლობაც ამ საზოგადოების ხელში გადავიდა. ბეჭდვით კი მისი წიგნები იბეჭდებოდა ჯერ ექვთიმე ხელაძის სტამბაში (ყოფ. ალექსანდრეს ბაღის თავში, ამჟამად კომუნარების ბაღი ქაშვეთის ეკლესიის შენობაში), შემდეგ მაქსიმე შარაძისა და ამხანაგოების სტამბაში (ნიკოლოზის ქუჩა №8, ამჟამად კალინინის ქუჩა, „ივერიის“ რედაქციის შენობის ქვედა სართულში). ამ სტამბებში როცა რამე იბეჭდებოდა იაკობ გოგებაშვილისა, ავტორი განუშორებლივ თავს დასტრიალებდა. სულ იმის ცდაში იყო, წიგნი უზრუნველყო კორექტურულ შეცდომათაგან. ყოველი წიგნისათვის აკადემიური კორექტურა უნდა გაეკეთებინა, ე.ი. ოთხჯერ მაინც უნდა გაეცნორებინებინა, სანამ წიგნი საბოლოოდ გამოვიდოდა საბეჭდავიდან, ამონაბეჭდებს ასოთამწყობებს დაურიგებდა და დაავალებდა შეცდომათა პოვნას. ყოველ ნაპოვნ შეცდომისათვის პრემიად ორ შაურს აძლევდა, რაიც იმ დროისათვის კარგ ჯილდოდ ითვლებოდა. და წარმოიდგინეთ, ასეთის სიფრთხილითა და ყურადღებით ნასწორებ წიგნში კიდევ აღმოაჩენდნენ ხოლმე შეცდომებს. ერთი სიტყვით, მანამდე ვერ ისვენებდა, სანამ საბოლოოდ ნებას არ დართავდა დასაბეჭდად და საბეჭდავიდან უკვე დაბეჭდილ ფურცლებს არ ამოუტანდნენ.

მეორე ადგილი, საცა ნახავდით დღისით იაკობ გოგებაშვილს, იყო „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ კანცელარია, წიგნის მაღაზიის აივანი სათავადაზნაურო ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე. ამ აივანზე მარტო უყვარდა ბოლთის ცემა, სანამ ვინმე ნაცნობი მოვიდოდა და მასთან ბაასს გააბამდა; კანცელარიასა და წიგნის მაღაზიაში მხოლოდ შეიხედავდა, შესვლით კი არ შევიდოდა უსუფთაო ჰაერის შიშით.

შუადღიდან და ნაშუადღევის

**იაკობ გოგებაშვილი:**  
**ერთადერთი ღირსეული გზა კი იმასი**  
**მღვობაჲოვს, რომ შეგნებით და ღარბაისლუკად**  
**ღავისხვათ ჩვენი ინტარკასი და სხვაგან წყნად**  
**და ვნება არ მივაყენოთ მათს კანონიარს და**  
**სამართლიანს მოთხოვნილბაში. რუსებთან**  
**ქუჩად მოჩიგება და მოქმედება აღვილად**  
**შასაქლაბალია, თუ ტაქტიტ და წინდახაღულოგით**  
**მოვიქცავით და ამავე დროს ყოველს**  
**ჩვენს საარკასო მოთხოვნილბას, ინტარკას,**  
**ფსიხალ გუზაბად აღმოვინდაბით.**

ორამდე იაკობ გოგებაშვილს, როცა კარგი დარი იყო, ნახავდით გოლოვინის პროსპექტზე. სიარული უყვარდა ყოფილი სასახლის ქუჩის თავიდან ვიდრე ლალიძის წყლებით სავაჭრომდე. უხაროდა ახალგაზრდების შეხვედრა, ვინ მწერლობაში იწყებდა გამოსვლას და ასე თუ ისე ნიჭსა და უნარს იჩენდა.

უკანასკნელად იაკობი ვნახე 1905 წლის გაზაფხულზე, როცა ამ წლის რევოლუცია იწყებოდა, როცა გულში გვესახებოდა ტახტიდანი რუსი ხელმწიფის ჩამოგდების იმედი, როცა ვფიქრობდით, მალე გვენახა განთავისუფლებული საქართველო, უღმობელი მტრის კირთები-საგან განთავისუფლებული ქართული ენა, თავისუფალი ქართველი მშრომელი ერი... იაკობს ამ საერთო სიხარულისა და აღტაცების ჟამს დაჰკინებოდა თავისი განუწყვეტილი ჩივილი ავადმყოფობაზე, 6 წლის კაცს თვალეში 25 წლის ახალგაზრდასავით უბრწყინავდა, მთელ სახეს სიხარულის სხივი გადაჰფენოდა, წელში გასწორებულიყო, თავი მალა აელო, ხმას მეტი რიხი და სითამამე მოჰმატებოდა. მგონი გვეშველოს, — მითხრა მხიარულად იაკობმა, — რაც ამდენ ხანს ოცნების საგნად მიგვარჩნდა, ახლა რეალობად გახდეს, შრომამ ფუჭად არ ჩაგვიაროს... ბედნიერები ხართ ახალგაზრდები, რომ ყველაფერს მოესწრებით... მე კიდევ ვეცდები, ჩემი „დედაენა“ უკეთესად გადავაკეთო, გადავახალისო, შევაავსო განახლებული თანამედროვე ცხოვრებისა და პირობათა მიხედვით

1905 წელსავე რევოლუციამ დამაშორა იაკობ გოგებაშვილსა და

თბილისს. 1908 წელს ამ რევოლუციასთან დაკავშირებით ციმბირიც ვნახე. 1909 წლის გაზაფხულზე განვიზრახე იქიდან ვლტოლოვილიყავ და რადგან ამისთვის, ყოველ უწინარეს, ფული იყო საჭირო, იაკობ გოგებაშვილს წერილით ვაცნობე ჩემი განზრახვა და ვთხოვე, ტელეგრამით მოეწოდებინა ხუთი თუმანი. ჩემი წერილი მოსვლოდა თუ არა, დაუყოვნებლივ გამოეგზავნა ნათხოვნი თანხა.

1912 წელს იაკობი ავად გამხდარიყო. ჩვენი საყვარელი მწერალი და მისი ნამონათფარი და მეგობარი ნიკო ლომოური მისუღიყო სანახავად, მოეკითხნა, ნუგეში ეცა, მალე მორჩენა უსურვებია და გამოთხოვებისას ხელზე მთხვევია. იაკობს უთაკილია ასეთი პატივისცემა და უთქვამს:

— შე კაი კაცო, დეკანოზი ხომ არა ვარ, ხელზე რომ მემთხვიო?

— შერცხვეს ის დეკანოზი, შენზე მეტად ღირსი იყოს ხელზე მთხვევისაო, — უპასუხა თურმე მისმა უსაზღვროდ პატივისცემელმა და მათავანებელმა ნიკო ლომოურმა.

მომაკვდავისთვის მეტად აუყუჩებია გული ნიკო ლომოურის მხრივ ასეთი ყურადღებისა და სიყვარულის გამოხატვას და თვალეზე ცრემლი მოჰრევია.

ასეთი სიყვარული და ასეთი პატივისცემა დიხაბაც დაიმსახურა იაკობ გოგებაშვილმა თავისი მადლიერი ერისაგან... ნიკო ლომოური მხოლოდ გულწრფელი გამომხატველი იყო ამ საერთო სიყვარულისა.

**თადო სასოკია,**  
**„ჩემი საუკუნის ადამიანები“,**  
**თბილისი – 1984**



# ქვალი ფოტოალბომიდან

არიან ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ნათელი კვალი დატოვეს ამქვეყნად. ერთ-ერთი მათგანია ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ფოლკლორისტი — მელიტონ სპირიდონის ძე კელენჯერიძე.

მელიტონ კელენჯერიძე 1864 წელს დაიბადა ზესტაფონის რაიონის სოფ. ტაბაკანში. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1894 წელს, კიევის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ, მასწავლებლად მუშაობდა ქუთაისსა და ფოთში; იკვლევდა ხალხური ზეპირსიტყვიერების საკითხებს, კრებდა და აქვეყნებდა ფოლკლორულ ნიმუშებს. 1893-1894 წლებში ჟურნალ „მომამბეში“ დაიბეჭდა მისი ნაშრომი „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა“ (ცალკე წიგნად გამოიცა 1896 წელს ქუთაისში); 1915 წელს გამოსცა ხალხური ზღაპრების, აფორიზმებისა და გამოცანების კრებული; შეადგინა სა-

ხელმძღვანელოები სკოლებისთვის: „სიტყვიერების თეორია“, „ქართული ქრესტომათია“, „ქართული ენის გრამატიკა“ და სხვ. მელიტონ კელენჯერიძე ავტორია გამოკვლევებისა ქართული ეკლესიის ისტორიიდან: „გაბრიელი — ეპისკოპოსი იმერეთისა“ (1913), „საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია“ (1918), „სიმართლე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე“ (რუსულ ენაზე, 1906) და სხვ. მრავალმხრივი მოღვაწე და მეცნიერი, იგი თავის სიტყვას ამბობდა ფოლკლორისტიკაში, თეოლოგიაში, სიტყვიერების თეორიაში, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. გარდაიცვალა 1942 წელს თბილისში.



მეუღლე ოლღასთან ერთად





დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე, ახრახამე-კელენჯერიძე ოღლა და ლევან კელენჯერიძე





ჯგუფური ფოტო: დეკანოზი მელიტონ კელეჯერიძე და ნიკოლოზ კალანდარიშვილი





# გერონტი ქიქოძე

## მსხეთის ნაკროპოლი და კველი იბერიელები

როცა ადამიანი ძველი მცხეთის სასაფლაოს ათვალიერებს, ამ უზარმაზარ ნეკროპოლს, რომელიც სამთავროს ეკლესიასთან იწყება და თითქმის ბებრის ციხემდე აღწევს, შეუძლებელია ის მისი პირველი გამომთხრელის, ავსტრიელი მეცნიერის — ფრიდრიხ ბაიერნის სიტყვებს არ დაეთანხმოს, მცხეთა დიდი და მდიდარი ქალაქი ყოფილა, კომფორტის მოყვარული და მეომარი ხალხით დასახლებულიო.

არქაული და ელინისტურ-რომაული ეპოქის მცხეთელ ქალებს რომ კომფორტი ჰყვარებიათ, ამას მონიშნავს ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს სამკაულები, მშვენიერი სამაჯურები და ყელსაბამები, საყურები და ქინძისთავები, სარტყელები და თავსაკრავები... ხოლო ძველი მცხეთელი მამაკაცების მხედრულ სულს მათი საომარი იარაღის სიუხვე ამჟღავნებს, მათი ბრინჯაოსა და რკინის შუბები, მახვილები და ორღესული ხანჯლები; ამასვე მონიშნავს მათი გაჩეხილი თავის ქალები, რომელნიც უფრო მაშინ გვხვდებიან, როცა მიცვალებულნი ცალკე კი არ მარხიან, არამედ ჯგუფად, ერთგვარ არქაულ ძმათა სასაფლაოში. **ბაიერნს ეგონა, ეს ჯგუფური სამარხები ამტკიცებენ, რომ ძველ იბერიელებს ძალიან მკაცრი ღმერთები ჰყოლიათ და მათ ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა მასობრივად უნარმოებიანო. ეს შეცდომაა: სამარხები მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ ჩვენს შორეულ წინაპრებს ვაჟკაცური ერთსულოვნება გამოუჩენიათ შეტევასა და თავდაცვაში.**

**რით აიხსნება, რომ სამთავროს არქეოლოგიური გათხრები ისეთი ნაყოფიერი აღმოჩნდა, რომ მათი ინვენტარი აშუშავს საქართველოს პრაქტიკოსების და ისტორიკოსების საუკუნეებს, მოყოლებულთ თითქმის ათას ხუთას-**

### სი წლიდან ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე?

მცხეთა რომ იბერიის პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი იყო ელინისტურ და რომაულ ეპოქაში, ეს უდავოდ მტკიცდება ჩვენი ისტორიული გადმოცემებითა და წერილობითი წყაროებით, აგრეთვე, ბერძენი და რომაელი ავტორების მონიშნებით. უფრო ძნელი დასამტკიცებელია, რომ პრეისტორიულ ეპოქაშიც, რომელმაც სამთავროს სამარხებში ასეთი მდიდარი თიხის ჭურჭლისა და ბრინჯაოს სამკაულის თუ საჭურვლის ინვენტარი დაგვიტოვა, მცხეთის ძირითადი მოსახლეობა იბერიელებისაგან შედგებოდა. ამის დასამტკიცებლად, ურყევი ისტორიული საბუთების უქონობის გამო, საჭიროა რთული ანთროპოლოგიური კვლევა-ძიების წარმოება ჩონჩხებისა და თავის ქალების მიმართ, რომელთაც მინის ქვეშ სძინავთ სამი-ოთხი ათასი წლის განმავლობაში, ეს მეტად რთული საქმეა.

ასეა თუ ისე, **მცხეთა ყოველთვის დიდი სააღმშენებლო ცენტრი უნდა ყოფილიყო იმ ბინდბუნდით მოცულ პერიოდშიც, საიდანაც ჩვენ ისტორიული ცნობები არ გვაქვს, და საქართველოს ისტორიის გარიჟრაჟზეც, როდესაც იბერიელები, სამხრეთიდან მტკვრის ხეობაში შემოჭრილნი თუ ძველთაგან აქ ბინადარნი, ამ ტერიტორიას ბალ-ვენახებით ფარავდნენ, კრამიტის სახურავიანი**



ქვის შენობებით, ქულბაქებითა და ფორუმებით ამკობდნენ და მტკიცე სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას ჰქმნიდნენ, მაგრამ დიდ იბერიელთა ტომს, რომელიც თითქოს ორჯერ გამოფხიზლდა მრავალსაუკუნოვანი ძილისაგან — ერთხელ მაშინ, როდესაც ის პართიელი არშაკიდების სამეფოს გამოეყო და თავისი დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო დააარსა, ხოლო მეორეჯერ, როდესაც ქრისტიანობა მიიღო, თავის პირველ სატახტო ქალაქში არასოდეს უწარმოებია ვინრო განკერძოების პოლიტიკა და მცხეთა იბერიელთა ეროვნული თვითგამორკვევის შემდეგაც ისეთ დიდ საერთაშორისო ცენტრად დარჩა, როგორც მანამდე იყო.

დიდად დამახასიათებელია ძველი ქართული ქრონიკების ცნობა, რომ **მცხეთაში თავშესაფარი ჰპოვეს ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ ოტებულმა ებრაელებმაც, რომელნიც მცხეთის ხელისუფლებამ არაგვის პი-**



**რას დაასახლა,** „წყაროსა, რომელსაც ჰქვიან ზანავი“, ვესპასიანე იმპერატორის დროს გამოქცეულმა ებრაელებმაც, რომელთაც იქვე ჰპოვეს თავშესაფარი და სპარსეთის მეფის ქაიხოსროსაგან ოტებულმა ბუნთურქებმაც, რომელნიც მცხეთის დასავლეთით დასახლდნენ, მათ მიერ მტკიცედ შემოზღუდულ სარკინეთში. **საფიქრებელია, რომ მცხეთის აყვავების პერიოდში იქ სხვა ერებსაც ექნებოდათ თავიანთი მეტად თუ ნაკლებად განკერძოებული უბნები.**

მაგრამ თუნდაც მცხეთის ხელისუფალთ უცხოელების მიმართ ნაკლებ შემწყნარებელი პოლიტიკა ენარმოებინათ, ეს საუცხოო ადგილი, სადაც არაგვის მშფოთვარე ტალღები მტკვრის ტალღებში წყნარდება, მაინც ქარავნებისა და დიდვაჭრების შესახებ ადგილად გადაიქცეოდა. **სად უნდა დაესვენათ მიდიდან ან პართიიდან პონტოს ზღვისაკენ მიმავალ ქარავნებს, თუ არა მცხეთაში? და სად უნდა დაენყოთ სკვითიდან ან სარმატიიდან მომავალ ვაჭრებს თავიანთი ბენვეულობა, თუ არა იმავე მცხეთაში? და რა ენა უნდა ყოფილიყო ხალხური იბერიული ენის გვერდით გავრცელებული ამ დიდ კომერციულ ცენტრში, თუ არა დამწერლობისა და ლიტერატურის მქონე საერთაშორისო ენები — ბერძნული, ფალაური, არამეული?**

მაგრამ საკმაო არ არი, რომ ესა თუ ის ქალაქი ერმრავალი და მდიდარი იყოს, რათა მისი ნეკროპოლიც მდიდარი აღმოჩნდეს. საჭიროა, აგრეთვე, ცოცხალ თაობებს სწამდეთ, რომ მიცვალებულნი

ამქვეყნიური ცხოვრების მსგავსს არსებობას განაგრძობენ საიქიოში, რომ მათ ის სამკაული და ჭურჭელ-იარაღი უნდა იქონიონ, რომელიც ამ ქვეყანაში უყვარდათ ან სჭირდებოდათ. ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ მარადისობის ეს შეგრძნება, განსხვავებული როგორც ქრისტიანული სპირიტუალიზმის შეგნებისაგან, რომელიც მიცვალებულის სულისთვის ზედმეტად სთვლის ყოველ უტილიტარულ ნივთსა და სამკაულს, ისე მატერიალური რწმენისაგან, რომელსაც სულის დამოუკიდებელი არსებობა არ სწამს. ბოლოს საჭიროა, რომ ნეკროპოლის გაძარცვა ადვილი არ აღმოჩნდეს, როდესაც ხალხს რელიგიური სკეპტიციზმი და ნიჰილიზმი ეუფლება.


ცნობილია, რომ ძველი ეგვიპტის სატახტო ქალაქ თებეში ეგრეთ ნოდებული მიცვალებულთა ქალაქის დაცვას უფრო მრავალრიცხოვანი და ფხიზელი პოლიცია სჭირდებოდა, ვიდრე ცოცხალთა ქალაქისას. როდესაც რელიგიური და ზნეობრივი ტრადიციები იმდენად შეირყა, რომ სამარხების ძარცვამ მასობრივი ხასიათი მიიღო, ეგვიპტელი მოგვები იძულებულნი გახდნენ, თებეს ნეკროპოლიდან ოცდაათზე მეტი ფარაონის მუშია ამოეღოთ და ფარულად ლიბიის უდაბნოს გამოქვაბულებში დაემარხათ, ხოლო ამ თავისებური დამკრძალავი პროცესის მონაწილე მონები დაეხოცათ. მცხეთელ მოგვებს, რომელნიც, როგორც ეტყობა, მათთვის საგანგებოდ განკუთვნილ უბანში ცხოვრობდნენ, ასეთი არაჩვეულებრივი ღონისძიების მიღება არ დასჭირებიათ. მართალია, როგორც არმაზის, ისე განსაკუთრებ-

ბით სამთავროს სასაფლაოზე მრავალი სარკოფაგი და სამარხი განძარცულია, მაგრამ საერთოდ არმაზისა და კოდმანის კლდეებს ისინი უკეთ დაუცავთ, ვიდრე პოლიციასა და სამღვდელთა შეედლოთ, დაეცვათ.

საქმე ისაა, რომ, რადგან მცხეთის ორივე ნეკროპოლი ქედების ძირშია მოთავსებული, ნიაღვრების მიერ მოზიდულ მინას, ქვიშასა და ღორღს მათი ნიადაგი თანდათან აუშაღლებია, ისე, რომ მრავალი საფლავი, რომელიც თავის დროზე მინის ზედაპირთან ახლო ყოფილა, დღეს საკმაოდ ღრმა ქვედა ფენაში მოქცეულა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს სამთავროს სასაფლაოზე, რომელიც დაახლოებით ორჯერ უფრო ხშიერი უნდა იყოს, ვიდრე არმაზის პიტიახშების სასაფლაო, და უფრო ტიტველი და, მაშასადამე, უფრო ადვილად ჩამოსარეცხი კოდმანის ქედის გასწვრივაა მოთავსებული.

**ამრიგად, სამთავროში შექმნილა მიცვალებულთა ქალაქის რამდენიმე სართული, რომლის გაცნობა ნათელს ჰფენს ჩვენში შორეული წინაპრების მატერიალური კულტურის პროგრესს და რწმენის ევოლუციას დაახლოებით ათას ხუთასი წლის მანძილზე ქრისტიანობის დამყარებამდე საქართველოში.**

ქონებრივად მეტად ღარიბი, ხოლო აზროვნებით მეტად პრიმიტიული უნდა ყოფილიყო ის საზოგადოება, რომელსაც თავისი მიცვალებულები უკუბოოდ პირდაპირ მინაში დაუმარხავს, ხშირად მზისკენ პირმობრუნებული, და მათთვის თავთან უბრალო თიხის ხონჩა დაუდგამს, ხოლო ფეხებთან თიხისავე ღვინის ფიალა. ასეთია სამთავროს უძველესი სამარხები. ნეკროპოლის მეორე სართულში ასასვლელად ჩვენს წინაპრებს რამდენიმე საუკუნის ქონებრივი და ზნეობრივი პროგრესი დასჭირებიათ. მათ თავიანთ მიცვალებულთათვის უფრო მკვიდრი ბინის აგება დაუწყიათ რიყის ქვისა, კრამიტისა ან კიდეე გვერდზე მწოლარე ან მოპირქვავებული თიხის





ქვეყრისაგან. მიცვალებულის მდგომარეობაც სხვადასხვანაირია, ხანდახან ის მოკრუნჩხულია, ხანდახან ერთგვარი დაფიქრების პოზა აქვს.

ძალიან ხშირად ცოლ-ქმარი ერთად მარხია. ერთ ვეებერთელა კამეჩის თეძოიან მამაკაცს, რომელსაც შეიძლება სავაჭროდ დარილის გზით სკვითიაში ან სარმატიაში უხდებოდა მგზავრობა ან იქიდან შემოსული მტრის რაზმებისაგან არაგვის ხეობის დაცვა ევალებოდა, თავის გვერდით უნაზესი ქალი დაუმარხვინებია: უმისოდ მას საიქიო, ალბათ, მეტად მოსაწყენი ერვენებოდა. მეორე საფლავში პატარა მწყემსისთვის თან ძვლის სალამური და საყვარელი ხარის თავი ჩაუტანებიათ; მესამეში კევრის ნაშთი აღმოჩნდა. ყოველივე ეს სამეურნეო ცხოვრების წინსვლას და უფრო ფაქიზი გრძნობების წარმოშობას გულისხმობს. **დასაფლავების სხვადასხვა წესი იმასაც უნდა მონობდეს, რომ მცხეთის მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობა საკმაოდ ჭრელი უნდა ყოფილიყო თვით წინაელისისტურ პერიოდში, როდესაც ჩვენს წინაპრებს კულტურული და კომერციული კავშირი ექნებოდათ ქვით ლარიბ ქალდეასთან, სადაც აგურის, კრამიტისა და თიხის ჭურჭლის მომზადება და გამოყენება განსაკუთრებით გავრცელებული იყო.**

ელინისტურ და რომაულ ეპოქაში იბერიელები, ისევე, როგორც მათი ახლო მონათესავე კოლხები, საბოლოოდ იმდროინდელი მაღალკულტუროსანი ერების წრეში შედიან. ამის დამადასტურებელი ცნობები უხვად მოიპოვება ძველი ბერძენი და რომაელი მწერლების ნაწერებში. ამ ცნობების საუცხოო შემონახვას ქართველი არქეოლოგების მიერ წარმოებული გათხრები და კვლევები ხელი შეუწყო. **საკმაოა, კაცმა უფლისციხის დარბაზები დაათვალიეროს ან არმაზის რომაული აბანო, რათა სრულებით დარწმუნდეს სტრაბონის ცნობის სისწორეში, რომ იბერია ძლიერ**

**მდიდარი და დასახლებული ქვეყანაა, რასაც ზღუდეშემოვლებული ქალაქებისა და სოფლების სიმრავლე, კრამიტით დახურული და არქიტექტურული წესით აგებული შენობები და კარგად მოწყობილი ბაზრები და ქარვასლები გვიმტკიცებენო.**

პომპეუსის ცხოვრების აღწერაში პლუტარქი ამბობს, იბერთა მეფემ პომპეუსს სანოლი, მაგიდა და ტახტი მიართვა. ყოველივე ბაჯალლო ოქროსაგან გაკეთებული, და სთხოვა: მიიღე, როგორც ჩემი მეგობრობის საწინდარიო; პომპეუსმა ყოველივე ეს ქვესტორებს გადასცა სახელმწიფო სალაროში შესანახადო. ეს ცნობა დამახასიათებელია არა მარტო იბერიის მეფის სიმდიდრისა, არამედ მისი ფსიქოლოგიისთვისაც. არტაგ მეფე ანტირომაული კოალიციის წევრი იყო, ამ კოალიციას პონტოს მეფე მიტრიდატე ევპატორი და სომხეთის მეფე ტიგრან დიდი მეთაურობდნენ. პომპეუსმა სამიოდე წლის განმავლობაში სასტიკად დაამარცხა ორივე მონინაალმდევე; სომხეთის მეფეს მან კაპადოკია, კილიკია, სირია, ფინიკია და ქურთისტანი ჩამოართვა, ხოლო თვით ტიგრანი იძულებული გახდა, მის წინაშე გამოცხადებულიყო, მუხლებზე დაცემულიყო და მისთვის მორჩილების ნიშნად თავისი ცხენი, მახვილი და გვირგვინი გადაეცა. მხოლოდ ამის შემდეგ შეირიგა იგი რომის პროკონსულმა. რაც შეეხება მითრიდატეს, პომპეუსმა საერთოდ უარი თქვა მასთან რაიმე შეთანხმებაზე და რომის რესპუბლიკის ეს შეურიგებელი მტერი ბოლოს იძულებული გახდა, თავი მოენამლა პანტიკაპეაში (ახლანდელ ქერჩში).

იბერიის სატახტო ქალაქს პომპეუსის ჯარი სომხეთისა და ალბანიის დამორჩილების შემდეგ მიადგა აღმოსავლეთის მხრიდან. როგორც ამჟამად წარმოებული არქეოლოგიური გათხრები ამტკიცებს, ამ მხრიდან მცხეთას დიდი ციხე იცავდა, თლილი ქვისაგან ნაგები გალავნითა, კოშკებითა და პალატებით. ეს, როგორც

ეცობა, მთავარი ნაწილი უნდა იყოს იმ უზარმაზარი ციხესიმაგრის სისტემისა, რომელიც, ალბათ, მცხეთას სხვადასხვა მხრიდან ჰკეტავდა; ის ერთ ძველ ქართულ მატეანეში მრავლობით რიცხვში იხსენიება — „არმაზნი“. ეს მთავარი ციხე იბერიის დედაქალაქს აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან იცავდა და პირდაპირ გაჰყურებდა სევსამორის, ე.ი. წინამურის სიმაგრეს, რომელიც ჩრდილოეთიდან მომავალ გზას ჰკეტავდა.

რომაელმა მხედართმთავარმა ადვილად აიღო არმაზის ციხე, არტაგ მეფემ ის უბრძოლველად დასცალა, მტკვარზე გადავიდა, ხიდი დასწვა და თავისი ჯართურთ ტყიან მთებს შეაფარა თავი. აქედან მან ბრძოლა განაგრძო რომაელების ჯარის წინააღმდეგ. იბერიელების მედგარმა წინააღმდეგობამ, მათი მთიანი ტერიტორიის შეუვალობამ პომპეუსი იძულებული გახდა, მეტი ზომიერება გამოეჩინა არტაგ მეფის მიმართ, ვიდრე მასზე უფრო ძლიერი მფლობელების — ტიგრან დიდისა და მიტრიდატე ევპატორის მიმართ გამოიჩინა. დიდად დამახასიათებელია ისიც, რომ არც შემდეგდროინდელი რომაელი მბრძანებლები — ვესპასიანე და ადრიანე იმპერატორები თავილობდნენ, იბერიელი ერისა და მეფეებისათვის თავიანთი მეგობრები ეწოდებინათ.

\*\*\*

ჩვენ გვგონია, რომ **არსად არ შეიძლება კველი იბერიელების ფსიქოლოგიის გაცნობა ისე კარგად, როგორც მცხეთაში, სადაც ის პირველად ჩამოყალიბდა ბრძოლისა და შემოქმედების პროცესში.**

დახედეთ იბერიელი პიტიახშების პორტრეტებს, რომელნიც საუცხოო გემებზე არიან გამოჭრილნი, ყველა ამ ასპარუგ, ძევახ და არშუშა პიტიახშების სახეებს და დამეთანხმებით, რომ მათში არი რალაც უაღრესად კეთილშობილი და ონავრული ერთსა და იმავე დროს. და ეს ადვილი გასაგებია: **ამ ეპოქის იბერიელები ახ-**



ლახან იყენენ გამოსული გვაროვნული წესწყობილებიდან; ხანგრძლივ სამოქალაქო კულტურას ისინი ჯერ კიდევ არ მოეთვინიერებია. ისინი ჯერ კიდევ თავიანთ თავს უფრო ლალად სასპარეზო მოედნებზე ან მთის მდინარეში გრძნობდნენ, ვიდრე თლილი ქვის პალატებში ან რომაულ ტერმებში. იბერიელი მეფეები და ერისთავები თავიანთ ციხე-კოშკებში, ალბათ, ისე იხდნენ, როგორც არწივები კლდის ბუდეებში და იქიდან ყოველ მხრივ ათვალთვნიებდნენ თავიანთ სამყოფელოს, რათა მტრის მოძრაობა არ გამოჰპარვოდათ.

ტაციტის ცნობილი მოთხრობიდან, სადაც იბერიის უფლისწულის — რადამისტისა და მისი ცოლის — ზენობიას თავგადასავალია აწერილი, კარგად ჩანს, რა ძლიერად იცოდნენ ძველმა იბერიელებმა სიყვარული და სიძულვილი, რა დაუნდობელი იყვნენ ისინი, როდესაც საკითხი მათ პირად ბედნიერებას შეეხებოდა.

პატივმოყვარე რადამისტმა იბერიელთა ჯარით აიღო სომხეთის მთავარი ციხე, რომელსაც რომაელების გარნიზონი იცავდა, და ვერაგულად მოჰკლა სომხეთის მეფე მიტრიდატი, რომელიც მისი ბიძა, დის ქმარი და სიმამრი იყო ერთსა და იმავე დროს. მაგრამ რადამისტმა დიდხანს ვერ გაძლო სომხეთის ტახტზე. მისი სიმკაცრით აღშფოთებულმა სომხებმა აჯანყება მოაწყვეს მის წინააღმდეგ და რადამისტი იძულებული გახდა იბერიისაკენ გამოქცეულიყო. რომაელი ისტორიკოსის


თქმით, რადამისტი გადაარჩინეს ფეხმარდმა ცხენებმა, რომლებზედაც ისა და მისი ცოლი იხდნენ. ზენობია ორსულად იყო. უკან დადევნებული მტრის შიშმა და ქმრის სიყვარულმა ქალს ერთხანს ადვილად გადაატანინა ფიცხელი მგზავრობის სიძნელები, მაგრამ როდესაც შეუნყვებელი ჭინების გამო მას ფერდები და მუცელი საშინლად ასტიკვდა, ქმარს შეევედრა, პატივსადები სიკვდილით გადამარჩინე საძრახის ტყვეობასო. რადამისტი თავდაპირველად გულზე იკრავს თავის ცოლს, შემდეგ ამხნევეს. ის ერთი მხრით გაოცებულია მისი სულის სიძლიერით, ხოლო მეორე მხრით შეძრწუნებულია იმ აზრით, რომ მას სხვა ვინმე დაეპატრონება, თუ აქ მიატოვა. ბოლოს მის გულში მემურნეობა სძლევეს, ის მახვილს იშიშვლებს და ქალს ჩასცემს. შემდეგ არაქსისკენ წაათრევს და მდინარის ტალღებს მისცემს, რადგან ეშინია, რომ მისი გვამი ვინმემ ხელში ჩაიგდოს. სამშობლოში დაბრუნებული რადამისტი განიზრახავს ისეთივე ბედი განუმზადოს თავის მამას — ფარსმან მეფეს, როგორც თავის ბიძას განუმზადა, და მცხეთის ტახტის დაპყრობით არტაქსატის ტახტის დაკარგვა აინაზღაუროს, მაგრამ ფარსმან მეფე მას მოაკვლევინებს.

ეს პირქუში სული, ეს სტიქიონური ვნებათა დღეღვა ძლიერ დამახასიათებელია ძველი იბერიელებისათვის. როდესაც ჩვენ არმაზის ნეკროპოლიდან ამოღებულ პორტრეტულ გემმაზე ბერ-

ძნულ წარწერას ვკითხულობთ, ქალის მიერ ქმრისადმი მიძღვნილს — „ძევახოს, ჩემო სიცოცხლევ“, ეს უზრალო სანტიმენტალურ ფორმულად კი არ უნდა მივილოთ, არამედ გულის სიღრმიდან ამოხეთქილ ძახილად, რომელიც შეიძლება ქმრის ნაადრევი სიკვდილით იყო გამოწვეული.

არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეს ადამიანები მოკლებულნი ყოფილიყვნენ მალალ მხატვრულ და გონებრივ ინტერესებს. პირიქით, ვერცხლის ფეხებიანი სარეცლეები, რომელზედაც იბერიელი წარჩინებულნი ნოლილან, ბარელიეფიანი ლანგრები და სურები, რომლებიც მათ სუფრაზე წყობილა, მოწმობენ, რომ ისინი ცდილან, სილამაზე შეეტანათ თვით ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში; მით უმეტეს განვითარებულ გემოვნებას მოწმობენ მათი სამკაულები, რომლებითაც ისინი ცდილან, მხატვრული ნაწარმოების შთაბეჭდილება მოეხდინათ თავიანთი გარეგნობით; საუცხოოა მათი სარტყელის ბალთები, ნამოსასხამის დუგმები, ოქროს სამკლავები და საკოჭეები, ხოლო განსაკუთრებით ძვირფასი ქვებით მოლივლივე ბეჭდები, სამაჯურები და ყელსაბამები. ბოლოს, ტექნიკის დანინავრებას მოწმობს ზოგიერთი სარკოფაგი თავისი ბანისებური ან ორფერდიანი სახურავით.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ყველა ეს მხატვრული ნაწარმოები იბერიაში უცხოეთიდან ყოფილიყოს შემოტანილი ალებმიცე-





**უფრო ნაკლებსაფიქრებელია, რომ ქველ იბერიელს  
თავიანთი ეროვნული დაინერგობა და ლიტერატურა ჰქონდეთ.  
თუ მღვდელთმსახურება და მსხვერპლთ შეწირვა იბერიელი  
მოგვაბისაგან რელიგიური ჰიპოთეზის და ფორმულების ნარმოთქმას  
მოითხოვდა და და ენაზე, ისინი ამას, ალბათ, ზეპირად  
ასრულებდნენ ბოლოდროინდელი ხევისური ხევისებრიებისა და  
დეკანოზების მსგავსად, ხოლო თუ მათ დაინერგობა სჭირდებოდათ,  
ალბათ, ბერძენულს, ფალაუსს და არამეულს იყენებდნენ.**

მოხის ან საჩუქრად მიძღვნის გზით, უფრო დასაჯერებელია, რომ კავკასიის ტერიტორიის ფარგლებში, სადაც ბრინჯაოს ეპოქიდან ამდენი მნიშვნელოვანი საგანძური დარჩა, მხატვრული ხელოვნობის ტრადიცია არ შეწყვეტილა მომდევნო ეპოქებშიც, და რომის ეპოქის იბერიელი ოსტატები ისევე მარჯვედ მუშაობდნენ ძვირფასი ლითონის და თვალმარგალიტის მასალაზე, როგორც მათი წინამორბედები ბრინჯაოზე ან თიხაზე მუშაობდნენ. რასაკვირველია, ეს არ უარყოფს, რომ ზოგიერთ იბერიელ ოსტატს, ხუროთმოძღვარი იქნებოდა ის, მხატვარი თუ ოქრომჭედელი, უცხოელი მასწავლებლის სკოლა გაეცლოს საზღვარგარეთ ან თვით იბერიაში. ერთი საფლავის ლოდის წარწერიდან, რომელიც სიმონ ყაუხჩიშვილმა წაიკითხა, ჩანს, რომ მცხეთაში ბერძენ მხატვართუხუცესს და ხუროთმოძღვარს, ვინმე აქოლისს უმუშავნია: ის, ალბათ, სამეფო კარის და სახელმწიფო დავალებას ასრულებდა.

უფრო ნაკლებსაფიქრებელია, რომ ძველ იბერიელებს თავიანთი ეროვნული დამწერლობა და ლიტერატურა ჰქონდეთ. თუ მღვდელთმსახურება და მსხვერპლთ შეწირვა იბერიელი მოგვებისაგან რელიგიური ჰიპოთეზის და ფორმულების წარმოთქმას მოითხოვდა დედა ენაზე, ისინი ამას, ალბათ, ზეპირად ასრულებდნენ ბოლოდროინდელი ხევისური ხევისებრიებისა და დეკანოზების მსგავსად, ხოლო თუ მათ დამწერლობა სჭირდებოდათ, ალბათ, ბერძენულს, ფალაუსს და არამეულს იყენებდნენ.

რდებოდათ, ალბათ, ბერძენულს, ფალაუსს და არამეულს იყენებდნენ.

ძნელი დასაჯერებელია ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში რამდენიმეჯერ გამოთქმული აზრი, თითქოს იბერიელებს განვითარებული წარმართული მწერლობა ჰქონდეთ და ქრისტიანობას სრულიად გაენადგურებოს იგი. არსად დედამიწის ზურგზე ეს ქრისტიანობას არ ჩაუდენია, ძნელი დასაჯერებელია, რომ მარტო იბერიაში ჩაიდენდა. **ქრისტიანობას რომ თავისი ისტორიული მისია წარმართული ხელოვნების და მწერლობის ძეგლების სრული განადგურებით დაეწყო, იგი ვინრო ებრაულ სექტად დარჩებოდა მრავალი იმდროინდელი სექტის მსგავსად და ვერასოდეს მსოფლიო რელიგიად ვერ გადაიქცეოდა.** ქრისტიანობამ ძველი წარმართული კულტურა კი არ მოსპო, არამედ გადალახა, ე.ი. ამ კულტურიდან უკუაგდო, რაც თავისთავის მიუღებლად მიაჩნდა, და აითვისა, რაც მისთვის აუცილებლად საჭირო იყო. მან თავისი საკულტო მიზნებისათვის გამოიყენა რომაული ბაზილიკა, მოზაიკა და ფერწერა, ნაწილობრივ თვით წარმართული ჰიმნოგრაფია, ქრისტიანულმა აზროვნებამ ბევრი რამ აითვისა პლატონის, არისტოტელეს, ნეპოპლატონიკოსების, სტოიკოსების ფილოსოფიიდან; მას არ გაუნადგურებია თვით წარმართული ბერძენული და რომაული მხატვრული ლიტერატურის ძეგლები. პირიქით, ამ ძეგლების დიდი ნაწილი თანამედ-

როვე კაცობრიობას ქრისტიანულმა მონასტრებმა შეუნარჩუნეს.

ბოლოს, **ქრისტიანულმა საზოგადოებამ შეინარჩუნა ანტიკური სასწავლებელი**, რომელიც მხოლოდ შემდეგ დაემხო, როდესაც დასავლეთ რომის იმპერიის ნანგრევებზე ბარბაროსები დასახლდნენ. რაც შეეხება ქრისტიანულ აღმოსავლეთს, აქ ანტიკური სკოლის ტრადიციებმა ბევრად უფრო დიდხანს გაძლო.

არავითარი საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ ახლად მოქცეული ქართველი ქრისტიანები უფრო შეურიგებლად ყოფილიყვნენ განწყობილი წარმართული კულტურის ძეგლებისა და მწერლობისადმი, ვიდრე ევროპული და წინააზიელი ქრისტიანი ერები იყვნენ. პირიქით, **ცნობილია, რომ არც წინაფეოდალური ეპოქის და არც შუა საუკუნეების ქართველ ქრისტიანებს სექტანტებისა თუ სხვა სჯულის მიმდევრებისათვის არასოდეს ისეთი კოცონები არ დაუნთიათ, როგორსაც მათთვის დროგამოშვებით ბიზანტიელები და ევროპელი კათოლიკები ანთებდნენ.** ეს გარემოება უმთავრესად ძველი ქართველების აზროვნების თავისებურებით უნდა აიხსნებოდეს, მათი რელიგიური შემწყნარებლობით, ისევე დამახასიათებელით, როგორიც მათი პოლიტიკური ვნებანობა იყო.

როდესაც ძველი ქართველი მეთიანე არჩილ მეფის დროის შესახებ ამბობს, „აზნაურთა სტეფანე წმინდაი აღაშენეს არაგუსა ზედა, და მოგუნი მოგუთას მოგობ-



დეს ცეცხლისა მსახურებასა ზედაო“, ამით ის ერთ უმთავრეს მოვლენას აღნიშნავს ჩვენი რელიგიის ისტორიიდან. მართალია, მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში ცეცხლის თაყვანისცემის დროებითი აღორძინება აღმოსავლეთ საქართველოში მახდებიანური სპარსეთის პოლიტიკური ზეგავლენით მოხდა, მაგრამ ძლიერი წარმართული ქვენაკადი ქართველი ერის აზროვნებაში არასოდეს არ დაშრეტილა და ეს მის ზნე-ჩვეულებასაც ეტყობა და მის რწმენასაც. სულ ბოლო დრომდე ქართულ საეკლესიო დღესასწაულებზე საკურთხის მიტანა ხდებოდა მიცვალებულთათვის და მსხვერპლთა შეწირვა ცოცხალთა სადღეგრძელოდ; ზოგიერთი ეკლესია (მაგალითად, სვეტიცხოველი, ზედაზენი, არმაზი, მცხეთის ჯვარი), როგორც ჩანს, წარმართული ტაძრებისა, სამსხვერპლოებისა და ბომონების ადგილას შენდებოდა, რათა ხალხს მეტისმეტად მტკივნეულად არ ეგრძნო ძველი სარწმუნოებიდან ახალზე გადასვლა.

დიდად საგულისხმოა, რომ ქართულმა მხატვრულმა აზროვნებამ აითვისა წარმართული ფალაური ლიტერატურის უდიდესი ძეგლი „ვისრამიანი“ და ბერძნული წარმართული მითოლოგია. დიდად საგულისხმოა, აგრეთვე, რომ სპარსულ მაჰმადიანურ ლიტერატურასთან არც ერთი წინააზიელი ქრისტიანი ერის ლიტერატურას არ ჰქონია ისეთი ვიწრო ურთიერთობა, როგორც ქართულს ჰქონდა.

თუ ქართული წარმართული ლიტერატურის ძეგლები არ დაგვრჩა, საფიქრებელია, ეს იმით კი არ აიხსნება, რომ ისინი ქრისტი-


**ანობამ მოსპო, არამედ იმით, რომ ისინი ზოგადად არ არსებულან.** ძნელი წარმოსადგენია, რომ მეზობელ ქრისტიანულ ეკლესიას ყველა წარმართული შინაარსის პაპირუსი და პერგამენტი გაენადგურებინოს; მით უმეტეს წარმოდგენელია, რომ ქრისტიანები აკლდამებში შეჭრილიყვნენ და იქ ყველა წარმართული დროის ქართული წარწერა მოესპოთ, ხოლო ბერძნული, არამეული, ებრაული წარწერები ხელუხლებლად დაეტოვებინათ.

**ქრისტიანობის შემწეობით მოხდა ქართული ენის თვითგამორკვევა.** ქრისტიანობამ, როგორც უფრო დემოკრატიულმა რელიგიამ, წარმოშვა მოთხოვნები ხალხური ენის გამოყენების მღვდელთმსახურებისა და ქადაგებისათვის, და გვგონია, რომ **ქართული მწერლობის წარმოშობის თარიღი ქართლის მოქცევის დღიდან უნდა ვეძებოთ.** ჩვენ არ უნდა გავგვაკვირვოს იმ გარემოებამ, რომ უკვე ერთი საუკუნის შემდეგ ეროვნული დამწერლობის შემოღებიდან ქართულ ენაზე ისეთი მაღალხარისხოვანი ლიტერატურული ნაწარმოები შეიქმნა, როგორცაა „შუშანიკის წამება“: იაკობ ხუცესის წინამორბედნი „ზენდავესტის“ ტექსტებსა და პლატონის დიალოგებს, ალბათ, დედანში კითხულობდნენ.

**რატომ მოხდა, რომ იბერიელთა უახლესმა ნათესავებმა, დაახლოებით მათი კულტურული დონის სიმაღლეზე მდგომარე კოლხებმა ვერაპითარი დამწერლობა და ლიტერატურა ვერ შექმნეს ვერც წარმართობისა და ვერც ქრისტიანობის ეპოქაში?** ეს იმით უნდა აიხსნებოდეს,

რომ მათი ეროვნული, თვითგამორკვევა დაგვიანდა, რომ მათ ქრისტიანობა იბერიელებზე უფრო გვიან მიიღეს და ისიც არა ირანულ მახდენობასთან ბრძოლაში, არამედ მაღალკულტუროსანი ბიზანტიელების ზეგავლენით, ხოლო როდესაც ისინი ამ ზეგავლენისაგან ნელ-ნელა განთავისუფლდნენ, აღმოსავლეთ საქართველოს უკვე განვითარებული ქრისტიანული მწერლობა ჰქონდა, და ბაგრატიონების დინასტიამ და მცხეთის კათოლიკოსატმა ის კოლხეთის ჩამომავალ ლაზ-მეგრელებსაც მიაღებინა. ამრიგად, **ქრისტიანობამ ხელი შეუწყო ქართველი ერის თვითგამორკვევის და გაერთიანების პროცესის დასრულებას.**

მცხეთისა და არმაზის სასაფლაოთა საუკეთესო ეპიტაფიას შეიძლება ავრელიუსის სიტყვები წარმოადგენდეს: **„მომა დრო, როდესაც შენ ყველას დაივინყავ და ყველანი, თავიანთი მხრივ, შენ დაივინყავნი“.** შუა საუკუნეებში სამთავროში მონასტერი იყო, იქ, სადაც, გადმოცემის თანახმად, პირველად წმინდა ნინო დასახლდა მაყვლის ბუჩქებით დაბურულ ადგილას. აქ ბერ-მონაზვნებს მინაში ქვევრები ჩაუდგამთ საზედაშე თუ ძმათა სატრაპეზო ღვინის შესანახად. მაშინ, ალბათ, ფიქრადაც არავის მოსვლია, რომ ამ ღვინის ქვევრების ქვეშ სხვა ქვევრები იწვა, მიცვალებულთათვის განკუთვნილნი, რომელთა მდუმარე ბინადართ შეიძლება ერთ დროს ხელში ღვინით სავსე ფიალა ეჭირათ მზის, მთვარისა და ცთომილი ვარსკვლავების შესაქებად ან სამსხვერპლოს ადგზნებულ ცეცხლზე დასასხმელად. ხოლო უკვე ჩვენს დროში ამავე მონასტრის მახლობლად ბრონეულის ხე აღორძინებულა, თავისი ფესვებით სასაფლაოში ღრმად შეჭრილა და ისინი ძვირფასი სერდოლიკის ყელსაბამის თვლებში გაუყრია, რომელიც შეიძლება ერთ დროს უმშვენიერესი ქალის გულ-მკერდს ამკობდა.





# თამარ მეფის პორტრეტის შექმნის ისტორია

კობა ჭუმბურიძემ შექმნა თამარ მეფის პორტრეტი. მკითხველს წარმოვუდგინთ ამ პორტრეტს და მისი შექმნის ისტორიას, რომელსაც თავად ავტორი გვიამბობს. „ძმანო, ჩემნო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლისა მათისათვის და სიმცირითა თქვენისა, რამეთუ ღმერთი ჩვენს თანა არს“.

ერთ მშვენიერ დღეს გამიჩნდა კითხვა, თუ რამდენად შესაძლებელი იყო ფრესკებზე შემონახულ თამარის გამოსახულებათა მიხედვით მისი სინამდვილესთან მიახლოებული ხატის აღდგენა.

ჩემში ყველაზე დიდ ეჭვს ბადებდა მისი გადაბმული წარბები, რაც შემდგომი თაობის მხატვართა შემოქმედებაში ლამის კანონიურ ელემენტად იქცა.

ამიტომ ჩემს ამოცანას დავარქვი „თამარის გათავისუფლება სპარსული წარბების უღლისგან!“

ამის შემდეგ ბიზანტიური სტილის გამორიცხვა იყო საჭირო.

ასევე გავითვალისწინე მისი დედის (ეროვნებით ოსის) ერის ქალთა დამახასიათებელი იერიც.

ძიების პროცესში ვიპოვე ბეთანიის ფრესკის ქვედა ფენის რენტგენული გამოსახულება, რომელმაც მთავარ კითხვას მოჰფინა ნათელი – ნახატს აქვს სწორი წარბები, ბევრად დიდი თვალები და ბაგე. გამომეტყველებაც უფრო ცოცხალია და პორტრეტულად სანდო.

რაც მთავარია, მივხვდი, რომ სწორ გზას ვადექი.

ასეთივე გზით შევეცადე მისი სამოსის აღდგენას — ვიპოვე საღებავთა სხვადასხვაგვარი გამოცხუნების ნიშნები, აგრეთვე, სიმეტრიისა და ფერთა შეთამაშების ლოგიკა.

ამის მერე, სრულიად შემთხვე-



ვით გადავანყდი ქალბატონ ქეთი გოგნაძეს, რომელსაც მრავალი საერთო აღმოაჩნდა ჩემს წარმოსახვაში არსებულ თამარის ხატთან.

ჩავთვალე, რომ ეს იყო ნიშანი და დავინყე ხატვა.

კომპიუტერის დახმარებით შეიქმნა დაახლოებით ორი ათეული ესკიზი. პორტრეტი ძირითადად


ბეთანიის ფრესკას ეყრდნობა. ფონი სრულად გადმოვიტანე, ხოლო გამოსახულება სანახევროდ ფრესკული დავტოვე.

ჩანაფიქრიდან დასრულებამდე თითქმის ხუთი წელი გავიდა (2000-2005 წ.წ.), მაგრამ ეს წვალე-ბა უცხად აანაზღაურა პორტრეტიდან თამარის შემოხედვამ.

**კობა ჭუმბურიძე**

# ქართული ჩეალისტური ქანდაკების ფუძემდებელი

თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი პროფესორი (1922), საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი (1946), ყოფილი სსრკ-ის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი (1947), ქართველი მოქანდაკე, ქართული რეალისტური ქანდაკების ფუძემდებელი — იაკობ ივანეს ძე ნიკოლაძე დაიბადა 1876 წლის 28 მაისს ქუთაისში, სწავლობდა მოსკოვში, სტროგანოვის ცენტრალურ სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებელში (1892-1894), ოდესის სამხატვრო სკოლაში (1894-1895 და 1897-1898), 1897 წელს იაკობ ნიკოლაძემ შექმნა ალექსი-მესხიშვილისა და შოთა რუსთაველის პორტრეტები.



პარიზის ხელოვნების უმაღლეს სკოლაში იგი 1899-1901 წლებში სწავლობდა. რამდენიმე ხელნაწერს შორის დედისადმი მიწერილი ბარათიცაა, რომელიც იაკობ ნიკოლაძემ პარიზში ახლადჩასულმა დაწერა. მიმართვის ფორმა „საყვარელო დედა ბატონო“... აკაკი წერეთლის დედისადმი გაგზავნილ წერილს გვაგონებს (ასე იწყებს აკაკიც: „დედა ბატონო!“)....

ახალგაზრდა იაკობი ევროპაში პირველ ნაბიჯებს დგამს. პარიზი ორი საუკუნის მიჯნაზეა და ცნობილი თუ უცნობი მხატვრების ციტადელადაა ქცეული, აქ ხელოვნების ისტორიის ახალი ფურცლები იწერება. პარიზში ხომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ათასობით ბედის მაძიებელი მხატვარია ჩასული.

იაკობი ბათუმიდან სტამბოლში,

მერე სტამბოლიდან მარსელში მიმავალი გემების ყველაზე იაფიან ბილეთს იღებს, დედას აცნობებს: „მეოთხე კლასით წამოვედი პარაზოდით“. ფრანგული ჯერ არ იცის,... არც ის იცის, რა შეიძლება მერე მოხდეს, პირველ შთაბეჭდილებებს დედას დეტალურად, დაწვრილებით უზიარებს:

**„საყვარელო დედა ბატონო! პირველად თქვენს სიცოცხლეს ღმერთსა ვთხოვ.**

თუ ჩემს ამბავს იკითხავთ, კარგად ვარ. დღეს ჩამოვედი პარიზში — მარსელიდან. სტამბოლიდან გამოვედი ოთხშაბათს და სამშაბათს მარსელში ჩამოვედი და მეორე დღეს აქა... ოთახი ვიქირავე მეოთხე სართულზე, 15 ფრანკად. ე. ი. ექვს მანეთად თვეში.

სადილი, ვახშამი, ყავა (აქ რაი არ არის, როგორც სტამბოლში) სულ 70 ფრანკად, ე.ი. ოცდარვა მანა-

თად თვეში. შეიძლება ეს ძვირი იყოს, მაგრამ ვეცდები, იაფიანი ვიშოვო. სახლის ქირა წინდანი გამომართვეს. სადილის კი თვის დამლევეში უნდა მივცე.

სტამბოლიდან მარსელში მეოთხე კლასით წამოვედი. პარაზოდში მივეცი 60 ფრანკი, ე.ი. 24 მანათი. მარსელიდან ორმოცდათვრამეტნახევარი ფრანკი, ე.ი. 23 მანათი და 30 კაპიკი...

აქ სულ სამი წელიწადი დავრჩები. თქვენ იცით, როგორ არ დამივიწყებთ, ...რა არის, რომ ერთი წერილი ვერ მომწერეთ...

სხვა რა მოგწეროთ, დედა, ...მალევე მოგწერთ პარიზის ვითარებას... მხოლოდ ვიტყვი, რომ აქ სამოთხე ყოფილა...

შენი მორჩილი შვილი იაკობი

ჩემი ჯავრი ნუ გექნება. გზაში ისე შევისწავლე ენა, რომ კაცს თავისუფლად გაგაგონებ“.

1901 წელს ნიკოლაძე მცირე ხნით პარიზიდან საქართველოში ჩამოვიდა; 1902 წელს ამიერკავკასიის ხელოვნების ნამახალისებელი საზოგადოების სამხატვრო სკოლაში მიიწვიეს მასწავლებ-





ლად. 1902-1903 წლებში ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ცენტრალური პავილიონისათვის შექმნა დეკორატიული რელიეფი და ქართული კულტურის მოღვაწეთა პორტრეტების სერია (შოთ არაგვისპირელი, ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, ტასო აბაშიძე და სხვები). ამ ნამუშევრებში ნიკოლაძე უკვე გამოჩნდა, როგორც დასრულებული, პროფესიულად საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარი მოქანდაკე.

ნიკოლაძე 1904-1910 წლებში ისევ პარიზში ცხოვრობდა, 1906-1907 წლებში მუშაობდა როდენის სახელოსნოში (ამ პერიოდს ასახავს ნიკოლაძის მოგონებათა წიგნი „ერთი წელი როდენტან“).

აღნიშნული პერიოდის ნამუშევრებიდან აღსანიშნავია: „ქარი“ (ქვა, 1905), „ჩრდილოეთის ასული“ (მარმარილო, 1906); „მოცეკვავე“ (ბრინჯაო, 1906), „სალომე“ (მარმარილო, 1906 — ყველა საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, თბილისი). როდენტან მუშაობამ

გარკვეული კვალი დაამჩნია ამ ნამუშევრებს (მასალის ზედაპირის ზედმიწევნით დამუშავება, კრიალა და მქრქალი ზედაპირის ერთმანეთთან დაპირისპირება, ფორმების დანანევრება).


ნიკოლაძის პლასტიკა მატერი-ალურია, კომპოზიცია — ლაკონიური. ნიკოლაძის შემოქმედებას ახასიათებს სტატიკურობა, კამერულობა, ცხოველხატულობა, პოეტურობა; მოგვიანებით — შეკრული ფორმა, ჩაკეტილი კომპოზიცია. მოქანდაკე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა განათებას. მისთვის შუქი მოდელირების არსებითი საშუალება იყო. მისი ნამუშევრები სავსეა შინაგანი დინამიკით; პორტრეტები გამოირჩევა ღრმა ფსიქოლოგიზმით.

**ნიკოლაძის დიდი მოწოდებული ნამუშევარი იყო ი. ჭავჭავაძის საფლავის ქვლი „მწუსარი საქართველო“, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ პარიზში მყოფ ახალგაზრდა**

**მოქანდაკეს შეუკვეთა 1908 წელს, იაკოვ ნიკოლაძემ იქვე შექმნა და ჩამოსახა ქალის მთლიანი ფიგურა, მან „მწუსარი საქართველო“ სიმბოლურ პორტრეტზე საკუთარი დედის სახე ალგაჟდა. ქვლი დაიდგა 1913 წელს მთაწმინდის პანთეონში.**

ამის შემდეგ ნიკოლაძემ თუმცა რამდენიმე საფლავის ძეგლი და მთლიანი ფიგურა შექმნა, მაგრამ იგი მაინც ძირითადად პორტრეტისტი იყო. **1918 წელს შექმნა ნოე ჟორდანიას ქანდაკება.**

საბჭოთა პერიოდში ნიკოლაძის შემოქმედება მრავალფეროვანი გახდა. 1925 შექმნა ლენინის პორტრეტი, რომელიც 1926 წელს მარმარილოში გამოკვეთა (საქართველოს ხელოვნების მუზეუმში); 1927 წელს — ლენინის მეორე პორტრეტი (თაბაშირი), 20-იან წლებში — რევოლუციონერთა პორტრეტები („ა. წულუკუძე“, ქვა, 1921; „როზა ლუქსემბურგი“, ქვა 1922, დაკარგულია; მარქსის



ბიუსტი, ქვა, 1924, და სხვ.). მუშაობდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობის ფასადისათვის სკულპტურულ ჯგუფზე „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბების ისტორიიდან“ და „საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი მშენებლობა“ (პორელიეფი, 1934-1936, ქვა, გაიხსნა 1938), 1937-1938 შექმნა შოთა რუსთაველის 3 პორტრეტი (მრგვალი ბარელიეფი, ქვა; ოვალური, ტერაკოტა, რომელიც განსაკუთრებით პოპულარული გახდა, და ბიუსტი). 1922 წელს გაიხსნა ეგნატე ნინოშვილის (1908-1910, ბრინჯაო, თბილისი), ხოლო 1923 წელს აკაკი წერეთლის (1915, ქვა, ამჟამად ხელოვნების მუზეუმში, მათ ადგილზეა ბრინჯაოს ახალი ძეგლები თბილისში). ნიკოლაძეს ეკუთვნის ახალგაზრდა სტალინის პორტრეტი „დიადი ჭაბუკი“ (1940), რომლისთვისაც დამახასიათებელია ფორმის მთლიანობა, სიმკვრივე, მარმარილოს ზედაპირის ოსტატურად დამუშავება, ფსიქოლოგიური სიღრმე.

1944 წელს შექმნა XII საუკუნის ქართველი პოეტისა და მოაზროვნის — გრიგოლ ჩახრუხაძის პორტრეტი (თაბაშირი; სსრკ სახელმწიფო პრემია, 1946, ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი), მოგვიანებით მან იგი მარმარილოში გადაიტანა და რამდენადმე შეცვალა

პირველი ვარიანტი (1948, მარმარილო, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, თბილისი). რბილი, ფერწერული შუქ-ჩრდილი, ძირს დახრილი თვალები, პორტრეტს განსაკუთრებულ და თავისებურ პოეტურობას ანიჭებს. ჩახრუხაძის პორტრეტი მოქანდაკის ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია. 1947 წელს პორტრეტით „ვ. ი. ლენინი „ისკრის“ პერიოდში“ (ბრინჯაო, ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი; სსრკ სახელმწიფო პრემია, 1947) ნიკოლაძემ დაამთავრა ვ. ი. ლენინის სახეზე 1926 დაწყებული მუშაობა. პორტრეტის პლასტიკა უბრალოა, ლენინის გარეგნულად მშვიდ სახეზე იგრძნობა

დიდი ნებისყოფა, აზრის შინაგანი სიღრმე და ძალა. სხვა ნამუშევრებიდან აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის (ქვა, 1938, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, თბილისი), აკადემიკოს შ. ამირანაშვილის (თაბაშირი, 1940, ი. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი), ივანე ბერიტაშვილის (ბრინჯაო, 1943, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი), ივანე ჯავახიშვილის (ბრინჯაო, 1946, თსუ) პორტრეტები, გენერალ კონსტანტინე ლესელიძის ძეგლი (მარმარილო, 1947, თბილისი) და სხვ. დაჯილდოებულია 2 ორდენითა და მედლებით. გარდაიცვალა 1951 წლის 10 მარტს თბილისში.







# თეიმურაზ ჭყონიას მოზონება

**„ჩვენ იმდენი ისტორიული გმირი, მწერალი და ცნობილი პიროვნება გვყავს, შეისწავლეთ მათი ცხოვრება და ჯერჯერობით ქანდაკებით ღარიბ ქვეყანაში დადგათ მათი ძეგლები“, — იაკობ ნიკოლაძე.**

„1944 წელს ჩავირიცხე თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც მოვეუსწარი დღევანდელ ლეგენდად ქცეულ აკადემიის დამაარსებლებს: იაკობ ნიკოლაძეს, მოსე თოიძეს, იოსებ შარლემანს, ალექსანდრე ციმაკურიძეს, ნიკოლოზ კანდელაკსა და სხვებს, — იგონებს მოქანდაკე თეიმურაზ ჭყონია, — ერთხელ, ჩვენთან სტუმრობის დროს, მამაჩემის ბიძაშვილმა, ლევან გოთუამ, თაროზე თვალი მოჰკრა პლასტიკურში შესრულებულ კომპოზიციებს. როცა გაიგო, რომ ეს ნამუშევრები ჩემი ნაჯახიერები იყო, შემომთავაზა, ვსტუმრებოდით ბატონ იაკობ ნიკოლაძეს — ის ხომ მისი ძალზე ახლობელი იყო.

ბატონმა იაკობმა კმაყოფილებით შეგვიპატიჟა სახელოსნოში. ბატონმა ლევანმა მასპინძელს გა-



აცნო ჩემი თავი: „ამ ახალგაზრდას სურს, თავისი ძალა მოსინჯოს ისეთ ღვთიურ დარგში, როგორც ქანდაკება და მეც მოვიყვანე ქანდაკების ქურუმთან“.

ბატონმა იაკობმა შემომთავაზა ჯერ სახელოსნოს, შემდეგ კი მსოფლიო შედეგების ორი დიდი ალბომის დათვალიერება.

ვიდექი ჩახრუხადის თეთრ, ქათა მარმარილოს დაუმთავრებელ ბიუსტთან, რომელმაც დაუ-

ვინყარი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. შემდეგ შევუდექი ქანდაკების ალბომების თვალიერებას. აბა, ამათ უმუშავნიათ თუ უმუშავნიათ (ვფიქრობდი ჩემთვის), — უბრწყინვალესი ქანდაკებები ბერძნებისა თუ რომაელებისა.

ბატონი იაკობი მომიბრუნდა და მკითხა, ამ საოცარი ქანდაკებების ილუსტრაციების ნახვის შემდეგ კიდევ თუ გაბედავ ქანდაკებაზე ფიქრსო? მე ხმა ვერ ამოვიღე, მაგრამ თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

ბატონმა იაკობმა მკითხა: „როდენი თუ გაგიგია?“ მე ვუპასუხე: „როდენიც გამიგია და მისი სახელობის ქუჩაც ვიცი თბილისში“. ბატონ იაკობს გულიანად გაეცინა და ბატონ ლევანს მიუბრუნდა, ნაღდი გურულია, დარჩეს აქო.

ბატონი იაკობი არტისტულად ემზადებოდა სამუშაოდ, აუცილებლად ხალათს გადაიცვამდა, ბერეტს კოხტად დაიხურავდა, სარკეშიც ჩაიხედავდა, მით უმეტეს, თუ მოდელს ელოდებოდა. განწყობილებას იქმნიდა — ტკბილად ღიღინებდა კიდევც.

მაშინ ქანდაკებების შესახვევად პლასტიკატები არ იყო. თიხის ქანდაკებებს ტილოს სველ ნაჭრებ-



ში ვახვევდით, რომელიც ორ-სამ დღეში შრებოდა, ამავე დროს, მალე ლპებოდა.

ერთხელ ჩემთან სახლში აღმოვაჩინე სამი ჯვალის ტომარა და ბატონი იაკობის სახელოსნოში მივიტანე. მაესტროს ისე გაეხარდა, თითქოს ძვირფასი ქსოვილი მიმეტანოს. ცოტა ხანში მეზობლების ტილოებზეც დავინყე ნადირობა, განსაკუთრებით შესასვლელი კარის წინ დაფენილ ტილოებზე. ყველას უკვირდა ნეტა, ვის რაში სჭირდება ეს ნახმარი „ნამეშოკარი“, არ იცოდნენ, რომ ეს „ნამეშოკარი“ აკადემიკოსისთვის მიმქონდა. ამასობაში შემოვიდა „პლასტიკატი“ და ჩვენც მოვითქვით სული და ჩემმა მეზობლებმაც.

ბატონი იაკობის სახელოსნოში ჩემი ყოფნისას მან არაერთი პორტრეტი გააკეთა.

დამამახსოვრდა აკადემიკოს მუსხელიშვილის პორტრეტზე მუშაობა. ბატონი ნიკო სეანსზე რომ მოვიდოდა, ბატონი იაკობი იტყოდა: „მუსხელიშვილი მოვიდა — შეგიძლიათ საათები გაასწოროთ“. აი, ასეთი სიზუსტით ცხოვრობდა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.



ხელები უყვარდა, ხელები. ხელებს ისეთივე გულმოდგინებით ძერწავდა, როგორც პორტრეტს, კლასში ერთმანეთის ხელებს სხვადასხვა მოძრაობაში ხშირად გვაძერწინებდა.

არ შემიძლია, არ აღვნიშნო მისი განსაკუთრებული სიყვარული ყველაფერი ქართულის მიმართ. ერთ-ერთმა ჩვენგანმა შეასრულა კომპოზიცია „მევიოლინე“. ავტორი მასში გულისხმობდა პაგანინს. ბატონმა იაკობმა შეგვკრიბა ყვე-

ლა და, მახსოვს, ასეთი დარიგება მოგვცა: **„პაგანინს ისედაც ბავრი მოქანდაკე გამოქანდავს თავის ქვეყანაში. ჩვენ კი იმდენი ისტორიული გმირი, მწერალი და ცნობილი პიროვნება გვყავს, რომ ეცადეთ, შეინახოთ მათი ცხოვრება და ჯერჯერობით ქანდაკებით ღარიბ ქვეყანაში დადგათ მათი ძეგლები... მე მჯერა თქვენი თაობის“.**

გაზეთი „ლანჩუთი“, N2009 წ.



იაკობ ნიკოლაძე (მარცხენიდან მეოთხე პირველ რიგში) თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებთან. 1925 წ.



ნაკოზ ნიკოლაძე — „მწუსარე სმართველო“



ISSN 1987-5908



9 771987 590006